 միջոճնճ, սմոճոճ Նոմ ար արոն ըս Նաճոճնոճնճ ստարակր Նճոճնն-ըղստ-
 ճոճն ըստնճոճնճա ըղստնճարու ըղստնճոճնճ. սո, սնշ շնժոճ մոճոճ ըս
 Նաչոտնն.

Պատգամներ. ստարակրն ճարղմից արճ ըրտո Նաճոճննիտ ար արճննոճն,

մաճոճն տղճոճն ճարճաճոճն Նարտ, շմաճնն ժոճոճ. տղճոճն ըստնոճնճաճ,

տղճոճնճ ար ըստնճոճնճ Բզոճն արճոճնտար ճոճնչոճննճոճնճ ար մոճոճնճ.

Թի-Ն Երգերաղան.

Գ. Նաչոճարղուրի. չաճնոճոճ ըղստնճոճ! մոճոճնճոճնճ Բզոճն տղճոճնճ-

մո շնարճննարու ճոճոճննչոճննճ ար միջոճնճ ար ճոճննճ, ռոմ տղճոճնն մի-
 ճոճնճ ճոճննճոճ ոչո ըստնճոճն շնճոճնճ. ըստնճոճն ճոճննճ սնշոճ ճոճննճոճն
 նշ ըղճոճնճ սճոճոճ. Բզոճն արս ճոճն ոն Նաճոճ, զոճնճոճ. ռոմ միջ ճոճնն-
 ճոճ ըս տղճոճն չարճոճ ոճոճ ռոճոճ արոն Նաճոճ. ըս մոճոճ. ոճոճոճն. ոճո-
 ճոճն մոճոճնճոճն ըմննճ, ռոմ արճոճնճոճն ար ճոճննճ. ըս ըրտո.

սնճա միջոճն.

ոճոճնննճոճն տշ արս այ ճարճաճոճնն ըղստնն շնարճննչոճննճ չոճննն-
 ճոճննճոճնն տանաճոճնն Նաճոճննճոճնն, ըղճոճն, ճոճն ըս ս.մ. մի
 ըրտո տղոն ճոճննճոճնն ըստննճոճն ըս ճոճն ըղս ճոճննճոճնն Ննզա
 ճոճննճ. սշոճնճ ըս Նաճոճն տշ արս, ըղստն ճոճննճոճննճ տշ արոն.

Պատգամներ. մաճոճն մոճոճննճոճն.

Գ. Նաչոճարղուրի. ըս Նաճոճն ըղճոճն?

Բ. Թիւրիւրի. ըղստննճոճնն ըս մոճոճնճոճնն մոճոճնն ճոճննճոճննճ, տշ



გვერდები საშუალება.

ფ. საყვარელიძე. იქნებ სამეურნეო განყოფილება რომ გვაქვს და იქ მთავარი სახეობისთვის რომ არიან, იქნებ იქ არის საშუალება კავშირგაბმულობის სახეობისთვის რომ მოვიწვიოთ სადღაც ერთი თხაბი ნყოს, რომ დეპუტატის შევადგინო და ისარგებლოს, თავის სადუპუტატო საქმიანობასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა.

რ. ბერიძე. კი მაგონო. მაგონო ფრიდონ თქვენი წინადადება სად შევინახოთ?

ფ. საყვარელიძე. სამეურნეო განყოფილებაში, მუსსად არ ვიცი, ადამი.

თავმჯდომარე. მაგონო ვიქნები.

ვ. ლომთქიფანიძე. მაგონო დეპუტატებო! მიუხედავად იმისა, რომ დეკლარირებული იყო, რომ რაიონებიდან და ქადაქებიდან არჩეული დეპუტატები დასამყარებენ კავშირს ამ რაიონების პარლამენტთან, ჩვენ ვიუშიათ და ვიშუქავებთ ფაქტურად აქედან გაუსვლელად. შეიძლება განცხადებებში და სხვა კავშირის საშუალება ფაქტურად მოსაპოვებო და ამისვე უკვე დაპარაკობენ. საჭიროდ მიმაჩნია განხილული იქნეს, რომ დეპუტატებს, მთარბიარული შესივ არჩეულებს, კომუნალ რაიონში ჩვენს, ყავდეთ იქ თანამშენებლები, განცხადებების მიღების, რეგულირების, გადაწყვეტილების და სხვათა საშუალებები და ამით გაგვანთავისუფლონ რაიონადმი მიანიჭ, აი, ასეთი საშუალებას. არ დაკარგონ კავშირი თავის რაიონთან. სხვა საკითხია ანაზღაურება იმ აპარატის მიუხედავად ვინც უყოლება რა ადგილებზე პარლამენტის მიერ უნდა მოხდეს თუ ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ. მაგრამ იქ რომ უნდა იყოს კაბინეტი, იქ რომ უნდა ხდებოდეს მიღება, იქ რომ უნდა ხდებოდეს განცხადებების შემოწმება, მოწმადება, დანიშვნა და ამომირჩევლების შეხვედრა თავიანთ დეპუტატთან, ეს აუცილებლად მიმაჩნია.

თავმჯდომარე. ვინადადებ.

რ. ბერიძე. ეს შეიძლება ცალკე დადგენილებად მივიღოთ. მაგონო ვიქნები, პარლამენტის აპარატთან იგი მგონი ამას არა აქვს კავშირი და დავაფართო ადგილობრივი ხედისუფლებას.

თავმჯდომარე. მაგონო დეპუტატებო! იგი-5

ქ. გომბაძე. თუ სარგოების შესახებ მოვიჩინო, მერა შექვს ერთი შენიშვნა. მაგონო სპიკერი, ქადაგონო რუსუდან!



ქართული
ენების
სწავლის
სამეცნიერო
ცენტრი

რ. ბერიძე. არა, არა, რა დავაძიდავრეთ, არაფერი არ დაგვიშინებია. ვუყაროთ იმ შინადადებებს კენჭი
და ნახევარი ქვევით.

თავიჯდომიარე. ქალბატონო რუსუდან, ზოდის ვინდი, იე კიდევ ერთ-
ხელ მიწდა შეგახსენოთ თქვენ, ჩემს თავს და ყველას, ჩვენ ჯერ კენ-
ჭისყრამდე გადაწყვიტოთ, შევთანხმდეთ ჯერ პრინციპზე. იე ვაჩუბ
ახლა, რაი აპარატის მიუხავეს დეპუტატზე იეტი... ეს საკითხი ძალიან
ჭაქიში საკითხია და იქნებ 2-3 დღე ჩვენ კიდევ გადავხედოთ ამას და
ისე მოვიდეთ, რაი ეს დავას არ იწვევდეს.

რ. ბერიძე. არ ითქვინს ეს საკითხი ბატონო ვახტანგ. იქნებ და-
ვასრულოთ ახლა.

ხმაური დარბაზში.

თავიჯდომიარე. თქვენ როგორ ფიქრობთ ბატონო დეპუტატებო?

ხმაური დარბაზში.

თავიჯდომიარე. თუ დაგვეხმარებით მაქსიმუმისა და მინიმუმის დადგე-
ნაში კონკრეტული შინადადებებით ძალიან შედეგზელი ვიქნებით. იქნებ
გვიხმარათ კონკრეტულად. იე-4 მიკროფონი. ბატონო თეიურ ბრძანეთ.

ხმაური დარბაზში.

თ. ბანიკაია. ბატონო ვახტანგ, იქნებ ამ საკითხის გადადება არ
ღირდეს იმიტომ, რაი ძალიან საშური არის ამ საკითხის გადაწყვეტა
იმიტომ, რაი კომისიებს და ფრაქციებს მიუხავეს დასაწყვიტი აქვთ პრაქ-
ტიკულად. იქნებ, ძირითადად დარბაზის აზრი ვასაგებია, რაი აპარატის
მიუხავეს არ უნდა აქონდეს დეპუტატზე მაღალი ხელფასი. ამოვიდეთ იქედან,
რაი აპარატის უფროსს აქონდეს 9 კომუნიკაციები და იმის მიხედვით უკვე
გადაკეთოთ. ხმაური დარბაზში.

რ. ბერიძე. კი ბატონო, ვუყაროთ კენჭი ამ შინადადებას, იე რა-
დენი ხანის ვიძინებ, ვუყაროთ კენჭი ამას. ხმაური დარბაზში.

თავიჯდომიარე. იე-5 მიკროფონი.

ა. იოსელიანი. ბატონო დეპუტატებო. იე ასეთ შინადადებებს გთავა-
ზობთ, 8,9 იყოს მაქსიმუმის და ერთი მიუთხედის დავადებით ჩამოვიდეს
8-ზე და დანარჩენი დარჩეს ისე როგორც არის.



თავმჯდომარე. მე-5 მიკროფონი.

ა. იოსელიანი. მოდიშს ვითხოვ, ერთი ასეთი წინადადება მაქვს. რაკი აქ უფროსი ნაოღერებაზე არ არის დაპირაკი და თურმე აღმოჩნდა, რომ დეპუტატებს სხვა შემოსავალიც გვაქვს და რანგირების პრინციპი არის 3 მივცეთ იმას და 2 ავუნაზღაურთ და 10-იც გამოვიღეს. რანგის დაფუძნის იქნება და მდგომარეობაც შენარჩუნდება.

რ. ბერიძე. არ შეიძლება ასე ბაჭონი მიხეიღ, ეს დეპუტატისთვის შეიძლება წარმოადგინდეთ და ისე არ შეიძლება. გასაგებია, მაგრამ არ შეიძლება.

თავმჯდომარე. მე ახლა ვეკითხები ქაღმატონ რუსუდანს, აი, იმ შესწორებით, რაც წერილობითაც შემოვიდა 10-ის მაგივრად 9 რომ იყოს ამ შესწორებით. ხმაური დარბაზში.

რ. ბერიძე. წინადადება არის ასეთი 9 და შემიღვ ნახევრით ჩამოვწიოთ ყველა დაწარჩენი. ხმაური დარბაზში.

რ. ბერიძე. თქვენს წინადადებაზე ადრე ის წინადადება იყო ბაჭონი არჩიდ და იმისთვის ამ წინადადებაზე ვსაუბრობთ.

თავმჯდომარე. მოუსმინოთ.

დარბაზიდან. კენჭისყრაში მონაწილეობას ვერ მივიღებ.

თავმჯდომარე. რატომ? ბაჭონი ფრიდონ, დამრძანდით, ჯერ ხომ არ... ..თქვენს წინადადებაზე მე უარყოფი, დამრძანდით. აქ ჩვენ არც ერთი დეპუტატისათვის, ბაჭონი ფრიდონ მონაწილეობ, არ შეგვიქმნია ჯერ საპროპოზიციო სიტუაცია და არც გადაკეთებთ. ერთმა კაცმა შეიძლება თქვას ყველაზე მარტალი სიძარტლე, თუ არ არის მომზადებული გადავდებთ და 2 დღის შემდეგ წარმოვადგინოთ. ამ ახლა შესწორებით, რომ დავუკლოთ... ამით მისაღებია, ამით გადაკეთოთ. არაფერი გასაზრავებელი არ არის, ყველაფრის თქმა შეიძლება ემოციების გარეშე. შევთანხმდეთ ახლა. გნებავთ დაკლებინს პრინციპზე გადავიდეთ, გნებავთ კიდევ გადავდებთ და მოვაშვებთ საკითხს. ხმაური დარბაზში.

თავმჯდომარე. მე-5 მიკროფონი.

ლ. მესხი. მე მჯონი აქ პრინციპი იქნა არასწორად გაგებული.



ქართული
ენების ინსტიტუტი

თავმჯდომარე. კონსტრუქციული, ბატონო ღვინო.

ლ. ძესხი. ახლაც ქაღალატიან რუსუდანიან აღნიშნა, რომ დაბრუნ-
რეზიდას უნდა დააკლდე კოეფიციენტი. ამასვე საერთოდ არ არის დაპარაკი.
და კიდევ ერთი, იყო ბიუროვი შინადადგება, ბატონმა არჩილ თსუდანიანმა
რომ დააყენა, იყოს მ, მ. ეს მარტალია სიმბოლოურია, მაგრამ აი, ამ სიმ-
ბოლოვას რაღაც მნიშვნელობა აქვს.

თავმჯდომარე. ბი-7 მიკროფონი. უკაცრავად.

ლ. გინდუღიანი. ბატონო ვახტანგ, ჩვენ დუბუბატივი ერთი უბერხუდ
მიდგომარეობაში აღმოვიჩინეთ. ჩვენ ამა ვართ დაინტერესებულნი. აქ გა-
რობიქვა ასეთი მოსაზრება და ბი ბიგონი ასეთი ხაზი გავატარეთ, რომ
ვინმეს დუბუბატივი წავარდეთ და დავუკლოთ ხედასი, მაგრამ აქ არის და-
პარაკი პრინციპზე, გაგვიგეთ ჩვენ სწორად, არ შეიძლება დუბუბატივი ბიტი
კონტრუს რანგირება ან მათთან გათანაბრებულნი. თუ ხედასის დანიშვნა
და კოეფიციენტის დანიშვნა რანგირებას არ ნიშნავს, მაშინ ბი ბიგონი
ამის მიხედვით მოვანდინეთ რანგირება სპიკერის, მისი მოადგილეების,
კომისიის თავმჯდომარეების და დუბუბატის. აქ თუ რანგირებას ნიშნავს,
მაშინ უნდა შევთანხმდეთ, რომ აქაც რანგირებას ნიშნავს. აქ გამოიქვა
სხვა მოსაზრებებიც დუბუბატის თანამშრომლებთან დაკავშირებით და ასევე
კომისიის თავმჯდომარეების აქვთ მოსაზრებები, რომ 4 წამყვანი სპიკერის-
ტი არ არის საკმარისი ბუბიტივი კომისიის ბუბიტივისათვის. ბი ბიგონი,
ამასვე საწინააღმდეგო აზრი არ გვექნება. ამიტომ აღმათ ყველანი მივდი-
ვართ იმ აზრამდე, რომ არ არის ეს მომზადებული, ან გადავდეთ და შეს-
ვნიშნის შემდეგ გამოვატანინოთ შესაბამისი კონსტრუქციების შემკობით,
საფინანსო - სამიუჯრტო კომისიის შემკობით ან თუნდაც ხვადისთვის გა-
დავდეთ. ეს, ბი ბიგონი, შეუძლებელი არ იქნება.

თავმჯდომარე. არაფერი არ იწვევს ამით, რომ ერთი დღით და 2
დღით გადავიტანოთ. სჯობს მომზადებული იყოს, შემკობილი იყოს, კიდევ
ვიტანოთ, კიდევ ვიშვადოთ და თქვენც იწვევს სხვები ყველანიანად იქნეს
გათვადისწინებულნი.

დარბაზიდან. ბატონო ვახტანგ, ერთი რეპლიკა, თუ შეიძლება.

თავმჯდომარე. რიგის მიხედვით ბატონო თემურ. ბი-4 მიკროფონი და
ბი-7 თქვენ მოგვით.

ე. კოვლიძე. ბატონო სპიკერი, ქაღალატიან და ბატონებო! ასეთი
შთანთქმულია შიგნით, რომ პარლამენტის ბუბიტივის დანიშნულთან გარკვეუ-
დი რაღაცეები ცდილობენ დისკრიმინაციას გაუწიონ პარლამენტს და დააკლინონ
ყველა დუბუბატის ღირსება. ამ საკუბთან დაკავშირებით ვამბობდები

ყურადღებას ჯერ დეპუტატებზე წარმოადგენილ პირველ კოლეგიურებზე შეიძლება ვი შევიდეთ ვი აქ წარმოადგენილ კოლეგიურებზე. ვილაც სამედიცინო ადგილს უწყობა ასეთ პირობებში, რომ აქ, საბადოდ ვიკამათით ასეთ, ფაქტურად მიორეზარინსოვან საკითხებზე და ის ვილაც, რომელიც დაინტერესებულია, რომ არ გადაწყვიტოს ისეთი ძირითადი საკითხები როგორც არის აფრიალები, შესწავლის და სხვადასხვა საკითხები და თითქოს მიორეზარინსოვანი ყურადღება უთიბა. ვილაც დაინტერესებულია, როგორ შეიძლება ადამიანი, რომელიც წარმოადგინა აქ კოლეგიურები, როგორც პარლამენტის დეპუტატების შესახებ, ისე ეს კოლეგიურები, იმდენად სალად არ ამოგონებდეს, რომ მიხვდეს, რომ ეს ასე არ შეიძლება.

თავმჯდომარე. კონკრეტულად თქვენ რას გვთავაზობთ?

ე. კოვზიანიძე. ჩვენ ამ შემთხვევაში ყურადღებას ვაქცევთ იმასზე, რომ რეგულარულ გარკვეულ ძალა დეპუტატთა დისკრედიტაციას, დეპუტატები არიან ხელისუფლების წარმოადგენლები, და ის დეპუტატთა არიან. თავის ძალას საქართველოს და იმ გარკვეულ ძალას, ვინც ამას ცდილობს. ამასი თქვენ ძალე დარწმუნდებით. ეს ერთი, მეორე, რაც შეეხება, აი, ამ წარმოადგენილ კოლეგიურებზე, რა თქმა უნდა დეპუტატი მეორად რაღაც დგას რანგით, ვიდრე აპარატის უფროსი და მისი რაღაც დე და სხვადასხვა. მე ხელფასთან დაკავშირებით არც არავის დუკის წარმოდგება არ ვაპირებ და არც იმ 0,5 კოლეგიურებით, ჩემის მხრივ ეს მიკრებულებად მიიჩნია, მაგრამ გათვალისწინებული იყოს წინადადებები, რაც წარმოადგინეს.

თავმჯდომარე. გზადღობთ. მე-6 მიკროფონი.

თ. სუმათაშვილი. საკითხს გადადება არ სჭირდება მაგონო საბჭერო და ქაღმაცონო რუსუდან. არავითარი გადადება საკითხს არ სჭირდება, არც ერთი წუთით. საკითხი ფიქსონ არის უკვე გადაწყვეტილი. საქმე ეხება იმას, რომ კოლეგიური დეპუტატისა უნდა უფრო მაღალი იყოს ვიდრე ნებისმიერი აპარატის მუშაკისა. ეს საკითხი გადაწყვეტილია თავისთავად. იგი არ ემორჩილება განსჯას. აქედან გამომდინარე ყველაზე დიდი კოლეგიური, რომელიც აქვს აპარატის უფროსს უნდა იყოს შეფარდებული დეპუტატის კოლეგიურებთან, მასზე სიმბოლურად უნდა იყოს ნაკლები და მერე დანარჩენი. ეს არის ტექნოლოგია და თუ თქვენ გადაწყვიტეთ, რა საჭიროა ამ საკითხის გადადება.

თავმჯდომარე. ეს პრინციპი გასაგებია, რახან ჩვენ წარმოვადგინეთ ციფრების უნაზე ამ პრინციპით გათვალისწინებული ციფრები, რომელიც მივივებივით არის აკრედიტი, აი, იმ სახით წარმოგიდგენთ შემდეგ.



ქართული
ლიბრარი

მინდა შეგახსენოთ, 2 ავტობუსი დგას პარლამენტის შენობის წინ და

პირველ საათზე, ავტობატურად, ვინც არ უნდა დაპარაკობდეს; სპიკერი თუ მოფლგილე, შეწყდება კამათი. 5 წუთი დარჩა.

გ. კობახიძე. ბატონო სპიკერო, მე თავს უფლებას მივცემ გამოვთქვა საყვედური ქალბატონი რუსუდანის მიმართ. მან ძალიან ცუდად წაიყვანა ეს საკითხი.

თავმჯდომარე. არა, არა, ბატონო გია.

გ. კობახიძე. არგუმენტების გარეშე, როგორც ითქვა, გაიწედა ეს საკითხი.

თავმჯდომარე. არა, ნუ დავაბრალებთ, ეგ ყველა კოლეგიაზე გვქონდა ჩვენ და ჩემი ბრალია პირველ რიგში, ალბათ, საკითხი უნდა ყოფილიყო ყველა მომენტით შეჯერებული.

მე-5.

გ. კობახიძე. ბატონო სპიკერო, მე ძალიან გთხოვთ, ალბათ, ეს საკითხი დაბრუნდება ნელმეორედ განხილვისათვის და აი, ვინც განიხილავს ამ საკითხს და შემოიტანს მერე, მან გაითვალისწინოს ალმასრულებელი ხელისუფლების პოზიციაც ამ კუთხით. იმიტომ, რომ მინისტრის მოადგილეს კოეფიციენტი აქვს თუ არ ვცდები მ, 5. აი, იმათი პოზიციაც გასათვალისწინებელია.

თავმჯდომარე. კი ბატონო. გასაგებია. მაშ 4 საათზე, ზოგიერთი დეპუტატი წასულია და ისინიც იქნებიან 4 საათზე. ნუ დავაგვიანებთ.

შესვენების შემდეგ

სხდომას თავმჯდომარეობს საქართველოს პარლამენტის სპიკერი
 ვახტანგ გოგუაძე.

თავმჯდომარე. დეპუტატებს ვთხოვ, ძალიან გავიფანტეთ სექტორებში და ცოტა ორგანიზებულად. იქნებ დაუბრუნდეთ თქვენს ადგილებს. მოვემზადოთ რეგისტრაციისათვის. კვორუმი არის, მაგრამ ახალ რეგისტრაციას ვაძლავთ. შევეუდგეთ მუშაობას. დღის წერისგის უმთავრესი საკითხია მინისტრთა კაბინეტის ზოგიერთი წევრის დამტკიცება. ბატონი ელვარდ შევარდნაძე მოგახსენებთ ამ საკითხს.

ე. შევარდნაძე. კანონით ასეა გათვალისწინებული, მე წარვადგენ, ასეა არა? მაგრამ იგულისხმება, რომ წინადადებები რომელსაც შემოგთავაზებთ ეს არის პრემიარ-მინისტრისა და ჩემი სახელით. შემუშავებულია კონსულტაციების შედეგად, რომელიც გვექონდა ამ დღეებში, ჯგუფური და ინდივიდუალური. თუმცა ვერ გეტყვით, რომ ამ კონსულტაციებს უნივერსალური ხასიათი ჰქონდა და ყველა პარტია და ყველა ბლოკი იყო წარმოდგენილი. საერთოდ, მთელ ჩვენს მუშაობას ერთგვარი ნაჭქარების ელფერი დაჰკრავს და ეს ალბათ გასაგებია. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ ის ვარიანტები რომელიც გვინდა შემოგთავაზოთ დღეს-დღეობით შედარებით მისაღებია. უკეთესი არ დიალეგა, შეიძლება იყოს სხვა მოსაზრებებიც, მაგრამ მე ვთხოვთ დეპუტატებს, გავითვალისწინოთ ისევე და ისევე ის რეჟიმი, რომელიც ჩვენ გვიხდება მუშაობა. არარევეულებრივი და ურთულესი რეჟიმი და ეს გავლენას ახდენს ჩვენს მუშაობაზე კადრების შერჩევის სფეროში. შეიძლება ხანდახან შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ ესა თუ ის ხელმძღვანელი, ამა თუ იმ ბლოკისა მთლად ისე კარგ ურთიერთობაში ან ახლო ურთიერთობაში ვერ არის მის ხელქვეითობაში, ან შეიძლება გარკვეული წინააღმდეგობებიც იყოს და ეს წინააღმდეგობებიც იყოს და ეს წინააღმდეგობებიც ცნობილია საზოგადოებისათვის. მაგრამ, მე მგონი, თვითოეული ჩვენთაგანი უნდა შეეგუოს იმ აზრს, რომ ჩვენ ვმუშაობთ და ცხოვრება გვიხდება პოლიტიკური პლურალიზმის პირობებში, მრავალპარტიულობის პირობებში, რა ხან არის მრავალპარტიულობა, არ შეიძლება იყოს მარტო, ასე ვთქვათ, თანამოაზრეთა ჯგუფი. მე როცა ვამბობ თანამოაზრეებს მიხედველობაში არა მაქვს, რომ ჩვენი თანამოგზარეობა უნდა იყოს ერთ-უმთავრეს საკითხში-ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოსთვის ბრძოლა და ის ადგილი,



რომელიც შეიძლება თითოეული კანდიდატმა, დაიკავოს. რაც შეეხება პარტიულ პოლიტიკურ შეხედულებებს და თუნდაც გარკვეულ ინტერესებს, პარტიულს, პოლიტიკურს, აქ შეიძლება იყოს განსხვავებულა და ამის დრამატიზირება არ უნდა ხდებოდეს. აი, ამ პრინციპული მიდგომის ერთ-ერთ ელემენტსაც ვგულისხმობდით, როცა ამ წინადადებებს ვამუშავებდით. თუ მინდა დავიწყო ისე, როგორც ჩვენი სტრუქტურის შემუშავების დროს შევთანხმდით, ბლოკების მიხედვით. თუ ასეთი პრინციპი მისაღებია.

ბლოკების დანომვრა პირობითია. ვთქვამთ, პირველი ბლოკი იქნება ჩამოთვლილი, რაც სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ასე უნდა იყოს მიმავალშიც. ვთქვამთ, 1, 2, 3, და ა.შ. ეს ისე, უბრალოდ, რომ წარმოდგენა გვქონდეს სქემაზე.

მე ისიც მინდა გითხრა, რომ ზოგიერთი სამინისტროს და უწყების მიმართ, ბევრი არ არის ასეთი, მაგრამ ჩვენ დღესაც არ გვაქვს მოსაზრება ჩამოყალიბებული. ჩვენ შეიძლება ამადამ დაგვჭირდეს ამაზე მუშაობა, გარკვეული კონსულტაციები და ხვალ გავაგრძელებთ ამ საკითხების განხილვას. ახლა უფრო კონკრეტულად.

ეკონომიკური რეფორმების ბლოკი.

აი, ასე ვუწოდეთ ჩვენ პირობითად, თუცა ყველა სამინისტრო და უწყება ჩართულია რეფორმებში. ჩვენ ამას ვგულისხმობთ.

ვიცე-პრემიერი - თქვენ იცით ამ მიმართულებაზე პასუხს აგებდა ბატონი რომან გოცირიძე, სპეციალისტი ეკონომიკური მეცნიერების დარგში. რამდენი თვეა მუშაობს. როგორც ჩვენ გვესმის ის თავისი მსოფლმხედველობით, თავისი იდეოლოგიით, პრინციპებით არა მარტო მომხრეა რეფორმების, არამედ მას მიაჩნია, რომ ეს არის აუცილებელი გზა საქართველოსათვის და მხოლოდ კარგად გააზრებული და მეცნიერულად დამუშავებული პრინციპების საფუძველზე შეიძლება მივალწით ჩვენი ეკონომიკის გარდაქმნას და გადაყვანას საბაზრო ეკონომიკის რეალურზე. ასე რომ, აი, ამ ზოგად მიდგომაში, ზოგად პრინციპში ჩვენ თანამოაზრენი ვართ. მან აითვისა ამ მუშაობის საფუძველები, ხელმძღვანელობდა შტაბს, იყო გარკვეული სირთულეები, სიმწელებები. ბევრმა თქვენთაგანმა ეს იცის. მე აქედანვე მინდა გამოვიდეთ იქედან, რომ ჩვენ შორის არავინ არ არის ისეთი, მე მხედველობაში მყავს ხელმძღვანელობა, ჩემი ჩათვლით, რომ უნივერსალურად ვუპასუხოთ ყველა მოთხოვნას. ყველანი გავდივართ, ვითვისებთ ამ რთულ მეცნიერებას, რომელსაც ეკონომიკისა და სახელმწიფოს მართვა ჰქვია სრულიად ახალ პირობებში. რა თქმა უნდა ეს ეხება ბატონ რომანსაც. მე არ მინდა ვთქვა, რომ ის უნაკლო კაცია, უნაკლო მოღვაწე. ისე დაძაბული მიყურებს და მისმენს რას იტყვის, რომ მე არ მინდა კონკრეტულად ვილაპარაკო ახლა. მე ვფიქრობ,

რომ ყველაზე კარგად მას ესმის რამდენად რთული უბანია და რამდენად შრომა დასჭირდება მას იმისათვის, რომ თვით ამ რეფორმების პროცესს ღირსეულად უხელმძღვანელოს და ამავე დროს, ეს ყველა ჩვენი განს ეხება, აითვისოს ყველაზე რთული მეცნიერება—ადამიანებთან ურთიერთობა, კოლეგებთან, ხელქვეითებთან, სპეციალისტებთან, ამის გარეშე შეუძლებელია განვლო ეს ეტაპი, მაგრამ ეს არ გამოორიჯხავს და გულისხმობს იმას, რომ პრინციპულ საკითხებში ჩვენ, და მათ შორის ბატონი რომანიც, დავრჩებით საკუთარ პოზიციებზე. აი, ასეთი ძალიან ზოგადი მოსაზრებაა რამდენიმე და მინდა შემოგთავაზოთ მისი კანდიდატურა განხილვისათვის. კიდევ ერთი, ვგულისხმობთ, რომ ბლოკებად დაყოფა პირობითია და რა თქმა უნდა შტაბის მუშაობაში და რეფორმის პროცესში ჩართული იქნებიან მისი კოლეგები, რომლებიც სხვა მიმართულებებზე აგებენ პასუხს და ისინი შეავსებენ ერთმანეთს, თუ შეიძლება ასე ითქვას, გაამდიდრებენ მუშაობის პრაქტიკას და ერთად დახვეწავენ მუშაობის სტილს. ამრიგად ბატონი რომანი გოცირიძე.

ახლა როგორ ჯობია, მოუსმინოთ თვითონ მის-კანდიდატს, თუ შეკითხვები დაგუსვამ და...

წამოძახილი დარბაზიდან.

ე. შევარდნაძე. რამდენიმე სიტყვა მაინც თქვას, იმიტომ რომ შეიძლება სურვილი აქვს. არა ბატონო ვახტანგ, ასე ხომ?

თავმჯდომარე. ჩვენი აღრინდელი გამოყვლილებით, როცა კომისიის თავმჯდომარეებს ვამტკიცებდით, ჩვენ მივყევით საშუალება თუ სურვილი ექნებოდათ, მაგრამ დეპუტატების უმრავლესობამ ის აზრი გამოთქვა, რომ ვისაც კარგად ვიცნობთ არ არის საჭირო და თანაც რწმუნება აქვთ სახელმწიფო მეტაურის, პრემიერ-მინისტრის და თუ ძალიან განსაკუთრებული პრეტენზია არა აქვს ვინმეს, აუცილებლობა არ არის. თუ სურვილი აქვთ, კი ბატონო. უკეთესია კენჭი ვუყაროთ.

ე. კოვზილიძე.

ჩვენ ვამტკიცებთ ვიცე-პრემიერს, თუ როგორ ხდება? კანონის მიხედვით პრემიერი ინიშნება სახელმწიფოს მეტაურის მიერ და შემდგომ პარლამენტი ამტკიცებს. და ეს მე მგონი, ახლა არ ვიცი.

თავმჯდომარე. ზედმიტტი დემოკრატიია, არა?

ე. შევარდნაძე. მე მგონი გუშინ შევთანხმდით, რომ მე შემოვტანდი და ჩავთვალთ ის დამტკიცებულად. უფრო დანიშნულია, ალბათ. დღეს რომ ბრძანებას ხელი მოგაწერო და ხვალ ის შეიყვალოს არ ვარგა. ახლა, რახან კაბინეტის ფორმირება ხდება ასე იყოს და მომავალში უნდა იყოს ისე, რა გორც არის ჩაწერილი კანონში.

საჭიროა ბატონი რომანი გამოვიდეს?



დარბაზიდან. არა, არ არის საჭირო.

ე. შევარდნაძე. არ არის საჭირო.

თავმჯდომარე. კენჭი ვუყაროთ. მოვემზადოთ.

ს. ნაღარაია. მე ხშირად არ გაწუხებთ ჩემი ხშირი გამოსვლით, მაგრამ მე მინდა ვთქვა. ბატონო ელუარდ, ჩვენ მხედველობაში მივიღეთ, რომ საქართველოში ასეთი მძიმე სიტუაცია იყო, ჩვენ გუნდეთ თქვენ და თქვენ რომ ზრბანეთ ჩემო ბატონო, ჩვენც დავამტკიცეთ მინისტრთა კაბინეტის ის სტრუქტურა, რომელმაც არ იმუშავა. ჭა ვთქვით, რომ ასეთი სტრუქტურით ჩვენ რეფორმას ვერ დავიწყებთ, მაგრამ გავუწიეთ ყველაფერს ანგარიში და ჩვენი სურვილის წინააღმდეგ, მე მგონია უმეტესობამ, მაგრამ მაინც ხმა მივყვირთ ამას იმ იმედით, რომ ამ სტრუქტურებს სათავეში ჩაუდგებოდა ისეთი ხალხი, ვინც შემდგომში გამოასწორებდა იმ შეცდომებს, რაც დაუშვა, ვთქვით, წინა ხელისუფლებამ. ახლა მე ბატონი რომანის საწინააღმდეგო არაფერი არა მაქვს. მას მე არც ვიცი პირადად. ის აქ გაფიცვანი, აქ ვნახე და ვიცი, რომ ის არის ეკონომისტი, ვიცი არის სპეციალისტი. მოდი ახლა ასე ვიმსჯელოთ მეგობრებო. ბატონი რომანი გახლდათ ვიცე-პრემიერი. ხელმძღვანელობდა ეკონომიკას და რეფორმების შტაბს. ჩვენ ამ ხნის განმავლობაში ვერაფერი ვერ ვნახეთ ისეთი, რომელიც დაპარაკობდეს ბატონი რომანის სასარგებლოდ. მე იმის თქმა მინდა, რომ ეკონომიკა ამ ხნის განმავლობაში კი არ გამოსწორდა, არამედ გაუარესდა და ჩვენ მივდივით ეკონომიკურ კრახამდე. ახლა მე რისი თქმა მინდა, მოდი ახლა, ჩვენ თუ ასე წავდივით, ანგარიში გავუწიეთ იმ გარემოებას, რომ ეს სტრუქტურები დაგვემტკიცებინა და ისეთი სტრუქტურები დავამტკიცეთ, რომ მას არ ემუშავა. ნუ დავნიშნავთ იმ ხალხს, რომლებმაც ვერ იმუშავა, თუ, მე არ ვიცი, არ იმუშავა. ბატონ რომანის ეს საქმე არ გამოუვიდა. ამასია საქმე. თანაც ახლა მე, აგერ თვალწინ მიდგას 3-4 დღის წინანდელი გამოსვლა. შეიძლება ეს წვრილმანი იყოს და ამ შემთხვევაში მე ბოდიშს მოვიხდით როდესაც ვიცე-პრემიერი, აი, ამ შტაბის ხელმძღვანელი, რეფორმატორი გამოდის და გვეუბნება ჩვენ და ეუბნება საქართველოს მოსახლეობას, რომ ჩვენ 7-მ თვეა გვაქვს 70 მილიონი ეკიუ და დღემდე არ ვიცი რაგორ დავხარჯოთ ეს ფული, სად დავაბანდოთ ეს. ამის შემდეგ, მაპატიეთ, მე შეიძლება არა ვარ ეკონომისტი, მაგრამ მე გამოვთქვამ ჩემს მოსაზრებას. აქედან გამომდინარე, მე პირადად, მე არავის არ ვახვე ჩემს მოსაზრებას და ბოდიშს ვუხდით ბატონ რომანს, არ მჯერა, რომ იგი ამ დარჯს უხელმძღვანელებს, მაგრამ მე ამას არცვის არ ვახვე თავზე, მაგრამ რომ არ მეუთქვა ამის უფლება არ მიქონდა.



თავმჯდომარე. გმადლობთ. როგორია აზრი? ვუყაროთ კენჭი

ე.შევარდნაძე. თუ გნებავთ მოვუსმინოთ მას.

თავმჯდომარე. მე-3 მიკროფონი.

ზ.მურვანიძე. საქმე იმაშია, რომ ჩვენ ეს გზა ერთხელ უკვე გა-
ვიარეთ და მე მგონი ჯერ 2 წელიც არ გასულა. გიტარით და ჩქარი ტაშით
ამიტკიცებდნენ მინისტრებს, მოადგილეებს, თავმჯდომარეებს და ა.შ. ბა-
ტონ რომანს ვიცნობთ. ვიცით, რომ არის კარგი სპეციალისტი, მე მის სა-
წინააღმდეგო არაფერი არა მაქვს. ვითვალისწინებ იმასაც, რომ იქ სო-
ლომონიც რომ ყოფილიყო შეიძლება ვერაფერი ვერ გაეკეთებია. და ეს აღ-
ბათ ყველა ჩვენთაგანმა ვიცით. მაგრამ დღეს, როდესაც ბატონი რომანი
ჩვენს მიერ იქნება დამიტკიცებული, ჩვენ აუცილებლად უნდა მოვუსმინოთ,
რა უშლიდა ხელს აქამდე, რას აპირებს და საით წავაღო, ამიტომ ძალიან
გთხოვთ ნუ ავიჩქარდებით, ნუ დავიწყებთ იმას რამაც საქართველო ერთხელ
უკვე უფსკრულამდე მიიყვანა და გადავვარდით კიდევაც. მოვუსმინოთ
ბატონ რომანს და შეიძლება ისეთი ნიუანსები მოიხსნას აქ, რომელიც
ხვალ დაგვებმარება ჩვენ, რომ დავებმართო ბატონ რომანს. აი, ამის
თქმა მინდოდა.

თავმჯდომარე. მე-6.

ე.შევარდნაძე. მე მგონი ვიაროთ ნელა, მაგრამ სწრაფად.

თავმჯდომარე. ვირქართო ნელა.

ი.წერეთელი. უკაცრავად, მე უბრალოდ ჩემთვის რომ გავერკვე
ბატონ თენგიზთან მაქვს შეკითხვა. ბატონო თენგიზ, მე მახსოვს, რომ
როდესაც ინიშნებოდით პრემიერის პოსტზე, თქვენ ბრძანეთ, რომ უნდა
წარმოადგინოთ წერილობით, როგორც მთავრობის ხელმძღვანელმა, საქართვე-
ლოს პოლიტიკურ-ეკონომიური განვითარების ფართო პროგრამა-იცით რა მაინ-
ტერესებს? ეს პროცესი დაწყებულია, თუ როდესაც ყველა ციცი-პრემიერი
დაინიშნება მერე იქნება, ეს დეტალი მაინტერესებს.

თ.სიგუა. ძირითადი ბირთვი როცა დაკომპლექტდება მაშინ, ერთიანად
უნდა შევადგინოთ.

ი.წერეთელი. ე.ი. პროგრამას, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ, ფაქტიუ-
რად ყველა ციცი-პრემიერის ისიც იქნება გათვალისწინებული არა?



თ. სიგუა. კი ბატონო.

თავმჯდომარე. მაშინ ბატონო რომანს მოვუსმინოთ.

რ. გოცირიძე. პატივცემულთა დეპუტატებო, მე მინდოდა თქვენს წინა-
შე წარმოდგარიყავი პროგრამით. ეს პროგრამა არის დაახლოებით 120
გვერდი. დარბაზში ეს პროგრამა მოტანილია და ყველას შეუძლია გაეცნოს.
სამწუხაროდ პრესაში ვერ მოვახერხეთ მისი გამოქვეყნება, რადგანაც
ამ პროგრამაზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს მუშაობა. ჩამოსულია საერთა-
შორისო სავალუტო ფონდის დელეგაცია, ისინი დღესაც ჩვენთან იმყოფე-
ბიან, ხვალ მიემგზავრებიან. ეს პროგრამა იქნება წალეზული ამერიკა-
ში. მოხდება მისი აპრობაცია საერთაშორისო სავალუტო ფონდში და ამის
შემდეგ იქნება უკვე ლაპარაკი რეალურად, იმ 18 თვიან, მოკლე ვადიან
პროგრამაზე, რომლის საფუძველზეც საქართველოს უნდა გაუწიონ საერთაშო-
რისო სავალუტო და საფინანსო ორგანიზაციებმა დახმარება. ამიტომ ეს
პროგრამა ნაწილობრივ შეიძლება ითქვას არის ჩვენი შრომის პროდუქტი,
ადგილობრივი ძალების, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა უწყებისა
და ორგანიზაციის წარმომადგენლები, მეცნიერებათა აკადემიის წარმო-
მადგენლები, უნივერსიტეტის მეცნიერები, ასევე ეკონომიკური რეფორმის
შტაბი, თუ არ ვცდები ამ პროგრამას უკვე არიგებს ბატონი მიხეილი,
მაგრამ 120 გვერდიანი პროგრამის დაწვრილებითი ანალიზი არა მგონია
რომ ამ ეტაპზე შედგეს. ერთი რამ ტოლსახად ნათელია და მე მინდა ჩემი
გამოსვლა დავიწყო იმ სიტყვებით, რა სიტყვებითაც მიმართა პოლონეთის
მთავრობას ვიცე-პრემიერმა და ფინანსთა მინისტრმა პარლამენტს...

ხმაური დარბაზში.

თავმჯდომარე. ყურადღება იყოს.

რ. გოცირიძე. როდესაც იგი ინიშნებოდა ამ პოსტზე.

თავმჯდომარე. ახლა თუ 120 გვერდიანი პროგრამის...

ხმაური დარბაზში.

რ. გოცირიძე. პროგრამა, ალბათ, სასურველი არიხრომ შენდგომ დამუ-
შავდეს. მე ისე მოვახსენეთ, რომ ეს პროგრამა აპრობაციას გაივლის
საერთაშორისო სავალუტო ფონდში და ალბათ, ჩვენ ერთდროულად მოგვიწევს
მისი დახვეწა და საბოლოო საქმემდე მიყვანა. მე მინდა განვაცხადო
ერთი ძირითადი თეზისი, რითაც მე მინდა დავიწყო ჩემი გამოსვლა თქვენს
წინაშე. პოლონეთის მინისტრმა და პრემიერ-მინისტრმა განაცხადეს და



მე ეს მინდა გავიმეორო თქვენს წინაშე, რომ პოლონეთი ძალზე მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ექსპერიმენტები ატაროს, ამიტომ ჩვენ უნდა გამოვიყენოთ აპრობირებული, მომუშავე მოდელები. ექსპერიმენტი დაე მდიდარმა ქვეყნებმა ჩაატარონ, თუ ეს მათ სურთ.

ამით მე იმის განცხადება მინდა, რომ არსებობს მსოფლიოში აპრობირებული და გამოყვანილი გზა, არსებობს უზარმაზარი სამეცნიერო გამოყვანილება ეკონომიკის მართვის შესახებ, რომელსაც სამწუხაროდ განვითარების, აი, ამ ეტაპზე არ ვცდივთ და ჩვენ ამ შემთხვევაში იმპროვიზაციით მოქმედება, რაღაც ახალი სოციალური ექსპერიმენტების დადგმა, ახალი მესამე გზის ძიება, განსაკუთრებული ქართული გზის ძიება, რომელიც სამწუხაროდ ჩვენს ფსიქოლოგიაში ძალიან ღრმად არის გამჯდარი, შესაძლებელია, აი, ასეთმა იმპროვიზაციამ მიგვიყვანოს იქამდე, რომ საქართველოს ეკონომიკა სამუდამოდ, ასე ვთქვათ, ჩამორჩენილობისათვის იყოს განწირული. ამიტომ, ძირითადი ჩვენი ეკონომიკური რეფორმის ღერძი იქნება ის საერთაშორისო გამოცდილება, რომელიც დაგროვდა ეკონომიკური მართვის სფეროში და რომელიც დააგროვა კაცობრიობამ, რაც შეეხება თავად ეკონომიკურ რეფორმას, მას პყავს, ასე ვთქვათ, წინამორბედებიც და აქვს დიდი გამოცდილებაც. გამოცდილება ისევე, როგორც კაპიტალისტური ქვეყნის რეფორმაციაში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და ასევე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების რეფორმის პერიოდში, რომელსაც რა თქმა უნდა გააჩნია თავისი სპეციფიკური ნიშნები, მაგრამ აქვს ზოგადიც. საქართველომ აუცილებლად უნდა გამოიყენოს ის ზოგადი, რომელიც ყველა საზოგადოებისათვის არის არსებითი და მთავარი. ამიტომ როდესაც მე ვახსენებ საერთაშორისო სავალუტო - საფინანსო ორგანიზაციები, მსოფლიოს ბანკი, და ა.შ. ჩვენ მათთან ვმუშაობთ მჭიდროდ. დღეს საქართველოში 20 კაციანი დელეგაცია იმყოფება. დაახლოებით თვენახევარში ჩამოვა ძალიან დიდი მისია, რომელიც დაწვრილებით შეისწავლის ეკონომიკის ყველა სფეროს. ეს იქნება უკვე მათი მე-4 ჩამოსვლა, ამიტომ ჩვენ ახალ ველსიბედს არ ვიგონებთ. ძირითადად ჩვენ ვეყრდნობით აპრობირებულ სქემებს, რომლებიც როგორც წესი ეკონომიკის ზოგადი განვითარებისათვის. რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ საქართველოს სპეციფიკა, ბუნებრივია არ შეიძლება აღამიანმა ამტკიცოს, რომ საფინანსო ან საბიუჯეტო მდგომარეობა იგივე შეიძლება იყვეს აქართველოში ან პოლონეთში, დავუშვათ, როგორც არის თუნდაც სხვა, რომელიმე მე-3 ქვეყანაში. როდესაც ქვეყანაში ომია და როდესაც ბიუჯეტზე არა გვაქვს საუბარი, რა თქმა უნდა საომარი მოქმედებისა და საომარი ხარჯების მქონე ქვეყნისათვის საბიუჯეტო რეგულირება არ შეიძლება იყოს ისეთი, როგორც მშვიდობიან



მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის-ისევე როდესაც ერთ ქვეყანასა და
 საკუთარი ბერკეტები საფალუტო და ფულად-საკრედიტო ურთიერთობისა და
 როდესაც ჩვენ არა გვაქვს ეს ბერკეტები საკუთარი ვალუტის უქონლობის
 გამო. ამიტომ რა თქმა უნდა საქართველოს გააჩნია საკუთარი მდგომარეო-
 ბის სპეციფიკური პირობები, მაგრამ ჩვენ ძირითადად აპრობირებულ სქემებს
 ვეყრდნობით და გვჯერა რომ საერთაშორისო თანამშრომლობაში და საერთაშო-
 რისო გამოყვანილობის გაზიარება და მათთან მივიდრო თანამშრომლობით ეკონო-
 მიკურ რეფორმას დავძრავთ. რაც შეეხება ამ პროგრამის ძირითად ნაწილს,
 ეს სქემატურად მინდა მოგახსენოთ, რომ ეს შედგება 4 ძირითადი...

...გაგვეანალიზებინა საქართველოში შექმნილი ეკონომიკური მდგო-
 მარეობა და გაგვესაზღვრა ცალსახად, რა არის საკუთარი შეცდომების მი-
 ზები და რა იმ ობიექტურ ფაქტორებისა, რომელიც ჩვენს ეკონომიკაზე
 ახდენს გავლენას. რისი თავიდან აცილება შეგვიძლია ჩვენ, როგორც
 ავტონომიურად, ასე ვთქვათ, მომუშავე სამეურნეო სივრცეს და რისი თა-
 ვიდან აცილება არ შეგვიძლია. რა დამზღვევი მიქანიზმები არსებობს და
 როგორ უნდა მოხდეს ტრანსფორმაცია თანდათანობით ჩვენზე ირიბად მოქმე-
 დი ფაქტორების რეგულირებისათვის. ე.ი. ჩვენ უნდა გავმიჯნოთ ცალსახად
 რა არის ის ფაქტორები, რომელიც ეკონომიკის დღევანდელი ზოგად მსოფ-
 ლო მდგომარეობიდან დაწყებული დამთავრებული საბჭოთა კავშირის დაშ-
 ლით არის გამოწვეული და რომელია ის ფაქტორები რომელიც არის წმინდა
 რესპუბლიკური, წმინდა სუბიექტური თუ გნებავთ და ამავე დროს როგორი
 უნდა იყოს ბალანსი აი, ამ ეკონომიკურ რეფორმებთან მიმართებაში.

ჩვენ ეს დაწვრილებით გვაქვს გაანალიზებული და თქვენ აი, ამ
 პროგრამაში, რომელსაც თქვენ დაგირიგებენ, იხილავთ. ამ პირველ თავში
 ძირითადი ჩვენი მიმართულებაა, როგორც მოგახსენეთ, ვითარების შეფასება
 და ეკონომიკური რეფორმის მიმდინარეობა და მისი განხორციელების სიძ-
 ნედეები. აქ იყო საუბარი იმის შესახებ, რომ თითქოს და ეკონომიკური
 რეფორმის აი, ამ რ თვის განმავლობაში, რომელშიც ვიმყოფებოდით თით-
 ქოს არაფერი გაკეთებულა. ეს არ არის სწორი. ჯერ-ერთი ჩვენ უნდა გან-
 ვასხვავოთ მთავარი ეკონომიკური რეფორმის მიმდინარეობა, საბაზრო ინფრა-
 სტრუქტურის წარმოშობა და მეორე ეკონომიკური მდგომარეობა. ეკონომიკუ-
 რი რეფორმის პირობებში. ნებისმიერ ქვეყანაში სადაც კი ეკონომიკური
 რეფორმა დაწყებულია პირველ ეტაპზე, მოდერნიზაციის ეტაპზე, სტრუქტურუ-
 ლი ცვლილებების ეტაპზე, ყოველთვის წარმოების ტემპი ეცემა. წარმოე-
 ბის ტემპი ეცემა თავისთავად, რეფორმების გამო. რადგან ჩამოყალიბე-
 ბულია დამახინჯებული სტრუქტურები, დარგობრივ სტრუქტურებს ცვლილება
 სჭირდებათ, ამ სტრუქტურების ცვლილებას რა თქმა უნდა თან დევს უარ-



ყოფითი ფაქტორები, საწარმოების გაკოტრება, უმუშევრობა ყველასათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშანი. თუ ამ დამახასიათებელს დავუმატებთ იმ ეკონომიკურ ბლოკადას, და განსაკუთრებით საფინანსო და კომინიკაციური არტერიების ჩაკეტვას თქვენ დაინახავთ, რომ ძალიან რთულ პირობებში გვიხდება მუშაობა. ჩვენ ვიმყოფებით ფაქტიურად არა მარტო კომუნიკაციური ბლოკადის ქვეშ; და მოგეხსენებათ თუ არ იქმნება პროდუქცია მაშინ ეკონომიკური რეფორმის ზოგად თემებზეც კი საუბარი ზედმეტია. თუ არ შემოღის საქონელი, თუ გადაკეტილია ტყინიგზა, თუ ბლოკირებული და თუ გაჩერებულია წარმოება ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია ფიქვანაგვით მხოლოდ რაღაც ზოგად ეკონომიკურ სქემებზე, რომელიც მოწყვეტილი იქნება პრაქტიკას. გარდა ამისა ჩვენ ვიმყოფებით წმინდა საგარეობის ბლოკადის პირობებში. ფაქტიურად რუსეთმა ჩაკეტა თავისი სამანეთო სივრცე, გადარიცხვები საქართველოდან რუსეთში არ ხდება, უფრო ადრე ეს განხორციელდა ბალტიის ქვეყნებში. ერთი კვირის წინ უკრაინამ განახორციელა ანალოგიური ქმედება. ფაქტიურად რომც იყოს საქართველოში გადახდის უნარიანი საწარმოები, ფულის, ამე ვთქვათ, ექსპორტი, ფულის გადინება ვერ ხდება საფინანსო ბარიერების შედეგად. აი, ასეთ ეკონომიკურ სიტუაციაში გვიხდება ჩვენ მოქმედება, ამისათვის ჩვენ შესაძლებელია თუნდაც იგივე ამ ობიექტური მიზეზების გამო, მაგრამ მაინც მაქსიმალურად შევცვალოთ, რომ მომხდარიყო ჩვენი ეკონომიკური ცხოვრების ადაპტაცია შექმნილი პირობებისადმი. ეს ადაპტაცია გამოიხატებოდა თუნდაც იგივე იმ ღებრაღიზაციის პოლიტიკით, რომელიც ეკონომიკაში მიმდინარეობს. იმ პოლიტიკით, რომელიც თუნდაც იმ ანტიმონოპოლისტურ ქმედებაში, თუნდაც იმ პოლიტიკით, რომელსაც ფასების ღებრაღიზაცია ქვია, რაც რა თქმა უნდა უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე და მის განწყობილებაზე, მაგრამ თუ ეს არ იქნებოდა ადექვატური რუსეთის ეკონომიკური სივრცეში მომხდარი პროცესებისადმი, შესაძლებელია საქართველოს არა თუ მთელი სახალხო მეურნეობა, არამედ იგივე სოციალური ინფრასტრუქტურაც გაჩერებულიყო. გარდა ამისა ეკონომიკური რეფორმის გარკვეულ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს იგივე პრივატიზაციის დაწყება სოფლის მეურნეობაში, მგივე ბინები პრივატიზაცია, ორგანიზაციული სამუშაოების მომზადება სახელმწიფო ქონების განკერძოების საქმეში. შექმნილია საგარეო ეკონომიკის სახელმწიფო კომიტეტი, სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტი, ჩამოყალიბებულია საკანონმდებლო ბაზა და ფაქტიურად ახლა მთავრდება ორგანიზაციული სტრუქტურების შემუშავება. ამიტომ ცალსახად შეფასება იმისა რომ ამ 6 თვის განმავლობაში არაფერი არ გაკეთებულა რა თქმა



უნდა არ არის სწორი. რაც შეეხება იმ ინფორმაციას, რომელიც აქ არის სწორად იყო გაგებული. როდესაც ჩვენ ვამბობთ ეკონომიკურ რეფორმაზე და მისი სტრუქტურების ჩამოყალიბებაზე იგულისხმება, რომ მთავრობაში არსებობდეს ისეთი ადმინისტრაციული ორგანო და ისე უნდა იყოს განაწილებული ფუნქციები, რომ ისინი ეკონომიკურ რეფორმას არ უშლიდნენ ხელს. მე მაშინ განვაცხადე, რომ 70 მილიონი როდესაც გამოყოფილია და ჩვენ მას დროზე ვერ ვიყენებთ, ეს კი არ არის ასე ვთქვათ, არა მარტო იმის ბრალი, რომ გარკვეულ წილად, იგივე თუნდაც მთავრობაში ვერ შეუწყობ ამ პროცესის დაჩქარებას, თავად იმ სტრუქტურების ბრალი. მე გახდავართ ეკონომიკური რეფორმის შტაბის თავმჯდომარე, სადაც უნდა შემოდიოდა საფინანსო, საბანკო სფეროები, ფაქტიურად ამ შემთხვევაში ეკონომიკური რეფორმის შტაბი შემოიფარგლა მხოლოდ და მხოლოდ წმინდა მეთოდოლოგიური მიუხედავად, რადგან პრაქტიკული, ადმინისტრაციული ზერცეტივები, წმინდა პრაგმატული გადაწყვეტა სხვის ხელში იყო. ამიტომ 70 მილიონი ეკონომიკური მიუხედავად იმისა, რომ მე ეკონომისტი ვარ და რეფორმის შტაბს ვხელმძღვანელობ არავითარი კავშირი არ მქონდა ისევე როგორც არავითარი კავშირი არ მქონია დღემდე საერთაშორისო სავალუტო ფონდთან. რადგან არა ვარ მე წარმოდგენილი, როგორც დირექტორად, როგორც დავუშვათ სხვა რესპუბლიკებშია, ასევე მსოფლიოს ბანკთან, ასევე ევროპის გაერთიანების და რეკონსტრუქციის ბანკთან, მიუხედავად იმისა, რომ ისევე ვიმეორებ, რომ ეკონომიკური რეფორმის პრეროგატივაა ეს. ამიტომ ის ფუნქციები, რომელიც მთავრობაში განაწილებული იყო სხვადასხვა ვიცე-პრემიერებს შორის ეს ფუნქციები არ ასახავდა ადგილობრივად ოპერატიულ მართვასა და ეკონომიკურ რეფორმას. ფაქტიურად მე ისევე ვიმეორებ იმას, რაც ბატონმა ელუარდმა ბრძანა, ეს იყო როგორც კრიტიკის იგავ-არაკში, როდესაც ერთი მიიქანება მარჯვნივ, მეორე წყალში, მესამე დაფრინავს ჰაერში და ა.შ. აი ასეთ სიტუაციაში თავისთავად სტრუქტურა ხდება ეკონომიკური რეფორმის შემადგენელი. არის თავად სტრუქტურული ფაქტორები, რომელიც ხელს უშლის რეფორმას და ამავდროს სამთავრობო სტრუქტურები და არის სუბიექტური ფაქტორები, რომელიც გამოიხატება გარკვეული პირობის არაკომპეტენტურობაში და დავუშვათ იგივე, გარკვეულ, ასევე ვთქვათ, სუბიექტურ მომენტებზე.

თავმჯდომარე. ბოდიშს ვიხდი, ბატონი რომანი ძალიან საინტერესოდ ყველა და სანიათოვნივ არის მისი მოსმენა, მაგრამ რაღაც რეგლამენტი, ხომ არ განვსაზღვროთ, თორემ ჩვენ... (ხმაური დარბაზში)

მე არ გავაგრძელებ დიდიხანს. მე თრიოდე სიტყვით მინდა მარტო
სენთ ამის თაობაზე და მე მოკლედ ვილაპარაკებ და 2-დე წუთში და-
ვამთავრებ. რადგან ისევ ვიმეორებ აი, ამ პროგრამაზე ჩვენ მოგვი-
წივს, თუ თქვენ ამ შემთხვევაში დაუჭერთ მხარს ამ პროგრამას და მის
ავტორებს, ალბათ მუშაობა. მეორე ზღოვი ეს არის მარტო ეკონომიკური
პოლიტიკა. სადაც ძირითადად ლაპარაკი იქნება და სადაც ძირითადად
იქნება განსაზღვრული, თუ როგორი უნდა იყოს საქართველოში ფასების
პოლიტიკა, სად უნდა მოხდეს ფასების დარეგულირება, როგორ უნდა მოხ-
დეს მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების დაცვა, იგივე საბაზ-
რო პოლიტიკით და რომელ სფეროში არის ფასების ღიბერაღიზაფია. აქ
იქნება ლაპარაკი საფინანსო-საბიუჯეტო რეგულირებაზე, ფულად საკრე-
დიტო პოლიტიკაზე და მთლიანად საბანკო რეფორმის ჩატარებაზე, რომე-
ლიც დღეს-დღეობით ყველაზე სუსტი წერტილია ჩვენს ეკონომიკურ დღევან-
დელობაში. შემდგომი მუხლი იქნება ფულადი სისტემის რეფორმა, რომელ-
ზედაც მიმდინარეობს დღეს მუშაობა და ქართული ფულის შემოღებისათვის
არის გაწეული გარკვეული მუშაობა, რომლის შემოღების ვადა და პირო-
ბები განსაზღვრული იქნება მთლიანი ეკონომიკური სტაბილიზაციის პა-
რალელურად. ჩვენ გვაქვს საინვესტიციო პოლიტიკა შემუშავებული. მო-
გებისუნებათ დღეს ინვესტიციური მიმშვილია, ფაქტიურად ხდება კაპიტა-
ლის გადინება. არ ხდება ახალი საწარმოების აშენება. ინვესტიციური
მიმართული არასწორად და ფაქტიურად უზარმაზარი დაუმთავრებელი მიშე-
ნებლობების სახით საქართველოს ეკონომიკას აწვება. უამრავი ცარიელი
ფართობი და მთელი კერძო ინვესტიციები პატარ-პატარა კომერციული
ჯიხურების აშენებისკენაა მიმართული. ფაქტიურად საქართველოში პრივა-
ტიზაციის პროცესის შეფერხება იწვევს ინვესტიციების გაფლანგვას,
მის მიმოზნევას და არასწორი მიმართულებით წარმართვას. ჩვენთან
უამრავი დაუმთავრებელი მიშენებლობაა და პარალელურად ახალი მიშენებ-
ლობები იწყება, წვრილმანი, ასე ვთქვათ, მიმოქცევის სფეროს ობიექტე-
ბის სახით. ამიტომ ინვესტიციური პოლიტიკა როგორც მიმოქცევის სფე-
როში, ასევე მძლავრი კაპიტალდაბანდებების სფეროში ჩვენ შემუშავე-
ბული გვაქვს და ამ ინვესტიციის პოლიტიკაში ძირითადი აქცენტი აღე-
ბული იქნება საგარეო კრედიტებზე და უცხოურ ინვესტიციებზე. შემდეგ
საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ღიბერაღიზაფიაა განსაზღვრული
ამ ზღოვი. რაც შეეხება ყველაზე მთავარს, ეს გახლავთ სტრუქტურული
ცვლილებები. სტრუქტურული ცვლილებების პოლიტიკაში ჩადებულია სტრუქტურ-
ული რეფორმის ზოგადი მიმართულებანი, დარგობრივი სტრუქტურის სრულ-
ყოფა, რაც ჩვენთვის ყველაზე მძიმეა, რადგან ჩვენ დღესვე უნდა
განვსაზღვროთ რომელი საწარმოოს გაჩერება ან დახურვაა შესაძლებელი

და რომელიც წარმოების დაცემაზე შეუძლებელია. ამიტომ უნდა ამოვიღოთ
ჩიოთ დღესვე პრიორიტეტები და ეს პრიორიტეტები განსაზღვროთ
მიერ. ეს არის პრიორიტეტები ენერჯეტიკის სფეროში, ეს არის კომუ-
ნიკაციის სფეროში და ეს არის სასურსათო მომარაგების სფეროში. დარ-
გობრივი სტრუქტურის პროგრამაზე მუშაობს ცალკე ჯგუფი, რომელიც ალ-
ბათ უფრო დაწვრილებით პროგრამას შემოგთავაზებთ.

შეგიძვინია ნაწილი რეგიონული პოლიტიკა. მე-4 თავი.

დარბაზიდან. არ გვინდა.

თავმჯდომარე. საკმარისია ბატონო რომან. იქნებ შეკითხვები
გაქვთ. მე-5 მიკროფონი.

გ. მურაიძე. მე როგორც მივხვდი იქვენი პოლიტიკის საფუძვლად
მიჩნეულია საერთაშორისო საგაულტო ფონდის კონცეფცია არა ბატონო
რომან?

რ. გოცირიძე. არა. ასეთი ცალკე კონცეფცია არ არსებობს. მე
ვთქვი, რომ ჩვენი...

გ. მურაიძე. რეკომენდაციები საგაულტო ფონდის...


რ. გოცირიძე. ჩვენი ეკონომიკური რეფორმის საფუძველს წარმოადგენ
გენს საბაზრო ეკონომიკის აპრობირებული სქემები, რომლებიც მუშაობს
დასავლეთის ეკონომიკაში, ხოლო რაც შეეხება საერთაშორისო საგაულტო
ფონდს, მსოფლიო ბანკს და ა.შ., ისინი რა თქმა უნდა, თავის ნაწილში.
საგაულტო ფონდი, ასე ვთქვათ, ფისკალურ საფინანსო ნაწილში გვიწევს
რეკომენდაციას, ხოლო მსოფლიო ბანკი ფულად საკრედიტო ურთიერთობებში.
გარდა ამისა არის ეკონომიკური ურთიერთობების მრავალი სხვა სფერო,
რომელსაც მსოფლიოში სხვადასხვა ინსტიტუტები განაგებენ და ამიტომ
ცალსახად არ შეიძლება თქმა, რომ ვეყრდნობოდეთ მხოლოდ და მხოლოდ
მსოფლიო ბანკს ან საერთაშორისო საგაულტო ფონდს. ჩვენ ხუთივე დიდი
საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ვართ. მოგახსენებთ წევრი გავხდით
ამ 4 თვის წინ და ამიტომ ჩვენ შიდა კონტაქტები გვაქვს სხვა ორგანი-
ზაციებთან. ძირითადად ჩვენი ეკონომიკური კურსი ეს არის დასავლეთში
აპრობირებული საბაზრო ეკონომიკის ფუძემდებლური, ასე ვთქვათ, პოს-
ტულატები, რომელზედაც ჩვენ უნდა ავაგოთ მთელი ჩვენი ეკონომიკა.

გ. მურაიძე. კარგი, მაშინ მე მოგახსენებთ, რომ დასავლეთის
ექსპერტებმა და სპეციალისტებმა სპეციალურად შეიმუშავეს პოსტკომუ-
ნისტური სახელმწიფოებისათვის რეკომენდაციები, თუ როგორ გადავიდნენ
პოსტკომუნისტური სახელმწიფოები საბაზრო ეკონომიკაზე. ანის ორი
კონცეფცია, I კონცეფციას საფუძვლად ედება საგაულტო ფონდის რეკო-



მენდაციები, რომელიც მოხსინჯა პოლიტიკაში და სხვა პოსტკომუნისტურ სისტემებში და სახელმწიფოებში და სადაც კრახი განიცადა, იმიტომ რომ ითვალისწინებდა სტიქიური ზოგადი საბაზრო მეურნეობის დამკვიდრებას. მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ თქვენი პროგრამა სწორედ აი, ამ გზას ეფუძნება, რაც დამერწმუნეთ, მარტო ჩვენი პარტიის მოსაზრება არ გახლავთ, განიხილეთ საქართველოში ისედაც დასუსტებული და დანგრეული ეკონომიკის საბოლოო კრახს. ჩვენი წარმატება ეკონომიკის დარგში შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გავიზიარებთ, რომ საბაზრო მეურნეობაზე გადასვლას სჭირდება სახელმწიფო მართვა. აი, ეს თქვენ გამოსვლაში სამწუხაროდ არ ჩანდა და ჩვენ ვისურვებდით, რომ ეს რეკომენდაციები გავითვალისწინოთ, რადგან სახელმწიფო მართვის გარეშე საბაზრო მეურნეობაზე გადასვლა შეუძლებელია, ეს ანტიკომუნისტურიც გახლავთ, იმიტომ რომ, თქვენ რომ წარმოადგინეთ კონცეფცია ის მიზნად ისახავს იმას, რომ ხალხი ჩავეყაროთ ოკეანეში და მერე ვუყუროთ. ვინც მიაღწევს ნაპირს მიაღწიოს, ვინც არა და არა. ეს არ არის პუმიანი და ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაგდებს, ამიტომ ჩვენ ასეთ წინადადებას წამოგაყენებდით, ავსტრიელებმა შეიმუშავეს კონცეფცია, რომელიც გაიზიარა თითქმის ყველა ევროპის ქვეყნების ექსპერტებმა და ეს დაელო საფუძვლად ჩვენს გადასვლას საბაზრო მეურნეობაზე.

რ. გოჭირიძე. ბატონო გურამ, თქვენ სავსებით სწორი ზრძანდებით. ამას სჭირდება სახელმწიფოებრივი მართვა და თუ თქვენ კარგად გაეცნობით ამ პროგრამას, თქვენ დაინახავთ, თუ როგორ მოხდება სახელმწიფოს დონეზე საბაზრო სტრუქტურის ჩამოყალიბება. ბუნებრივია საბაზრო სტრუქტურები ვერ აღმოცენდება სტიქიურად. მაგრამ მე ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ არსებობს სავალუტო ფონდისა და მსოფლიო სავალუტო ორგანიზაციებთან განსხვავებული ისეთი ალტერნატივა, რომელიც დღეს სადმე მოქმედებს. ეს ალტერნატივა არის ცალკეული პოლიტიკური თუ ეკონომიკური წრეებისა, რომლებსაც დღეს მსოფლიოში ფინანსური მხარდაჭერა აქვთ. მსოფლიო ბანკი და სავალუტო ფონდი და ამავე დროს ხუთი საერთაშორისო ორგანიზაცია, ამას დამატებული ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი, გი, ეს არის ის ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ ფული და რომლის გარეშე ვერაფერ ვერ დაიწყებს რეფორმას. იგივე პოლიტიკა 1 მილიარდი დოლარი გამოუყო სავალუტო ფონდმა, 400 მილიონი დოლარი უნგრეთს, 350 მილიონი რუმინეთს და ფაქტიურად აი, ამ სტაბილიზაციის პროგრამის საფუძველზე დაიწყო რეფორმები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ხოლო რუსეთს გამოუყო მხოლოდ და მხოლოდ 600 მილიონი დოლარი ნაცვლად 24 მილიარდისა, რადგან რუსეთი არ ადგას იმ გზას,



რომელსაც საერთაშორისო გიგანტები სთავაზობდნენ. ეკონომიკური რეფორმა საკუთარი ძალებით განწირულია. ეს შეუძლია თქვას ადამიანთა მიერ მიღწეული მრავალი მძიმე გამოცდა ბარონ მიუნშაუზენის რეჟიმში. თუ ვახსოვთ, რომელსაც იგი ჩავარდა ჰაოზში, მან თმებზე წაიგდო ხელი და ტხენიანად ამოსწია საკუთარი თავი. არ არსებობს დღეს აღმოსავლეთ ევროპაში ქვეყანა, რომელიც საკუთარი ბერკეტებით საკუთარ თავს ამოსწევს. საჭიროა ახალი მარშალის გეგმა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ერპარტის ასე ვთქვათ ეკონომიკური თეორიითა და ამერიკელი კაპიტალის ინტეგრირით გადარჩა. თუ ჩვენ საერთაშორისო სავალუტო ორგანიზაციებს ზურგს შევსაქცევთ, მაშინ საქართველო, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ნახევარი საუკუნის განმავლობაში განწირულია იზოლაციისათვის. დღეს ისინი კარნახობენ მოდას. თუ ჩვენ ვამბობთ, რომ არ მივსდევთ ჰუმანიტარულ პოლიტიკას, არ ვღებულობთ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების რეკომენდაციას და ისინი ამას აღბათ ტელევიზიით უყურებენ, დღეს ისინი მეტეხში იმყოფებიან და ხვალ მიფრინავენ, თქვენ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერცერთ კაპიტალს ვერ მივიღებთ. 70 მილიონი დოლარია გათვალისწინებული 93 წლისათვის, ხოლო შემდეგ ორი ამდენი, რომელსაც სტრუქტურული მოდერნიზაციის გეგმას წარვადგენთ. ასე რომ ჩვენი დამოკიდებულება ამა თუ იმ ეკონომიკურ ორიენტაციისადმი, არის დამოკიდებულება ამავე დროს იმისადმი თუ როგორ შემოვა ჩვენთან ფული. ეს არის წმინდა პრაგმატული საკითხი. და ბოლოს მინდა რეპლიკის სახით გითხრათ დღეს იგივე, რაც ადრეც მიმტვამს, ის რასაც ატარებს საერთაშორისო სავალუტო ფონდი და რეკონსტრუქციის ბანკი ეს არის ის პოლიტიკა, რომელიც უამრავმა ხალხმა მიიღო ნობელის პრემია, დაწყებული ერპარტიდან და დამთავრებული ფრიდმანით. ეს არის ჩიღვს ექსპერიმენტი, ეს არის პოლონეთი. თქვენ წაიკითხეთ უკანასკნელი გამოსვლა ჯეფრისაქსისა რომელიც ამბობს, რომ პოლონეთში ეკონომიკური რეფორმა მიღის წარმატებით. ხოლო ის ქვეყნები, რომლებიც ეკონომიკურ რეფორმას ატარებენ არა პოლონურად ფაქტიურად განწირული არიან მარცხისათვის. მან ერთი მშვენიერი შედარება მოიტანა, თუ ჩვენ დავიწყებთ ეკონომიკურ რეფორმას ცაღ-ცაღვე და არა კომპლექსურად, მაშინ ეს ემსგავსება იმას, რომ ინგლისელები მარცხენა მხრიანი მოძრაობიდან გადავიდნენ მარჯვენაზე, მაგრამ ჯერ მძიმე ავტობუსები გადაიყვანონ.

თავმჯდომარე. ბატონო რომან! ბატონო რომან, მოდიეთ დროის მოგების მიზნით და უფრო კომპლექსური რომ იყოს კითხვებიც და პასუხებიც ჯერ მე-6, მე-5, მე-3-ს მოვუსმინოთ, ჩაინიშნეთ და ერთობლივად გავცევთ პასუხი. ჩემი ძალიან დიდი თხოვნა იქნება, იქნებ შემიფიქრებოთ ამით.



თ. ძლინაშაძე.

ბატონო რომან, თავის დროზე თქვენს განცხადებას
როდესაც რეფორმებს ანორციელებდით, იქ აკრიტიკებდით ამ რეფორმების
მინდინარეობას და ამბობდით, რომ მიწის პრივატიზაცია, ყიდვა-გაყიდ-
ვა უნდა დაჩქარდეს, საწარმოების პრივატიზაცია უნდა დაჩქარდეს,
უცხოელებზე უნდა გაიყიდოს ეს ეროვნული სიმდიდრე, და ამასთანავე
ამის კრიტიკით გამოდიოდით. და თქვენ ახლაც ასე ფიქრობთ, რომ როცა
ჩვენ არა გვაქვს ფული, საკუთარი ფული, გაუფასურებულ რუსულ მანეთზე
იყიდება ეს ყველაფერი, როცა ჩვენ არა გვაქვს არავითარი კონცეფცია.
თქვენ ახლა ბრძანეთ გლობალური კონცეფციაო, ეს საერთოდ არა გქონიათ
თქვენ, და საერთოდ არც დარგობრივი კონცეფციები გაქვთ, როგორ უნდა
გადაწყდეს არსებული სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული პრობლემე-
ბი და სხვა. თუ ასეთ აზრზე ხართ ახლაც? და ერთი შეკითხვა მიქონდა.
აქ ლაპარაკი იყო, რომ ჩვენ შემოგვაქვს ქართული ფული. საერთოდ ყო-
ველგვარ ფულად ერთეულს აქვს თავისი ექვივალენტი. ასეთ ექვივალენ-
ტად მიღებულია ოქრო, შეიძლება ასეთ ექვივალენტად სასაქონლო პროდუქ-
ციაც იყოს. ჩვენ თუ ასეთი ექვივალენტი არ გვექნა ეს ფული იქნება
ქალაქი, რომელსაც რუსული მანეთივით არავითარი ფასი არ ექნება და
ვერც საზღვარგარეთულ მიმოქცევაში იქნება კონვენტირებადი. ერთი
სიტყვით რა შეფარდებაშია ეს ოქროსთან და გათვალისწინებული არის თუ
არა, რომ ეს იყოს მყარი ვალუტა და არა იმ შეფარდებაში მანეთთან
და სხვა.

თავმჯდომარე. მე-5, მე-3, მე-2, მე-7.

მ. ძველიძე.

ბოდიშს ვითხოვ, ერთი წუთით მხოლოდ. მე ვფიქრობ,
რომ ყველაფერი ჩაფლავდება თუ დისციპლინა არ იქნება, მათ შორის
იმ დარგებში, რომელსაც თქვენ განაგებთ. და ვფიქრობ ის გადაწყვეტი-
ლებები, რომლებიც ცოტახნით აღრეა მინისტრთა კაბინეტის მიერ მი-
ღებული, თქვენ მათი სამართალმემკვიდრე ხართ ე.წ. და მათი განხორ-
ციელებისათვის უნდა იბრძოდეთ, სხვანაირად ვერაფერს ვერ მივაღწევთ
და მარტო ლაპარაკად დარჩება. აი, ამ დოკუმენტებს მოგართმევთ, თავს
არ შეგაწყენთ და დანარჩენი თქვენ განაგრძეთ.

რ. გოცირიძე. გმადლობთ, გმადლობთ.

ზ. მურვანიძე.

ბატონო რომან, თქვენ ბრძანეთ, რომ ველსიპედს
გამოგონება არ უნდა და მსოფლიო გამოყვანილებაში არის რეფორმების
სტანდარტი და თქვენ ამ სტანდარტს ემხრობით. გარდა ამისა თქვენ
ბრძანეთ, რომ მსოფლიოში არც ერთი პოსტკომუნისტური ქვეყანა არ გა-
დასულა და ვერც გადავა თუ არ დაიხმარა ძლიერი ამა ქვეყნისა. ამას-
თან ერთად თქვენ ბრძანეთ, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა იგი-

ვეა რაც ინგლისში მარცხნიდან მარჯვნივ რომ ვერ ავტობუსებზე ჩაჯდებით
მაშინ მე მაქვს თქვენთან ასეთი შეკითხვა. დამისახელეთ მსოფლიოში
პოსტკომუნისტური ნებისმიერი სხვა სახელმწიფო სადაც თავისი ვალუტის
გარეშე, სადაც არ არსებობდა თავისი ვალუტა, თავისი საკუთრების გარე-
შე, როდესაც არც მოსახლეობას და არც ორგანიზაციას საკუთრება არ გააჩ-
ნია, თავისი რესურსების აღრიცხვის გარეშე გადასულიყო რომელიმე რე-
ფორმაზე, არა მარტო ასეთ რადიკალურ რეფორმაზე, არამედ ნებისმიერ რე-
ფორმაზე. გმადლობთ.

თავმჯდომარე. მე-2 და მე-7.

ო. მელქაძე. ბატონო რომან, მე ვერ მოვასწარი ამ დოკუმენტის
გაცნობა, რადგან ახლა დაგვირიგეს. უფრო ადრე მე ძალიან ყურადღებით
წავიკითხე თქვენი ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბ-
ლიკაში 29 ივლისს და შეეხებოდა რეფორმის მიმდინარეობას. ვიდრე კითხ-
ვას დაგისვამდეთ მე უნდა მოგახსენოთ რამდენიმე თქვენი შეფასება იმ
პროცესისა. თქვენ ასკვნით, რომ ფასების თავისუფალმა აშვებამ მოგვცა
უმოკლეს დროში მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობის დამყარება.
შემდგომ თანდათან ქრება გვემიური მეურნეობისათვის დამახასიათებელი
ისეთი მოვლენა, როგორცაა დეფიციტი. შემდგომ გაჩნდა პირველი სიმპტო-
მები ჩვენთვის უცხო ტენდენციისა. ეს არის ე.წ. ჰარბზარმოების კრიზისი
და საწარმოებს უჭირთ საქონლის რეალიზაცია, დაიწყო საბაზრო მეურნეო-
ბისათვის დამახასიათებელი გასაღების კრიზისი და შემდგომ ყველა მძიმე
პერიოდმა საქართველოში უკვე განვლო, მე არა ვარ ავად განწყობილი თქვე-
ნი მოქმედების მიმართ, მაგრამ ჩემი კითხვა ასეთია: ისევ ამ პოზიციაზე
რჩებით თუ არა? და თუ რჩებით, იქნებ ღირდეს რეალისტურად შეაფასოთ
მიმდინარე პროცესი.

თავმჯდომარე. მე -7 მიკროფონი.

ი. ორჯონიკიძე. ბატონო რომან, თქვენ, როგორც მე ვიცი, გარდამავალი
პერიოდის კაპიტლის დაკომპლექტებისას, ცნობილი დეკემბრის ამბების შემ-
დეგ, პარტიებმა წარგადგინეს ვიცე-პრემიერის პოსტზე. როგორ გგონიათ
თქვენ გაუმართლეთ მათ ნდობა? ეს პირველი შეკითხვა და შემდეგ: მე თქვენ
გიცნობთ როგორც უაღრესად პატიოსან კაცს რომელიც არავითარ შემთხვევაში
არ დააყენებს პირად ინტერესებს სახელმწიფოსა და სამშობლოს ინტერესებ-
ზე მაღლა, მაგრამ თუ ერთხელ მაინც ამ რ თვის მანძილზე, თქვენ გაგიცხა-
დებიათ აქტიური პროტესტი შიდა საკაპიტისტო სიტუაციაში პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებლისათვის და თუ თქვენ თქვენი მოქალაქეობრივი პო-
ზიცია დაგიცავთ ისე, როგორც თქვენს პატიოსნებას ეკადრება? ეს მეორე



და მესამე: რა გიშლიდათ თქვენ ხელს, ბევრი თვლის, რომ თქვენმა თეორეტიკოსი ხართ და პრაქტიკაში არაფერი არ გაგვეგებათ, ბევრმა მაგრამ მე არ მგონია ასე, მე მინდა მჯეროდეს თქვენი, რამეთუ კარგად გიცნობთ, მე მინდა თქვათ ერთხელ მაინც, პატიოსნად, ამ აუდიტორიის წინაშე ვინ გიშლიდათ ხელს?, რა მომენტები გიშლიდათ ხელს? რა თქმა უნდა ეთიკისა და დღევანდელი პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით. თუ თქვენ ასე წყნარად და მშვიდად აპირებთ გააგრძელოთ თუ დარჩებით, მე ხმას არ მოგცემთ.

თავმჯდომარე. მე-6.

გ. ნილანაძე. ბატონო რომან, ერთი შეკითხვა თქვენთან. თქვენ კარგად მოგეხსენებათ 3 წლის წინ მესხეთ-ჯავახეთის რაიონებში კერძოდ ასპინძის, ახალქალაქის და ნინოწმინდის რაიონში განხორციელდა მეტად დიდ-მნიშვნელოვანი ეროვნული საქმე. ჩამოსახლდა აჭარის მთიანი რაიონებიდან მოსახლეობა. მათთვის აშენდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახლები. მაგრამ ამ 2 წლის მანძილზე იმის გამო, რომ არ მიექცა სათანადო ყურადღება ამ ხალხს, არ შეექმნა მინიმალური ცხოვრების პირობები. ძალიან ბევრი იძულებული გახდა გაბრუნებულიყო უკან. მათ მიერ მიტოვებული სახლები დღეს გაპარტახებულია, დაცლილია და თავისთავად უპატრონოდ მიტოვებულ ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიანო, ასე ჰაერშია ჩამოკიდებული მილიონობით მანეთი დღეს დღეობით. თქვენ როგორ გესახებათ პერსპექტივა, რა ეშველება ამ საკითხს? დადგება თუ არა ხელახლა საკითხი სახელმწიფო პოლიტიკის ამ ნაწილში, რომ განხორციელდეს და ბოლომდე იყოს ეს საქმე მიყვანილი? ეს მეორე ნაწილი ჩემი შეკითხვისა.

თავმჯდომარე. დეპუტატებს ვთხოვ შესვენებამდე დაიკავონ ადგილი და ნუ გავლენ გარეთ.

ამავე რაიონებში არის მეორე კატეგორია მკვიდრი მოსახლეობის, რომლებიც დღემდე ცხოვრობენ მიწურ ბინებში. ამ ხალხისათვის იმ პერიოდში არ იქნა გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტში, რომ მათთვის აშენებული ყოფილიყო ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. დღეს ეს სახლები უკვე თავზე ექცევათ ხალხს. ძალიან ბევრი სახლი დანგრეა ასპინძის, ახალქალაქის რაიონში და ეს ხალხი გასახლებული არის დროებით თავიანთ ახლობლებთან და ნათესავებთან. ეს ბინებია 100-200 და შეიძლება მეტი წლის.

როგორ ფიქრობთ დაიმსახურა თუ არა ამ ხალხმაც, რომ უახლოეს მომავალში განხორციელდეს, დაიგეგმოს ღონისძიებები, დაიგეგმოს მათთვის საცხოვრებელი სახლები, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, რადგან იმ ოჯახმა, რომელმაც ვერ შეძლო დღემდე ბინის აშენება, დღეიდან მითუმიტებს ვერ



შეძლებს. ეს ხალხი რჩება ისევ ღია ცის ქვეშ. თქვენი მიდგომა რა არის ამ კითხვისადმი?

თავმჯდომარე. ბატონო დეპუტატებო, ძალიან დიდი თხოვნა გვაქვს. შევითხვეთ იყოს შეკითხვები. 2-3 წინადადებაში ძალიან კარგად გამოითქმის. (ხმაური დარბაზში).

მადროვით ბატონო ირაკლი, მადროვით, გეტყვით. შევითხვა იყოს შეკითხვა, რაც შეეხება ვიცე-პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის არჩევას, საქართველოს ეკონომიკის გარჩევას ახლა ვერ დავიწყებთ და ამ საკითხს ვერ ამოვწურავთ. ყველაფერი რაც თქვენ ზრძანეთ საინტერესოა, მაგრამ სხვა დროისათვის იყოს თეორიული კონცეფციის სახე რომ არ მიიღოს და დროც დავზოგოთ და შედეგიც მივიღოთ.

მე-7, მე-5, მე-4, მე-6.

ბ. გველნიყელი. ბატონო რომან, ეჭვი არ მეპარება, რომ მეცნიერულად დასაბუთებულია და შეებადება ორი შეკითხვა: 1. როდის მოხდება ჩვენი ეკონომიკის უკუსვლა? 2. როდის ამუშავდება ეს პროგრამა? და 3. როდის იქნება პირველი დადებითი პერსონები ჩვენს ეკონომიკაში?

თავმჯდომარე. გმადლობთ. მე-5.

მე პირადად მაინტერესებს თქვენ რას თვლით პირად ნაკვალად და თუ გვეტყობით ამის თაობაზედ.

თავმჯდომარე. მე-4.

რ. კალაძე. მე ბატონ სპიკერთან მაქვს სიტყვა. ძალიან გთხოვთ, ბატონ რომანს ჩვენ ყველანი ვიცნობთ. მე ასე მიმაჩნია ყოველ შემთხვევისათვის, ვიცით მისი ყველა მხარე, წარმოგვიდგინებს მისი კანდიდატურა, ჩემი წინადადებაა და მე მგონი უმრავლესობისაც ვუყაროთ კენჭი.

თავმჯდომარე. გეთანხმებით.

რ. კალაძე. და შევითხვეთ და ის შემდეგ იქნება. ამდენ ხანსაც რომ მიგვეცა შეკითხვა ბატონ რომანისათვის, ის უარს არ იტყოდა, ისეთი პიროვნება გახლავთ ბატონი რომანი.

თავმჯდომარე. გასაგებია. ბატონ ირაკლის გული დაწყდა. დროზე არ მივეცით სიტყვა.

ი. წერეთელი. არა, მე იმის თქმა მინდოდა, რომ ვისაც არ შეუძლია ისე ჩამოაყალიბოს თავისი სათქმელი როგორც ბატონმა მეღქაძემ ჩამოაყალიბა ან იუმორის გრძობა არა აქვს როგორც იზა თრჯონიკიძეს, საერთოდ ნუ ილაპარაკებს და ნუ გამოვსა ტრიბუნაზე. ეს ჩემი თხოვნაა დეპუტატებისადმი.



ან საქმიანი ღაპარაკი უნდა შეგვეძღვოს ან იუმორი, როცა არც გვაქვს და არც მეორე ნუ შევაწუხებთ აუდიტორიას და უფრო მეტი მილიონ მაყურებელს. (ხმაური დარბაზში).

თავმჯდომარე. ახლა ბატონო რომანს ვთხოვთ, რაც უფრო ლაკონურად უპასუხებნს, მით უფრო მეტი წარმატება ექნება.

რ. გოცირიძე. მოკლე პასუხების გაცემა ამ კითხვებზე ძნელია, მაგრამ შე მაინც შევეცდები. ასე რომ, თუ მაინც ბოლომდე ვერ დაკმაყოფილდა შექვენი ინტერესი, შემიძლია პირადად მოგახსენოთ.

მე შევეცდები რამოდენიმე შეკითხვა დაგაუგუფო. 1. უკუსვლა როდის მორჩება? და ბატონო მეღქაძის შეკითხვა. ის რომ საქართველოში, ასეთი ფრაზა იყო ჩემს გამოსვლაში სახელმწიფო საბჭოზე, რომ საქართველოში ყველაზე ძნელია პერიოდში უკვე განვლო.

მოგახსენებათ ეს იყო 7 თვის წინ. სამწუხაროდ ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები ერთმანეთისაგან განუყოფელია საქართველოში. 7 თვის წინ, ეს იყო ივნისის თვე, ჩვენ გვექონდა იმის იმედი, რომ არჩევნები ჩატარდებოდა იმ პერიოდში და მივიღებდით ისეთ ხელისუფლებას, რომელიც მეტ-ნაკლებად ახლა არის ფორმირებული. ნაწილობრივ მე ქალბატონ იზას შეკითხვასაც მივხარ პასუხი გავცე. პირველი წინამძღვარი ჩვენი ეკონომიკური წარმატებისა იქნებოდა ლეგიტიმიური ხელისუფლების ჩაბრუნება. და მეორე ის რომ ფაქტიურად ეკონომიკური რეფორმის გაცხოველების გარკვეული ნიშნები შეიმჩნეოდა. სამწუხაროდ პოლიტიკურმა ფაქტორებმა ძირითადად გააფუჭა მთელი ეს სარეფორმო მზადება, ეს გამოიხატება პირველ რიგში, შესაძლებელია პირველი რიგის ემოციური დატვირთვა უფრო მეტად სატრანსპორტო ბლოკადასა და ომზე იყო გადატანილი, მაგრამ არა ნაკლებია, საფინანსო იზოლაცია. ფაქტიურად საქართველო მოექცა ფინანსურ-საკრედიტო ვაკუუმში. როდესაც აუცილებელი ხდება, თუ შეიძლება ითქვას, პროვოცირება ხდება საკუთარი ვალუტის შემოღებისა იმ დროისათვის, როდესაც ჩვენ არა გვაქვს მისი უზრუნველყოფა, არა გვაქვს სტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა, რაც მთავარია არა გვაქვს საქონელი, რომლის გაცვლა შეიძლება იმ აუცილებელ საქონელზე, რომელსაც ჯერ-ჯერობით მანეთზე ვყიდულობთ. ეს არის ნაცემბ-პროდუქტები, ეს არის გაზი. საქართველოში რომ იყიდოს მხოლოდ თურქმენეთის გაზი, ამას არ უყოფა საქართველოში წარმოებული ეროვნული შემოსავლის ნახევარი. დღეს ჩვენ გაზს ვყიდულობთ მანეთით. ფაქტიურად ჩვენ, პარლამენტი მივიღებთ გადაწყვეტილებას, გამოვუშვებთ საკრედიტო ემისიას, ეროვნული ბანკი გასცემს ამ სამანეთო ემისიას სპეციალიზირებულ ბანკებზე, შემ-



დღე გადარეცხება საწარმოს, საწარმოთ გადარეცხავს თურქმენეთში რუსეთის ტერიტორიად მოდის გაზი უფასოდ. უფასოდ იმიტომ, რომ ჩვენ რუსულ მსხვერპლს ვცირით ადგილზე. ეს არის ელემენტალური საფინანსო ექსპანსია, რომელსაც რუსეთმა ნახევარი წლის წვადების შემდეგ აულო აულო და გადაგვიყვანა საკორესპონდენტო ურთიერთობებზე. გამოგვიყო 20 მილიარდი მანეთის ტექნიკური კრედიტი, რომელიც ამოვწურეთ ბოლო კაპიტალიდ. რამდენიც არ უნდა გადავრეცხოთ ჩვენ ფული რუსეთში, იქ არც ერთ კაპიტს რუსეთის ეროვნული ბანკი არ გაატარებს. ჯერ-ჯერობით ჩვენ ესეთი გადარეცხვები შეგვიძლია თურქმენეთში, ყაზახეთში, ამიერკავკასიის რესპუბლიკებში. ე.ი. რუსული მანეთის ჰაერიდან წარმოქმნილ შემოგვაქვს მატერიალური დატვირთვის საქონელი. ამავდროს ვპასუხობ ბატონ ქართლოს ღარიბაშვილს, შეიძლება თუ არა რეფორმების გატარება საკუთარი სავალუტო, ასე ვთქვათ, სისტემის არქონის პირობებში, რა თქმა უნდა შეიძლება. მაგრამ ეს იქნება გაცილებით ძნელი და ძვირი, ვიდრე ის, რომ ჩვენ გვექონდეს საკუთარი საფინანსო სისტემა. ჩვენ ვ დღის განმავლობაში ვკამათობდით ამერიკელებთან, რა ვქნათ, შემოვიღოთ ქართული ფული თუ არ შემოვიღოთ. შემოვიღებთ ქართულ ფულს - ეს ნიშნავს უზარმაზარ უარყოფით სავაჭრო და საგადამხდელ სადღოს, და ფაქტურად უზარმაზარ საგარეო ვალს. არ შემოვიღებთ და სწორი ბრძანდება ბატონი მურვანიძე, რომ ამ შემთხვევაში ფინანსური სტაბილიზაციის მიღწევა ძალიან ძნელია. რადგან ხდება ფასების კატასტროფული ზრდა. ის, რომ რუსეთში ფასები იზრდება, ავტომატურად ვრცელდება ჩვენზეც. ამიტომ ბატონოთარს ვუპასუხებდი, რომ ფასების ზრდა საქართველოში არ არის თვითმზანი. საქართველოში ფასების ზრდა ირიბი ფაქტორების ზემოქმედებით ხდება. ეს არის რუსეთის ფაქტორი, რომლის თავიდან აცილება არ შეუძლია, არა მარტო საქართველოს, არამედ იმ ქვეყნებსაც, რომელსაც თავისი ვალუტა გააჩნიათ. იგივე ბალტიის რესპუბლიკებს. ასე რომ უკუსვლა როდემდე გაგრძელდება? უკუსვლა გაგრძელდება, რადგან მსხვერპლური ცვლილებების გატარება აუცილებელია. საქართველოში ჩვენ ვერ შევინარჩუნებთ იმ გიგანტ საწარმოებს, როგორცაა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, ასევე ინდუსტრიის იმ კომპლექსს, რომელიც ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ნაწილი იყო. სამწუხაროა, მაგრამ ჩვენი საწარმოო გიგანტები, ფაქტურად გაჩერების პირასაა მისული. ამიტომ საჭიროა იგივე უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, სანაცია, მათი გამოყოფილება, მაგრამ სტრუქტურული მოდერნიზაციის პირობებში უკუსვლა გაგრძელდება დაახლოებით 2-3 წლის განმავლობაში. 2-3 წლის განმავლობაში საქართველო გაივლის ღრუბრალობისა და ასე ვთქვათ ადაპტაციის ეტაპს. 3 წლის შემდეგ უკვე უნდა დაიწყოს სტრუქტურული მოდერნიზაციით გამოწვეული შედეგები. აღმავლობა დაიწყება 3-5 წლის შემდეგ. ჩვენ თუ ვიტყვით, რომ ეკონომიკური



რეფორმა ჩავარდა, რადგან წარმოების ტემპის დაცემა ჩვენ ვერ შევძლებდით. რეთ ეს არ იქნება სწორი. ეკონომიკური რეფორმის კრიტერიუმი ვერ იქნება დღეს წარმოების ტემპის ზრდა. ეკონომიკური ზრდის კრიტერიუმი განვითარებულ ქვეყნებში არის წარმოების ტემპი. იზრდება წარმოების მოცულობა ეკონომიკა ჯანსაღია. ჩვენთან კრიტერიუმად უნდა ავიღოთ სხვა რამ. 1. წარმოების ტემპის დაცემის შემცირება და 2. საბაზრო ინფრასტრუქტურის წარმოქმნა და მე დაწესებული ვარ იმაში, რომ 3 წლის შემდეგ საქართველოში შეიქმნება საბაზრო ინფრასტრუქტურა. იქნება კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, იქნება დამოუკიდებელი სააქციო საზოგადოებები. ფაქტურად სისხლძარღვთა სისტემა ამუშავდება, რომელსაც უნდა მოყვეს ეკონომიკის გამოცოცხლება. ამიტომ დაცემა გაგრძელდება 2-3 წლის განმავლობაში. თუმცა ამ დაცემასაც უნდა თავისი პარამეტრები, ასე ვთქვათ, მთავარია როგორ დაეცემა ჩამოვარდები, თუ ასე ვთქვათ, რბილად. რბილი დაცემის ერთ-ერთი ვარიანტია სწორედ სტაბილიზაციის კრედიტი, რომელზედაც ჩვენ უკხოველები გვპირდებიან.

თავმჯდომარე. ბატონო რომან, იქნებ რეგლამენტზე ვიფიქროთ.

რ. გოცირიძე. რაც შეეხება მესხეთ-ჯავახეთის საკითხს, მოკლედ გიპასუვნებთ. თქვენ სავსებით სწორი ბრძანდებით, აუცილებელია სახელმწიფო სუფსიდიები და ბიუჯეტიდან დაფინანსება. ბიუჯეტის განხილვის დროს. ეს ბიუჯეტი გამოვა ალბათ 1 თვის შემდეგ. ჩვენ ბიუჯეტზე ვმუშაობთ. პირველი ვარიანტი გაკეთებულია. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია ამას ტანიხილავს და აუცილებლად იქ უნდა იყოს სწორედ ამ გადასახლებული ადამიანების ბედი განსაზღვრული და ეს ბინებიც უნდა აშენდეს პირდაპირ საბიუჯეტო ასიგნების საშუალებით. რაც შეეხება ქართულ ფულს. ქართული ფულის შემოღება შეიძლება ხვალვე, მაგრამ მისი შემოღება უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც იქნება ამის მომენტი. ჩვენ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ რუსეთის სამანეთო სივრცის დეზორგანიზაცია, ბარიერების შექმნილობის შეუქმნელობა და უნდა ვისარგებლოთ ამ მომენტით. არ სარგებლობა რაღაც პატრიოტული მოტივით, სულისკვეთების დაკმაყოფილების მიზნით ჩვენის მხრივ დანაშაული იქნება. ჩვენ უნდა ვიყოთ პრაგმატიკოსები. ქართული ფული უნდა შემოვიღოთ მაშინ, როდესაც ეს იქნება ოპტიმალური, თუმცა ქართული ფული ჩვენ შეგვიძლია შემოვიღოთ 2-3 თვეშიც, მაგრამ ეს ჯერ-ჯერობით არ გვპირდება. ჩვენ გვგონია, რომ ფინანსურ სფეროში ფულთან მიმართებაში ჩვენ მივდივართ სწორი გზით. მიუხედავად კარგ გამოცდილებას ვღებულობთ იგივე უკრაინა და ბალტიის რესპუბლიკების სახით. შემდეგ რაც შეეხება ქალბატონ იზას



შეკითხვას. ეს შეკითხვა ქალბატონო იზა, როდესაც ბრძანებთ ღვაწლით, ღელთ თუ არაო იმ პარტიების რეკომენდაცია, რომელმაც მე მთავრობაში წარმადგინა. მე ვამბობ, რომ გავამართლე, შეიძლება ეს იყოს ხმამაღლა ნათქვამი, მაგრამ მე დავინახე ერთი რამ, ის რომ თუნდაც შიდა სამზარეულო შევისწავლე ხელისუფლების, რა არის ხელისუფლება, როგორ იქმნება ხელისუფლებაში ძალაუფლება, რა მექანიზმები განსაზღვრავენ ხელისუფლების არაკვალიფიკაციის კმედეხას, სად არის საჭირო კანონი, სად არის ხაჭირთ, ასე ვთქვათ, პიროვნული მომენტები და სად პრინციპულობა. ამიტომ მე ვიცი რა არის ხელისუფლება. რა თქმა უნდა მე აკადემიური სფეროდან მოსული კაცი ვარ. სხვათა შორის ყველანი, დაწყებული ჩილედან დამთავრებული რუსეთით ატარებენ რეფორმას, არც ერთ ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმა არ გატარებულა ასე ვთქვათ მაკროეკონომიკური თეორიების გარეშე. ძირითადად ის ხალხი აკადემიური სფეროდან არიან მოსული. მაგრამ გვერდში პრაქტიკოსები უდგანან. რუსეთში ამას დირექტორთა კორპუსს ეძახიან. ამიტომ საჭიროა ხელისუფლების მყარი აპარატული გამოყვანილების მქონე ადამიანების გვერდში დაყენება და ის რასაც ბატონი ედუარდი აკეთებს, თუნდაც იგივე ვიცევ-პრემიერს, როდესაც იხილავთ თქვენ მრეწველობის სფეროში. არის ძალიან ბევრი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები. ძალიან ბევრჯერ ვამბობდი, მთავრობის კაბინეტის თითქმის ყველა სხდომაზე, შეგიძლიათ ამოწიოთ, ესენი ყველაფერი იწერება, ჩაწერილია ვიდეოზე, მაგნიტაფონზე და დაინახავთ თუ რა უზარმაზარი წინააღმდეგობები მხვდებოდა განსხვავებული ეკონომიკური პოზიციის მქონე ადამიანებისაგან. აქ მე არ ვლაპარაკობ პიროვნულ შეუთავსებლობაზე. აქ ლაპარაკი არის ეკონომიკური ცნობიერების შეუთავსებლობაზე. რაც შეეხება იმას, თუ რა ნაკლი მაქვს. ეს ნაკლი ბატონმა ედუარდმა ბრძანა. ეს ნაკლი არის ის, რომ ასეთ პრინციპულ შემთხვევაში არ შემიძლია კომპრომისი. შეიძლება ეს ერთი მხრივ იყოს ნაკლი და შეიძლება ღირსება. მაგრამ მოგეხსენებათ პოლიტიკა ეს არის კომპრომისების ბაღანსი, წონასწორობა, კომპრომისი ვერ ვისწავლე. შესაძლებელია ამ ეტაპზე საჭირო იყოს უფრო მეტი მოზილურობა, დიპლომატიურობა, ნუ მე ჩემის მხრივ ამას შევეცდები, მაგრამ თუ საჭირო იქნება არასდროს, პრინციპული პოზიციებიდან არასდროს უკან არ დავიხევ.

თავმჯდომარე. გმადლობთ. მე მგონი საკმარისია. საკმარისია და ახლა ვაწახს ვუდარ გავაგრძელებთ. ახლა მართლ კენჭისყრა. ბატონებო ახლა დისკუსიის დრო არ არის. ახლა მოვემზადეთ კენჭისყრისათვის და კენჭისყრით გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება.



დარბაზიდან. ბატონო ვახტანგ, განცხადება მინდა გავაკეთო.

თავმჯდომარე. ახლა არავითარი განცხადება, ძალიან გთხოვთ.

დარბაზიდან. პრინციპული განცხადება ნაქვს.

თავმჯდომარე. არავითარი პრინციპული. პრინციპულად გთხოვთ დავიცვათ წენი და რიგი. დავამთავრეთ ყველა რეგლამენტი.

დარბაზიდან. პრინციპული განცხადება ნაქვს, რომელსაც მნიშვნელობა აქვს ჩვენი წინების თვალსაზრისით. მე გთხოვთ მომცეთ სიტყვა, ერთი წინადადება მინდა ვთქვა.

თავმჯდომარე. მე-ნ მიკროფონი.

ი. ორჯონიკიძე. ბატონო თემურ, თქვენ რომ ახლა მეორედ არ ამდგარიყავით, მე წელან თავი შევიკავებ და თქვენი გამოსვლა, რომანთან პოლემიკის დროს ძალიან არასიმპათიურად დაიწყეთ თქვენ. სიტყვა ეროვნული და მოსერება გააკეთეთ რაღაც ისე მოვერიდეთ, როცა საქმიანი ლაპარაკი გვაქვს ჩვენს პარლამენტში ისეთი პედალების დაჭერას, რომელიც პირველსავე შემთხვევაში ჩვენ შეგვრაცხოფენ და შემდეგ პარლამენტს. თქვენ კიდევ აპირებთ გაყიდოთ ის, ასე, ლაპარაკი, აქ სხედან ადამიანები მეტნაკლები გონებრივი მონაცემით, ინტელექტით, მაგრამ ვერავის ვერ დასწამებ იმას, რომ იმას უნდა რაიმე გაყიდოს, თავისი სამშობლო გააცაბტვეროს. ყველასა გთხოვთ შეიძლება არც გვიყვარდეს ერთმანეთი, მაგრამ, აი ის ეთიკური ნორმა დავიცვათ ურთიერთობისა და იმ კომუნისტური შეთოდებით ერთმანეთის განადგურებას მოვერიდოთ. უკაცრავად.

თავმჯდომარე. ახლა მოვეშბადოთ კენჭის ყრისათვის. ჯერ რეგისტრაცია. გთხოვთ რეგისტრაციას. შემდეგ კენჭი ვუყაროთ. ხმათა უმრავლესობით.

პრემიერ-მინისტრის მოადგილის პოსტზე არჩეულ იქნეს რომან გოცირიძე.

ტაში დარბაზში.

თავმჯდომარე. მივულოცოთ ბატონ რომანს წარმატება და გამარჯვება. ახლა ბატონ ელუარდს მოხუსმენთ და ძალიან გთხოვთ, იქნებ განვსაზღვროთ მომავალი კანდიდატისთვის ჩვეულებრივად ნ წუთამდე.

ე. შევარდნაძე. მე მერჩია, რომ ბატონ რომანს წაეკითხა ეს 120 გვერდი წონსენება. მერე დანარჩენები უფრო იოლად წავიდოდა. ვულოცავ მას ძალიან მაღალ ნდობას, რომელიც ჩვენმა პარლამენტმა და შესაბამისად



ჩვენმა ხალხმა გამოუცხადა და ვუსურვებ წარმატებას. შემდეგ უნდა შევხვედეთ ენება ეკონომიკის სამინისტროს. როცა სტრუქტურას ვიხილავდით, სტრუქტურა უნდა იყოს როს შესახებ ჩვენ ვიმსჯელებთ. იყო სხვადასხვა დამოკიდებულება და ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ამ ეტაპზე ასეთი სამინისტროს შენარჩუნება როგორც ერთ-ერთი ცენტრალური რგოლისა აუცილებელია. მე აქვე მინდა ვთქვა, რომ ამ სამინისტროში ამჯერად მუშაობს ძალიან ღირსეული პიროვნება. ერთ-ერთი ცნობილი, კრისტალური პატიოსნების კაცი, ანალიტიკურად მოაზროვნე და სხვა. მაგრამ დრო მაინც თავისას მოიხმოს და ის რაც მინდა ბატონოში ვარძელაშვილზე ვთქვა ეს მინდა გავავრცელო სხვა მინისტრებზეც. ცალ-ცალკე ლაპარაკი დღეს არ გამოვა, მე და ბატონო შენგიზს გვექნება საშუალება ცალკე შევხვდეთ მათ, შევეკრებთ და ვინც მაღლობის ღირსია მაღლობას გადავუხდით პარლამენტისა და ქვეყნის სახელით.

ახლა ვილაპარაკოთ კანდიდატურის შესახებ. მე გთავაზობთ განიხილოთ ბატონო მიხეილ ჯიბუტის კანდიდატურა ამ პოსტზე. ბატონი მიხეილი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი გახლავთ, 80-ზე მეტი შრომის ავტორია, 36 წლისაა, სახელმწიფო უნივერსიტეტში დოცენტად მუშაობდა პროფესორად. ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე და ა.შ. და ბოლოს იყო წამყვანი მრჩეველი ეკონომიკის საკითხებში. ეკონომიკური რეფორმების შტაბის თავმჯდომარის მოადგილე. აქვე მას იცნობთ. ის აქტიურად მონაწილეობს დისკუსიებში, დებატებში. მეც ზოგი რამ წამიკითხავს და ბევრი რამ გამიგია ჩვენი კოლეგებისაგან. დახასიათება ასეთია: პრინციპული კაცია, თეორიულად კარგადაა მოზადებული, კარგი სკოლა გაიარა, თუ არ ცვდები მოსკოვის უნივერსიტეტი აქვს და მთავრებული. მის თანაკურსელებს ახლა საკმაოდ საკვანძო და ღირსეული პოსტები აშარიათ სხვადასხვა ქვეყნებში. და ჩვენ მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება მივცეთ მას რეკომენდაცია. ბატონო რომან გოცირიძეს აზრი და ბატონო შენგიზ სიგუას აზრი რა თქმა უნდა გათვალისწინებულია. და გათვალისწინებულია ზოგიერთი დეპუტატის აზრიც, რომელსაც ჩვენ ფეთათბირეთ. კიდევ იქნება სხვა კანდიდატურა. ყველას ერთი საერთო ნაკლი გვაქვს და მე ვთხოვ ბატონო მიხეილსაც, ბატონო რომანსაც ჟა ეს მათ თანაბრად შევხებოთ მეც, ჩვენ ახლა საკმაოდ შორსა ვართ ნამდვილი, რეალური ცხოვრებისაგან. აი, სადაც დულს ცხოვრება, სადაც წყდება ზედი ახალ ეკონომიკაზე, საბაზრო ეკონომიკაზე ჭადასვლისა ამ სფეროში წვდომა თვითოეული ჩვენთაგანის ვალია. მე მიმაჩნია, რომ კანდიდატებს, რომელსაც ჩვენ შემოგთავაზებთ... ისინი თეორიულად კარგად მოზადებული ხალხია, შხად არიან ამ დიდი სამუშაოსათვის. მაგრამ ეს არაა მათი მიზები, ცხოვრება აეწყოს ასეთნაირად, აი ეს ნაკლი ყველა ჩვენთაგანს აქვს. აი, ეს გავითვალისწინოთ და მე შგონი ბატონო მიხეილსაც არ ეწყინება, თუ ასეთ თხოვნას გადავცემ და ასეთ რეკომენდაციას და ასეთ სურვილს გამოვთქვამ. გთხოვთ ვიმსჯელოთ.



თავმჯდომარე. შეკითხვა ხომ არა გაქვთ?

ხმაური დარბაზში.

თავმჯდომარე. მივიღოთ ეს წინადადება, რომ კენჭი ვუყაროთ.

ხმაური დარბაზში.

თავმჯდომარე. სხვა წინადადება ხომ არ არის?

დარბაზიდან. არა.

თავმჯდომარე. არ არის. კეთილი. მაშინ მოვეშადოთ კენჭისყრისათვის. ვინ არის შრომითი ეკონომიკის მინისტრად დამტკიცებული იქნეს ბატონი მიხეილ ჯიბუტი?

ტაში დარბაზში.

ე.შეგვარდნაძე. მივცეთ ტრიბუნა?

დარბაზიდან. არა.

ე.შეგვარდნაძე. არ არის საჭირო? მივულოცოთ ასეთი დამაჯერებელი ერთსულფრენება. (ტაში დარბაზში).

შემდეგი ამოცანა, მაგრამ არა გამოცანა. მე მინდა შემოგთავაზოთ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის ძალიან საპასუხისმგებლო პოსტზე, ძალიან საპასუხისმგებლო სამინისტროში, უწყებაში, ლიდერის როლში და ვგულისხმობ რომ ფინანსთა სამინისტროსთან იქნება საგადასახადო ინსპექციაც. ბატონი კახა პოპიაშვილის კანდიდატურა. ბევრი შექვეითაგანი იცნობს. მოკლე მონაცემები: გახლავთ ეკონომისტი, უფრო ზუსტად ინჟინერ-ეკონომისტი, წლების განმავლობაში მუშაობდა რესპუბლიკის ბანკში განყოფილების გამგედ. ფინანსთა სამინისტროს განყოფილების უფროსად. ტრესტმშენის მმართველის მოადგილედ, ეკონომიკურ საკითხებში. ნ წლის განმავლობაში იყო ფინანსთა სამინისტროსთან არსებული საკონსულტაციო ფირმის ხელმძღვანელი. ბოლო ხანებში მუშაობს ფინანსთა მინისტრის პირველ მოადგილედ. როგორც შექვენ ასევე მე შექონდა საშუალება რამდენჯერმე შეგხვედროდი მას, მენახა მუშაობაში, როგორც იტყვიან. ეს ისეთი სამინისტროა და ისეთ მდგომარეობაში არის ჩვენი ფინანსები, რომ ძალიან ძნელია ყველა თხოვნა, ყველა საკითხი დადებითად გადაწყდეს ვინც არ უნდა იყოს იქ მინისტრად. მაგრამ აქ მთავარი მაინც მსოფლმხედველობაა, მდებარეობაა, მისი დამოკიდებულება რეფორმებისადმი, საქმისადმი და შე მიბაჩნია, რომ თუ რომელიმე დარგს ღირდება სერიოზული რეფორმა და სერიოზული ცვლილება, ეს ჩვენს საფინანსო სისტემას სჭირდება. მე



ისეთი შთაბეჭდილება შემიქმნა, რომ ბატონი კახა აი, ამ მოთხოვნებს უკმაყოფილოა სუხობს. რა თქმა უნდა ძალიან შორსა ვართ იმისაგან, რომ სრულყოფილი მინისტრი იქნება ხვალიდანვე. რომ უნდა ისწავლოს, ბევრი რამ უნდა აითვისოს და ისე როგორც ეს სხვა ჩვენ კოლეგებს ვუსურვებ, პირველ რიგში ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ უნდა ვიხარშებოდეთ იქ სადაც ცხოვრება დულს. მაშინ ჩვენ ვიქნებით ნამდვილი რეფორმატორები და კარგად გავუგებთ ხალხს. აი, ეს მინდოდა შეთქვა. მე მგონი ბატონი თენგიზიც ამას ფიქრობს.

თავმჯდომარე. როგორი იქნება დეპუტატების აზრი? შეკითხვები იქნება?

დარბაზიდან. არა.

თავმჯდომარე. ვუყაროთ კენჭი? ბატონ გივის აქვს წინადადება.

დარბაზიდან.

თავმჯდომარე. მისაღებია ეს წინადადება. 5 წუთი მივცეთ.

კ. პოპიაშვილი. შეკითხვის შინაარსი იმდენად ვრცელ პასუხს მოითხოვს, თუ ნებისმიერ შემთხვევაში ძალიან მოკლე თეზისების სახით ჩამოვყალიბებ პასუხებს.

პირველ რიგში ახლებურად არის გასააზრებელი საფინანსო სისტემის მართვისა და რეგულირების საკითხები. აქაც მე შინადა დავეთანხმო ბატონ რომანს არ არის საჭირო ქართული ველოსიპედის გამოგონება, არსებობს საერთაშორისო სტანდარტები, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვაპირებთ საერთაშორისო სისტემებთან ინტეგრირებას. მათთან ერთად მუშაობას, ამიტომ მათი გამოცდილების ადაპტირება აუცილებელია, ამას ჩვენ ვერ გავვექცევით საქართველოს სპეციფიკიდან გამომდინარე მოგვეცემს საშუალებას ახალ სიმაღლეზე ავიყვანოთ ქვეყანაში ფინანსების მართვის მთელი რიგი საკითხები. მათ შორის პირველ რიგში მხედველობაში მაქვს ბიუჯეტის საკითხები. დღეს-დღეისობით გადაუღებელ ამოცანად მიმაჩნია ბიუჯეტის შესახებ კანონის მიღება. პროექტი ძალიან ინტენსიურად მუშავდება და ვფიქრობ უახლოეს დღეებში წარმოვუდგინოთ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, შემდეგ შესაბამისად სხვა კომისიებს და აგრეთვე პარლამენტს განსახილველად და დასამტკიცებლად, რა თქმა უნდა შთავრებაში წარდგენის შემდეგ.

მეორე საკითხი საგადასახადო პოლიტიკაა. ეს არის სწორედ ის გარემოცვა, რაშიც ჩვენ ვთავაზობთ ინფუნქციონეროს ჩვენმა საბიუჯეტო ერთეულებმა. ამერიკის შეერთებული შტატები წელიწადსა და 4 თვეში საგადასახადო სისტემაში შედის მეტ-ნაკლებად სერიოზული ცვლილებები. ქართული



საგადასახადო პოლიტიკის პირველი დოკუმენტების პაკეტი წელს დაბეჭდილ
და ლოგიკურია მასში მოსალოდნელია ცვლილებები, რომელთაც აგრეთვე წარ-
მოვუდგენთ პარლამენტს განსახილველად და შესაბამისი კანონის მისაღე-
ბად. იმდენად ჩამდენადაც შეიძლება ჩვენ იძულებული ვიყავით დროებითი
მთავრობის დადგენილებით მიგვეღო. მაგრამ ეს საკითხი თავისი რანგით
თხოვლობს პარლამენტის დამტკიცებას.

ერთ-ერთი აუცილებელი საკითხი, რომელიც მომავალში გასაკვეთებელია
და პირადად მე ვთვლი, რომ უკვე დაგვიანებულია, ეს არის აუდიტორიული
მომსახურების ჩამოყალიბება, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული ფინანს-
სურ კონტროლთან. იდონდ, რასან ამას მე ვაშბობ, ძალიან გახოვთ ისე ნუ
გაიგებთ, რომ მე აქ მხედველობაში მაქვს ფინანსთა სამინისტროს კონტრო-
ლი, აქ არის საუბარი ფინანსურ კონტროლზე ფინანსური რეზულტატებით
საქმიანობის შეფასებაზე, რომელიც ჩვენ დღეს უკვე გვეჭირდება იგივე
კერძო სექტორში, სახელმწიფო სექტორში და ა.შ. ამ საკითხში ჩვენ ნამ-
დვილად გვაქვს ჩამორჩენა, პირველ რიგში მხედველობაში მაქვს ფინანსუ-
რი ანგარიშგების არარსებობა საქართველოში.

სხვათა შორის სტანდარტების კოორტიტში მომავალ წელს ძალიან ინ-
ტენსიურად იქნება მიმართული ამ მიმართულებით მუშაობა, რათა იგივე
სააქციო საზოგადოებებში დიდი მოცულობის შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოებებში საზოგადოებას გააცნოს, და ის ინფორმაცია ხელმისაწვდო-
მი იყოს ნებისმიერი მომხმარებლისათვის, მათი საქმიანობის შედეგების
შესახებ ერთ-ერთი ძალიან სერიოზული საკითხი, რომელიც აგრეთვე თხოუ-
ლობს გადახედვას და გადახალისებას, ეს არის საგარეო ეკონომიკური ურ-
თიერთობების საკითხი. დღეს დღევით, ყოველ შემთხვევაში ჩვენი გადასა-
ხედიდან ასე ჩანს, რომ ეს საკითხი არის დაქსაქსული სხვა და სხვა უწყ-
ებებში და სხვადასხვა სამინისტროებში და ეფექტი ამ საქმიანობიდან
მინიშაღურია. ჩვენ ვფიქრობთ ამ საკითხს საქართველოში აუცილებლად უნ-
და ყავდეს ერთი მეპატრონე, მაგრამ არავითარ შემთხვევაში აქ არ ვგუ-
ლისხმობ ცენტრალიზაციას, ადმინისტრირებას, მხედველობაში მქვს ამ სა-
კითხის რეგულირება, იმდენად, ჩამდენადაც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტ-
ში სავალუტო ფონდი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლის შემსრულებელი გახ-
დება სულ მცლე, ვფიქრობ, უკვე მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში, რო-
მელსაც მომავალ წელს წარმოგიდგენთ.

თავმჯდომარე. შეკითხვა ხომ არა გაქვთ? პრეტენზია ხომ არა
გაქვთ? არის აზრი, რომ ვუყაროთ კენჭი. მაშინ მოვეშობადოთ კენჭისყრი-
სათვის. ვინც მიშხრე ვართ დავუჭიროთ მხარი.



ე. შევარდნაძე. ერთი დეტალის გახსენება მინდოდა და მინდოდა შეთქვა, ჩვენ აქ, ამ დარბაზში ვხვდებოდით კულტურის და ლიტერატურის მოღვაწეებს, ქართული კულტურის გადარჩენის პრობლემაზე და არ გვახსოვს ჩვენ ასეთი ფრაზა ეხმარა რომელიმე ფინანსთა მინისტრს და ან მის მოადგილეს, მან თავის გამოსვლაში ილაპარაკა პარტნიორობაზე, აი, ბატონ გოგას და სხვებს ახსოვთ, ესწრებოდნენ, პარტნიორობაზე საფინანსო სფეროსა და კულტურის დარგებს შორის. აი, თუ ის ცხოვრებაშიც გაატარებს და არა მარტო კულტურასთან მიმართებაში, მაშინ იმედი არ გაგვიცრუვდება.

საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტი. ბატონი იოსებ ცისკარიშვილი ელექტრონული ტექნიკის ინჟინერი გახლავთ, ფიზიკოსი და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობათა ეკონომისტი. დაამთავრა საგარეო ვაჭრობის აკადემია. მუშაობდა სახელმწიფო უნივერსიტეტში, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად, გახლავთ მეცნიერი და სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. როგორც ჩვენ გვითხრეს მოღვაწეობდა რუსთაველის საზოგადოებაში, შემდეგ იყო აპარატში, მინისტრთა კაბინეტში და ბოლო თვეების განმავლობაში გახლავთ ამ კომიტეტის თავმჯდომარე. რა როლი და რა მისია აკისრია ამ კომიტეტს ამის შესახებ ჩვენ ვილაპარაკებო. როცა იქმნებოდა ეს სტრუქტურა, უნდა გითხრათ, რომ ეს ახლა იდგამს ფეხს, ბევრი რამ გაუგებარია, შეიძლება გარკვეული პრეტენზიებიც იყოს, მაგრამ გავითვალისწინოთ, რომ ასეთი რთული სისტემის ფორმირება არც ისე იოლია. მე ვფიქრობ, რომ ამ ბოლო ხანებში ბატონმა იოსებმა შეიძინა საჭირო და აუცილებელი გამოცდილება, იმოგზაურა ზოგიერთ ქვეყნებში, ესწრებოდა საერთაშორისო სემინარებს, შეიქმნა აპარატი და თუ დეპუტატების ნდობას გამოუცხადებენ, ჩვენ ყველამ უნდა ავიღოთ ვალდებულება და დავეხმარებით ამ ახალ სისტემას, ახალ ორგანიზაციას, რომელიც ძალიან საჭიროა, ისევე როგორც წყალი და ჰაერი. ასეა საჭირო სამინისტროსათვის, ყველა უწყებისათვის, ყველა კოლექტივისათვის. აი, ეს მინდოდა მომეხსენებინა.

თავმჯდომარე. შეკითხვები ხომ არა გაქვთ? ჯერ თავმჯდომარის მიმართ, შემდეგ ალბათ, კანდიდატისათვის. ბატონო თენგიზ, მეოთხე მიკროფონი.

თ. კიტოვანი. თუ შეიძლება, ბატონო ელუარდ, აი, ახლა რომ მინისტრები დანიშნენ ძალიან კარგია, მაგრამ, აი, ვინც წავიდა და ძველები იყვნენ იმათთვის ხომ არ მიგვეცა საბოლოო სიტყვა. ისე მიდიან ჩვენ არ ვიცით რა პქონდათ გაკეთებული, რას იბარებენ ეს მინისტრები. ეს გავარკვიოთ აქ. იმიტომ, რომ ბოლო-ბოლო კაცს როცა ხვრეტენ, იმასაც კი ამბევინ ბოლო სიტყვას, ვაძქმევიოთ ამათაც.



ე.შევარდნაძე. მე მგონი დაგასწავრით, როცა ვთქვი, რომ ჩვენ, მე და ბატონი პრემიერ-მინისტრი უნდა შევხვდეთ მათ, ეს გადამდგარი მთავრობაა, გვინდა თუ არ გვინდა გადამდგარნი არიან, რომ არ მოვიწვიეთ, იმიტომ კი არ მოვიწვიეთ მაღლიერების გრძნობა არა გვაქვს ჩვენ. ეს გამოიწვევდა ძალიან დიდ სირთულეებს. თვითთულ მათგანს რომ ტრიბუნა დაეუბნოთ ახალი კანდიდატურების გარკვეულ დროს მოითხოვენ, ეს საკმაოდ რთული ტექნოლოგია იქნებოდა და პრაქტიკაშიც საერთოდ არ არის ასე, რომ გადამდგარი კაბინეტის წევრს დამტკიცების დროს ეძახოდნენ, თუ დეპუტატები გადაწყვეტენ, გამოვიძახოთ ისინი სუყველანი, ეს სხვა ამბავია, არის ამის აუცილებლობა? არ არის. გმადლობთ.

თავმჯდომარე. მე-5 მიკროფონი.

ნ.ნათაძე. მე, ბოდიშის მოხდით დეპუტატების წინაშე და ბატონი თავმჯდომარის წინაშე, ჩემს თავს უფლებას მივცემ გამოვთქვა უნდობლობა კანდიდატის მიმართ, საფუძველი შემდეგი გახლავთ. მე მახსოვს ოთხმოცდარვა წელს რუსთაველის საზოგადოებაში ერთ დღეს შეგარებელი იყო, ასე ვთქვათ, პატრიოტული საზოგადოება ლაპარაკი იყო იმაზე, რომ გამოქვეყნდა კონსტიტუციის შრომები საბჭოთა კავშირისა, რომლითაც ფაქტობრივად საქართველოს ერთიეოდა, საერთოდ, რესპუბლიკებს ერთიეოდათ საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლება დაფიქსირებული მანამდე კონსტიტუციაში. ამას მოჰყვა საპროტესტო აქციები თვით პირველი კოლოსალური აქციის ჩათვლით, რომელიც დაიწყო 23 ნოემბერს და დამთავრდა 29 ნოემბერს 1988 წელს. აი, მაშინ ამ ყრილობამ რუსთაველის საზოგადოებაში შეადგინა საპროტესტო ტექსტი, მთელი დღე მოვუნდით ამ შრომას, ბევრი იყო არგუმენტები ყოველი სიტყვის სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ, აწონ-დაწონილი დოკუმენტი შეიქმნა, დაახლოებით ორი გვერდის მოცულობით. მდივანი ბრძანდებოდა დღევანდელი კანდიდატი. მეორე დღეს მოვედით 2 გვერდიანი დოკუმენტი დაგვხვდა 1 ამბავზე დაყვანილი, რატომ გააკეთა, როგორ გააკეთა, გაცეთ და და გათავდა. მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომლის წინააღმდეგაც ვერავითარი არგუმენტი ვერ ვიპოვე, მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ იქ იყო შემსრსრულეებელი რომელიღაც უცხო ინსტანციის ნების.

გმადლობთ ყურადღებისათვის.

თავმჯდომარე. სხვა შენიშვნა, პრეტენზია ხომ არ არის?

ე.შევარდნაძე. დიახ, ძველ ისტორიაში ცუდად ვერკვევი. აქ ურთიერთობა იყო საზოგადოების გამგეობაში. მე უნდა გითხრათ, წუხელ, როცა საკონსულტაციო შეხვედრა იყო, ბატონი ნოდარი მონაწილეობდა, მან ეჭვი გამოთქვა, მაგრამ ასე დაბეჯითებით არ უთქვამს. ახლა, აღმათ თვითონ ცის-



კარიშვილს შეუძლია უფრო ზუსტი პასუხი გასცეს და მე ამ შედეგებში ვერაფერს ვერ მოგახსენებთ.

თავმჯდომარე. მაშინ, ალბათ, ბატონ იოსებს მოუსმენთ და უპასუხებთ.

კ. ვაჭაშვილი. რაღაც გარკვეული ვითარებების მონაწილე მცხ ვიყავი და მინდა ვთქვა ასეთი რამ, ვისაც ახსოვს მაშინდელი საპროტესტო აქცია, მისი დასაწყისი, ალბათ ისიც ეხსომება, რომ საოჯარი ერთსულოვნება იყო მთელ ერთვნიულ მოძრაობაში და მინდა გაგახსენოთ, რომ მე არ მახსოვს სიტყვები რამდენად შემცირდა, მაგრამ ხელმოწერების პირველი დიდი სერია, რომელიც გაკეთდა, ეს იყო დაახლოებით 60 ათასი ხელმოწერა, მე მახსოვს რომ იმ ტექსტს, რომელიც დაბეჭდილი იყო თბილისში და მთელ საქართველოში მერე ხელი ეწერებოდა, მერე ჭეორე ტექსტიც გაკეთდა, ანალოგიური, რომელსაც ფაქტიურად მერე ხელი მოაწერა მთელმა საქართველომ. მე ვიყავი რუსთაველის საზოგადოებაში მაშინ და მე ვიცი რომ ბატონი სოსოსაძვის არა ვითარი ასეთი ბრალდება არ წაუყენებიათ. შეიძლება ბატონებს რაღაცა ინფორმაცია არა აქვთ და რაღაცით, უბრალოდ მათ შეაბეჭდილება დარჩათ, მაგრამ მე შემიძლია ვთქვა, რომ ეს ასე არ ყოფილა და რომ 60 ათასი კაცის ხელმოწერა შეგროვდა საპროტესტოდ, აი, სწორედ იმ ვერსიის, რომელსაც მაშინ ადასტურებდა ის წარმოდგენილი თუ შემოთავაზებული დამოუკიდებლობის საწინააღმდეგო მუხლი, რომელიც მაშინ თამაშდებოდა. რუსთაველის საზოგადოება ერთ-ერთი სერიოზული ინიციატორი იყო იმისა, რომ საწინააღმდეგო საპროტესტო ხელმოწერები გაკეთებულიყო. მე მხოლოდ ამის თქმა მინდოდა, რომ დამეზუსტებინა და ბატონ ნოღარისაძვის გამეხსენებინა. ის ტექსტი რამდენად შემცირდა ან გაიზარდა, მე პირადად ვთვლი, რომ არ შეიძლება იყოს მიზეზი ასეთი ტიპის ბრალდების წასაყენებლად.

თავმჯდომარე. დეპუტატი გელოვანი. მიხუთე.

თ. გელოვანი. მე მინდა გაგახსენოთ ერთი ფაქტი, ვინც ცისკარიშვილს იცნობს, უნდა ახსოვდეს, როდესაც მონანიება იქნა გადაღებული ვიდუო ფორზე და ეს ვიდუო კასება გავრცელდა ქალაქში, მაშინ იგი მოხსნეს ამ დანაშაულისათვის, იმიტომ რომ უნდოდათ მონანიების საერთოდ დაბლოკვა, ამ ფელმის არ გაშვება, და მაშინ მოხსნეს ის თანამდებობიდან, თუ გახსოვთ. ეს არც ისე შორეულ წარსულში იყო და უნდა გახსოვდეთ ბატონებო!

ნ. ნათაძე. მე განვიმარტავ, რომ ვლადპარაკობ არა ხელმოწერების შეგროვების ფაქტზე, ან რაოდენობაზე, არამედ იმ ტექსტის განსაზღვრაზე, რომელზეც მოხდა ხელმოწერა. ტექსტი არსებობდა უფრო რადიკალური, არსებობდა რბილი, არსებობდა უნიათო. შემოთავაზებული, დადგენილი დაახლოებით 100 კაცის მიერ. შექმნილი იყო სწორედ ტექსტი ვაჟკაცური, რადიკალური, პრინციპული საქართველოს ინტერესების თავიდან ბოლომდე დამცველი



და იმის მაგივრად დარჩა ტექსტი ნაკლებ პრინციპული და საკონტრესტო ინტერესების ნაკლებად დამცველი.

თავმჯდომარე. მეშვიდე.

ვ. კვარაცხელია. მე მომხრე ვარ, რომ ყველა კანდიდატურის განხილვა იყოს შაღიან-ნაფუძველიანი, ძალიან პრინციპული, იმიტომ რომ დღეს ვნიშნავთ ჩვენ მინისტრებს და ეს არის ალბათ ჩვენი ქვეყნის მომავალი ცხოვრების ერთ-ერთი საკვანძო მომენტი. მე განსაკუთრებულ პატივს ვცემ ბატონ ნოდარს, მისი დამსახურებისათვის, მოღვაწეობისათვის, ყველაფრისათვის რაც უკეთებია, მაგრამ არ შემიძლია არ გამოვთქვა გარკვეული შეშფოთება იმის გამო რაც ახლა აქ ხდება იმიტომ, რომ როდესაც ადამიანს ასეთ განსაკუთრებულ, სერიოზულ ბრალდებას წაუყენებ, რომ შენ რაღაც შენი ქვეყნის საწინააღმდეგო გააკეთე, მოიქციე, მაშინ არგუმენტაცია უნდა იყოს ძალიან საფუძველიანი. ის არგუმენტაცია რაც ბატონ ნოდარისგან მოვისმინეთ აბსოლუტურად საფუძველს მოკლებულია, იმიტომ, რომ ორი გვერდი დავიდა ერთ აბზაცამდე, ეს არაფერს არ ნიშნავს. შეიძლება ეს 1 აბზაცი იყო იმ დროს საჭირო და მეტი არა. ასე ჩათვალა ბატონმა სოსომ, ამიტომ მე ძალიან გთხოვთ დეპუტატებს; კიდევ ვიმეორებ, აქ განხილვა უნდა იყოს საფუძველიანი, მაგრამ ანალოგიური ბრალდებებისგან რაც შეიძლება მაქსიმალურად უნდა შევიკავოთ თავი.

თავმჯდომარე. მეხუთე, მეორე.

ნ. ნათაძე. ლაპარაკი მაქვს არა მარტო ტექსტის მოცულობაზე, არამედ ტექსტის შინაარსის და სულისკვეთების შეფასაზე, რომელიც გამოიხატა ამოცანის შეცვლაში. მოწმედ მომიყავს ბატონი აკაკი ბაქრაძე.

თავმჯდომარე. მეორე, თუ შეიძლება.

რ. საყვარელიძე. მე გახლდით რუსთაველის საზოგადოებაში მაშინ და ვიყავი ერთ-ერთი ინიციატორი თუ შეიძლება ითქვას, რომ რუსთაველის საზოგადოების სტრუქტურა შეცვლილიყო და შეცვლილიყო ისე, რომ დღევანდელი კანდიდატებიდან ბევრი მათგანი, ვინც მაშინ მართადა რუსთაველის საზოგადოებას, აღარ ყოფილიყვნენ მართვის პულტთან. ვინც იყავით ამ პროცესების მოწმე გვმახსოვრებთ, რომ ვერავინ ვერ დამაბრალებს ტენდენციურად ბას ამ მხრივ და ვერც იმას, რომ რუსთაველის საზოგადოების მიმდინარე პროცესებს არ ვიცნობდი. ამიტომ, ამ პოზიციიდან გთხოვთ მომისმინოთ. ძალიან დიდ ცოდვას ვიღებთ, როდესაც ვაკეთებთ ისეთ განცხადებას, რომელიც გავაკეთეთ, რადგან თუკი რუსთაველის საზოგადოებას რაიმე ღირსეული ნაბიჯები გადაუდგამს დასაწყისში, თუკი იქ გაკეთდა თუნდაც განცხადება საწყისის სახით, ახლა ჩვენ ფაქტურად ვედავებით ცისკარიშვილს იმაზე,



რომ რედაქცია შეცვალაო, რედაქცია კი არა, საერთოდ, რომ დაიწყოს საქრებულოს
 ნაბიჯების გადადგმა თავის დროზე რუსთაველის საზოგადოებაში, სადაც
 საკმაოდ რთული მდგომარეობა იყო ეს მრავალთა შორის ცისკარიშვილის დამ-
 სახურებაცაა. შეიძლება მას უფრო ფრთხილი პოლიტიკა ჰქონდა რიგ შემთხვე-
 ვებში, მაგრამ თავის სინდისთან ის ყოველთვის მართალი იყო. ჩვენ ვერ
 შევთანხმდით რაღაც კონცეპტუალურში, მაგრამ ეთიკურ ბრალდებას ვერ წა-
 ვუყენებთ ჭერცერთ ეტაპზე და ვერც ბოლო ეტაპზე, როდესაც მან საკმაოდ
 მძაფრი საკითხები დასვა დღევანდელ საქართველოს ეკონომიკასთან დაკავ-
 შირებით.

ისე რომ ეთიკური სახის ბრალდება, აზნაფის რედაქციის დონეზე გა-
 მოთქმული, მაპატიეთ და ძალიან აღმაშფოთებელი იყო ჩემთვის იმდროინდე-
 ლი ცისკარიშვილის მოწინააღმდეგესათვის.

თავმჯდომარე. პირველი მიკროფონი.

ა. ზელაძეილი.

ბატონო სპიკერო, მე ცოტა უცნაურად მიმაჩნია რო-
 დესაც ამ თანამდებობაზე ლაპარაკის დროს მიღის ამ თემაზე საუბარი, მაგ-
 რამ თუ კი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება მე როგორც იმ პიროვნებათა-
 გან ერთ-ერთმა რომელმაც იმ დებუების ტექსტი წმინთად რუსთაველის საზო-
 გადოებიდან შემიძლია ვთქვა, რომ არა მარტო შემოკლებაზე იყო ლაპარაკი,
 არამედ მთელ შინაარსობრივ შეცვლაზე იმ ტექსტისა რაც რუსთაველის საზო-
 გადოებაში იქნა მიღებული, მესმის, რომ უხერხულია ამ თემაზე ლაპარაკი,
 მაგრამ ამჯერად, როდესაც ეთიკაზე იყო ჩემი გამოსვლის წინ ლაპარაკი
 უნდა ვთქვა სიმართლე იმ ფაქტზე, რომელზეც ისაუბრა ბატონმა ნოდარმა.
 ეს ფაქტი სინამდვილეა. მოხდა შინაარსობრივი შეცვლა იმ ტექსტისა, რო-
 მიელიც კრებაზე იყო მიღებული. ერთი გამოვიდა, მეორე და ვისაც ახსოვს
 ამის შემდეგ გაიმართა სხდომა მიწერაღმა კავშირის დარბაზში, რასაც
 მოჰყვა საკმაოდ დიდი გართულება. ეს უბრალოდ სიმართლესთან დაკავშირე-
 ბით. დღეს კი, როდესაც უკვე მინისტრის და კომიტეტის თავმჯდომარის
 კანდიდატურაზეა ლაპარაკი, აღმათ სხვა თემაზე უნდა იყოს ლაპარაკი, რო-
 მიელიც შეეხება სწორედ ამ მინისტრთან დაკავშირებულ საქმიან თვისებებს.
 რა გააკეთა აქამდე, რა წარმატებები აქვს საქართველოს საგარეო ვაჭრო-
 ბის სფეროში და რა მომავალზე შეიძლება იყოს და რა პერსპექტივებზე
 ლაპარაკი. აღმათ, მინისტრობის კანდიდატისაგან ჩვენ ეს უნდა მოვისმი-
 ნოთ ამ ეტაპზე. და ამაზე უნდა ვილაპარაკოთ დღეს. ის კი რაც ბატონმა
 ნოდარმა თქვა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ელემენტალური სიმართლეა, მე
 ეს შემიძლია დავადასტურო და კიდევ შემიძლია ის ხალხი მოვიყვანო ვინც
 წამოიღო ტექსტი. ბატონო კოტე, დაინტერესებულ პიროვნებებზე არ არის
 ლაპარაკი.



თავმჯდომარე. მესამე მიკროფონი. ყურადღება! შემდეგ, ბრძანებთ.

გამოსვლის შემდეგ, ჩვენ ვარდევთ რეგლამენტს 2 საათია ვმუშაობთ, გა-
დაღლილები ბრძანდებით და შესვენებისათვის ვიბრუნეთ. ბრძანეთ. მესამე
მიკროფონი.

თ. დიასამიძე. თქვენ ხელმძღვანელად მუშაობთ და კარგად მოგეხსენებ-
ბათ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სწორად აი, ამ არხებით ჩვენი ეკონო-
მიკის წინსვლას თუ ფუნქციონირებას. და განსაკუთრებით მას შემდეგ გახ-
და მიძიმე ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა, როცა გადაგვეკვება ჩვენ აფ-
ხაზეთის, თუ შეიძლება ითქვას, არტერია, და ერთადერთ სასიცოცხლო არტე-
რიას ჩვენთვის დღემდე წარმოადგენდა, ამ თვის მანძილზე სარფის საბჭო
და ზაფხუმის საბაჟო რომელიც არსებითად ჩვენ ვიღებთ პროდუქციას ან უნდა
მიგვეღო უფრო მეტი ვიდრე გარკვეული მიზნების გამო ვერ მივიღეთ. ლაპა-
რაკი პროდუქციაზე არ არის. თქვენ სწორედ აი, ამ არხების მნიშვნელობაზე
კარგად გვეცოდინებათ, ივლისში თუ ივნისში, თუ არ ვცდები, საქმიან ვვი-
რაში თქვენს ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ ძალიან დიდი პროცენტი,
რომელიც არ შემოდიოდა სარფის საბაჟოდან ლაპარაკია ვალუტით გამოხატულ
გამოსასყიდზე და საბჭოთა მანეთებში გამოხატული ეს უზარმაზარი თანხებია,
რომელიც თუკი პროცენტს დავუჯერებთ არის უზარმაზარი თანხები, რასაკვირ-
ველია მე მჯერა, რომ მნიშვნელოვანი ნაწილი არ პროცენტებისა არ შემოსუ-
ლა სახელმწიფო ხაზინაში, არ შემოსულა ბიუჯეტში. მას შემდეგ ბევრი დრო
გავიდა და სიტუაცია თითქოს არ შეცვლილა. თქვენ, როგორც ამ უწყების
ხელმძღვანელმა, რა გააკეთეთ ამასთან დაკავშირებით და მომავალში რას
აპირებთ?...

გვეკითხებით იმიტომ, რომ ეს უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემაა
და ამას თქვენ აქ ვერ ამოწურავთ. გმადლობთ.

თავმჯდომარე. ახლაც მე მგონი, ბატონ სოსოს მოვუსმინოთ. ახლა,
ნ წუთით ვთხოვთ ბატონ სოსოს და შემდეგ, კენჭისყრის შემდეგ იმეღია
შევისვენებთ.

თავმჯდომარე. ბატონო სოსო, ბატონი შენგელია თხოულობს სიტყვას.
ბრძანეთ. მესამე მიკროფონი.

ი. შერგელაძე. ასეთი სახის შეკითხვა მაქვს. რამდენადაც ამ სტრუქტურ-
რას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს მომავლისათვის, სა-
ქართველოს ეკონომიკური ურთიერთობებისათვის. მე მაინტერესებს რა ფუნქ-
ციას შეასრულებს იგი, როგორი ურთიერთობა ექნება ამ კომიტეტს, უშუალოდ
საქართველოს იმ საწარმოებთან, გნებავთ კერძო სტრუქტურასთან, გნებავთ
სახელმწიფო სტრუქტურასთან, რომელსაც უშუალო ურთიერთობა ექნება საზღვარ-
გარეთის ქვეყნებთან. მე უფრო დავაკონკრეტებ ჩემს შეკითხვას ჩემს წინა-



დადებებში, ხომ არ იქმნება იმის საშიშროება, რომ ეს იყოს, უფრო სწორად, მაკოორდინებელი კომიტეტი იქნება ეს თუ მივიღებთ რაღაც იმიტომ, რომ პველ სტრუქტურას, რომელიც აწესებობდა აქამდე საქართველოში, ანუ მონოპოლი...

თავმჯდომარე. ბატონ სოსოს ვუთხოვ.

ი. ციციკარიშვილი. პატივცემულ პარლამენტის წევრებო, მე თავს უფლებას მივცემ არ გავაგრძელო კამათი პირველ შეკითხვასთან დაკავშირებით, მაღლობა ღმერთს, თავს კარგად გრძნობს ბატონი აკაკი ბაქრაძე, რომელიც რუსთაველის საზოგადოებას სათავეში ედგა იმ პერიოდში, როდესაც აი, აქ დაინტერესებული საკითხი წამოიჭრა და აღმათ ბატონ კაკოს ექნება საშუალება საჯაროდ გამოთქვას თავისი მოსაზრება იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც აქ გარკვეულ ინტერესს იწვევდა. რაც შეეხება შეკითხვას საჩუფის საბაჟოდან შემოსული ამონაგების თაობაზე, ცხადია, სარფის საბაჟოზე არსებული დარღვევების შესახებ მთავრობა ინფორმირებული იყო. ეს საკითხი უშუალოდ კომიტეტის კომპეტენციაში არ შედიოდა, რადგან შემოსავლები ფინანსთა სამინისტროს ეკუთვნის. ამოღების პროცესი საბაჟოს საკითხებშია, მიუხედავად ამისა ჩვენ გამოვთქვამდით ჩვენ მოსაზრებას და დღესაც ვრჩებით იმ მოსაზრებაზე, რომ უნდა ვებრძოლოთ უშუალოდ დარღვევებს და არა, ვთქვათ მთლიანად პროცესის აკრძალვის საშუალებით გავიადვილოთ ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრა. ამდენად, ჩვენ ვერ დავუჭერთ მხარს ტურისტული მოგზაურობების აკრძალვას იმიტომ, რომ ტურისტის მიერ შემოტანილი გადასახადი არ ხვდება შესაბამის საფინანსო ანგარიშზე. რაც შეეხება ბატონ ირაკლი შენგელაიას შეკითხვას საწარმოებთან ურთიერთობის თაობაზე, უნდა მოგახსენოთ, რომ პირადად ჩემი და კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეების საჭრთა აზრი გახლავთ, რომ სტრუქტურა რომელიც გათვალისწინებულია სახელმწიფო მართვის რამონთვალში, ეკონომიკურ ბლოკში, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტის სახელმწიფოებთან, ჩვენი წარმოდგენით ეს არ შეიძლება იყოს მუდმივი სტრუქტურა, იგი სახელმწიფოსათვის გამოსადეგია და აუცილებელი იმ პერიოდში, როდესაც ხდება საბაჟო ეკონომიკისკენ ქვეყნის მიმართვა, რომელსაც სჭირდება სახელმწიფო რეგულაცია, აი, ამ პროცესის რაც შეიძლება უმტკივნეულოდ ვხსვლას. რაც შეეხება დამოკიდებულებას საწარმოებთან, დარგებთან, რასაკვირველია ჩვენ როლს ვხედავთ დარგთა შორის კოორდინაციაში, რადგან აი, ის სუსხი რომელსაც ჩვენ დღეს ვიღებთ ამა თუ იმ საერთაშორისო ორგანიზაციიდან, ქვეყნიდან,

ეს ის სესხი გახლავთ რომელსაც დაბრუნება უნდა. დაბრუნებას უნდა შევძლებთ მხოლოდ იმ სწრაფად რეალიზებადი პროექტების საშუალებებით, რომლებიც მოგვცემენ საკუთარ ამონაგებს, რაც შეიძლება სწრაფად და დაგვიტოვებენ იმის საშუალებასაც, რომ ეს სესხი გავისტუმროთ. ასეთი დიდი პროექტები, პრიორიტეტული პროექტები, სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტები ისეთი დარგთაშორისი ხასიათის არის, რომ ვერც ერთ დარგს, რაც არ უნდა პრიორიტეტული იყოს იგი, აღბათ, არ შეუძლია რომ კოორდინაცია გაუწიოს სხვა დარგთან ურთიერთობას საერთო პროექტის განხორციელებისათვის. მე მხედველობაში მაქვს დიდი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული საკითხების გადაწყვეტა, ტელე-კომუნიკალური სისტემები, ჩვენი პორტების რეკონსტრუქციის საკითხი და ასე შემდეგ, რომლებიც დიდ ინტერესს იწვევენ უცხოელი პარტნიორებისა, მზადყოფნა საკმაოდ მაღალია უცხოური კაპიტალისა მონაწილეობა მიიღოს ამ გარდაქმნებში, მაგრამ ჩვენ, რასაკვირველია, ჩვენი მხრიდან რაც შეიძლება სასწრაფოდ უნდა შევადგინოთ საკანონმდებლო ბაზა, რომ მათი ინტერესი არ გადაქარწყლოთ და ამავდროს ჩვენს ინტერესებშიც, ისევე როგორც სახელმწიფოს მართვის სტრუქტურის ქვეგანყოფილების ინტერესებში შედის მაქსიმალური ხელშეწყობა კერძო სექტორის განვითარებისა. ჩვენ ვგრძნობთ, საკუთარ თავზე გამოვცადეთ რომ, რაც უფრო ძლიერია კერძო სექტორი, მით უფრო ნაკლები სატიკვარი აქვს ქვეყნის მთავრობას. ამდენად ჩვენს ერთ-ერთ ფუნქციად სწორედ იმას ვთვლით რომ ხელი შევუწყოთ კერძო სექტორის განვითარებას და პრაქტიკულად 3-5 წუთის მერე, თუკი ჩვენი სტრუქტურის აუცილებლობა აღარ იქნება, ჩვენ ჩაფხვდით, რომ ამოცანას თავი გავამთავროთ.

თავმჯდომარე. არის აზრი რომ კენჭი ვუყაროთ. მოვემზადოთ კენჭისყრისათვის. ბრძანებთ. მესამე.

ვ. ხმალიძე. ბატონო სპიკერო, საქმე ის გახლავთ, რომ არჩევნების დენულენის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც პარლამენტის წევრი არჩეული ან დანიშნული იქნება თანამდებობაზე, რომელიც შეუთავსებელია პარლამენტის წევრის სტატუსთან, ამ თანამდებობაზე არჩევის და დანიშვნის მომენტიდან მას უწყდება სადებუტაბო უფლებამოსილება, ამდენად ჩვენ ახლა გამოგვაკლდა 2 დებუტატი და ჭვორუმი შემცირდა, კვორუმი გახლავთ 112 და არა 113.

თავმჯდომარე. ბატონ ხმალიძეს მაღლობა ვუთხრათ ამ დროული შეხსენებისთვის, ამ საქმიანი შეხსენებისთვის. მაშ, 2 დებუტატი სათათბირო ხმით, ყოფილი დებუტატი და ახლა უკვე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები კენჭისყრის უფლების გარეშე გააგრძელებენ მონაწილეობას,

მაგრამ კვორუმი იქნება, ალბათ 111, 13 იყო 2 გამოაკლდა. ერისეთული
განმანათლებელი

მინდოდა სწორედ ეს მივკითხა, მაგრამ რეგლამენტში ბატონო მანუკა
ეს ავტორიტეტურად ხდება. გასაგებია. ვინ არის მომხრე რომ ვუყაროთ კენჭი
ბატონ ცისკარიშვილის კანდიდატურას საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის
კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე. მოვემზადოთ კენჭისყრისათვის. ეკონომი-
კური ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე ბატონ ცისკარიშვილის
კანდიდატურას ვუყაროთ კენჭი. სხვა აზრი ხომ არ არის? დავუცადოთ მანქა-
ნას. დავუცადოთ. ნახევარი საათი უნდა შევეისვენოთ. 15 წუთი რომ დააკლდე-
ბა შვიდს ყველა ვიყოთ ადგილებზე. პულტის აღება არ დაგავიწყდეთ. მოვემ-
ზადოთ რეგისტრაციისათვის და მაქსიმალურად, კორექტულად... თანდათანო-
ბით კი ვუახლოვდებით დისციპლინას, მაგრამ ჯერ არა ვართ იმ კონდიციამ-
დე, რაც უნდა იყოს.

მე-6 მიკროფონი.

ი.წერეთელი. ქალბატონებო და ბატონებო, დიდას მე ცოტა ხნით და-
მაგვიანდა და ტელევიზიით მოვისმინე სახელმწიფო საბჭოს, სახელმწიფოს
მეთაურის გამოსვლა და იქ ისეთი აზრი იყო, რომ ზოგიერთი უწყება იმუქრე-
ბა გაფიცვებით თუ პარლამენტის დამტკიცებულ ახალი მინისტრი არ მოეწო-
ნათ და სწორი გიჟხრათ ჩვენი პარტია მაინც და მაინც არ აქტიურობს მინის-
ტრების დანიშვნაში, მაგრამ თუ ჩვენ ხელისუფლება ვართ, ასეთი განცხადე-
ბის მიმართ აი, რამელი უწყებებიც იმუქრებიან პრინციპული პოზიცია უნდა
დავიკავოთ და იყოღეს ყველა უწყებამ, რომ თუ გაიფიცებიან, მით უმეტეს
ცოტა ისეთი უწყებების მეთაურებიდან დაწყებული რიგით შემადგენლობამდე
სუყველა უნდა გაიყაროს ქურაში, იმიტომ, რომ რას ნიშნავს ეს? არ მოე-
წონებათ ჩვენს მიერ არჩეული კანდიდატები და გაიფიცებიან. თუ ხელისუფ-
ლება ვართ ხელისუფლება ვიყოთ და გაფიცვებზე თუ მიდგა საქმე, საქართვე-
ლოში გაფიცვების ერთ-ერთი გამომგონებელი მე ვარ და მე არ ვიფიცები
და მილიცია რამ გადარია.

თავმჯდომარე. ეს ძველი გავისხენეთ. ახლა მოვუსმინოთ ბატონ
ელუარდს.

ე.შევარდნაძე. მე მაღლობელი ვარ თქვენი განცხადებისა. გმადლობთ.
შემდეგი. აქ არის ჩვენ სექციაში ვაჭრობისა და მეტარიალურ რესურ-
სების სამინისტრო. უნდა გითხრათ, რომ დღეს არა ვართ მზად შემოგთავა-
ზოთ კანდიდატურა. ხვალისათვის ალბათ მოვემზადებით, როგორ მოვემზადებით
არის რამოდენიმე წინადადება და კიდევ დაგვჭირდება გარკვეული კონსულ-



ტაციები. ერთ-ერთ კანდიდატურაზე გუშინ გვქონდა საუბარი, მაგრამ ვიდრე არის საჭირო ყველაფრის აწონ-დაწონა. თუ ნებას მომცემთ ხვალ წარმოგიდგინო.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო. მინდა შემოგთავაზოთ, თქვენ კარგად იცნობთ მას, ჩვენთან მოღვაწეობს ბატონი ავთანდილ სილაგაძე, რომელსაც ახლაც ძალიან მნიშვნელოვანი თანამდებობა უკავია. საკონტროლო პალატის თავმჯდომარე გახლავთ, მეცნიერი, დოქტორი, ვმ წლის, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ნი-ზე მეტი შრომის ავტორი, ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი გახლავთ და კონტროლის პალატის თავმჯდომარეა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ერთ-ერთი საინტერესო მოღვაწეა, პროგრესულად მოაზროვნე ეკონომიკაში და არა მარტო ეკონომიკაში პრინციპული კაცი, რომელზეც შეიძლება დიდი იმედები დავამყაროთ. თქვენ მოგეხსენებათ ბატონი ვაჟგერიან ადვოკატ მუშაობდა აქ, ის ახლა კომისიას ხელმძღვანელობს, ეს ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი უწყებაა და იმაზე, თუ როგორ გაუმჯობესება ამ სისტემას მისი ლიდერი ბევრად იქნება დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა. ვიმეორებ, რომ ლაპარაკი არ უნდა იყოს იმაზე, რომ რაც შეიძლება ჩქარა მოიცილო და ჩქარა გავთავისუფლოთ ყველაფრისაგან, რაც სახელმწიფოს გააჩნია. ეს უნდა იყოს მართვადი, გეგმაზომიერი და მეცნიერულად გააზრებული პროცესი. აი, ამის იმედით, რომ ასეთ მოთხოვნებს და ასეთ სტანდარტებს პასუხობს ბატონი ავთანდილი ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება შემოგთავაზოთ ეს კანდიდატურა განსახილველად და დასამტკიცებლად.

თავმჯდომარე. არის წინადადება კენჭი ვუყაროთ. სხვა წინადადება ხომ არ არის?

მე-5 მიკროფონი.

ა. იოსელიანი. პატივცემულო დეპუტატებო, მე ბატონ ავთანდილს ვიცნობ მხოლოდ მისი საუკეთესო მხრიდან, ვარ მისი საუკეთესო მეგობარი, გარდა ამისა, ვიცი, რომ მან შექმნა ის გუნდი, რომელსაც ის მეთაურობს. ჩვენ თუ დროის ეკონომიაზე გვაქვს ლაპარაკი და იმ ფაქტზე სფეროს გაძლიერებაზე, რომელსაც ის დღეს-დღეობით მეთაურობს. ჩემის აზრით, არ ვიცი ეს აზრი რამდენად მისაღები იქნება, რომ ბატონი ავთანდილი, ისევ იმავე უწყებას ჩაუდგეს სათავეში, რომელსაც იგი დღეს უდგას.

თავმჯდომარე. მე-6 მიკროფონი.

ვ. ჭინჭაშვილი. მე სრულიად ვეთანხმები ბატონ იოსელიანის აზრს და მიმაჩნია, რომ ბატონმა ავთანდილმა გარკვეული ფორმირება მოახდინა პალატისა, მიიღო გარკვეული გამოცდილება და დღეს როდესაც ადგილს უცვლით

მე მგონია ეს არის უკან გადადგმული ნაბიჯი საზოგადოებრივი მოძრაობის გზაზე. გმადლობთ.

თავმჯდომარე. მე-7 მიკროფონი.

ვ. აღვაძვე. ბატონ ავთანდილ სილაგაძეს მე მრავალი ათეული წლებია ვიცნობ. გარდა ძალადი პროფესიონალიზმისა მას ახასიათებს პრინციპულობა და სისპეტაკე, ეს სამივე თვისება აუცილებელია. მე ჩემი გამოცდილებით გეუბნებით აი, ამ ქონების მართვის კომიტეტში, აი, ამიტომ იქ შეიძლება ნახოთ, აქ კი აუცილებელია ბატონი ავთანდილი, ამიტომ გთხოვთ კენჭი ვუყაროთ და დამიჭიროთ მხარი.

თავმჯდომარე. მე-4 მიკროფონი. ალბათ კენჭს ვუყრით და მერე...

ე. შევარდნაძე. რაც შეეხება ჩვენი კონტროლის პალატას, მე სავსებით გეთანხმებით თქვენ. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა და მე მზადა ვარ შემოგთავაზოთ ღირსეული კანდიდატი, რომელიც საყოველთაო ნდობით აღიჭურვება, ისევე როგორც ბატონი ავთანდილი. ახლა მე არ მინდა მოვლენებს გავუსწრო.

გ. ჩახვაძე. გურამ ჩახვაძე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

ბატონო ედუარდ, მე ცოტა შეგეკამათებით. ჩემზე უკეთ არავინ იცის ბატონი ავთანდილის საქმიეები, რადგანაც ერთად ვმუშაობდით გარკვეული დროის მანძილზე. საქართველოს კონტროლის პალატაში. ფაქტიურად ჩემს თვალწინ ჩამოყალიბდა ეს ორგანიზაცია. ყველამ კარგად იცით, თუ რა საქმიანობასთან არის დაკავშირებული ამ სტრუქტურის არსებობა. აი, დღეს ისეთ მდგომარეობაში საქართველო, რომ ჩემი აზრით უფრო უპრიანი იქნებოდა, რომ ბატონი ავთანდილი დაგვეტოვებინა ამ პალატის თავმჯდომარედ. და ეს დაწყებული საქმე აპრობირებულია, მიუხედავად ამისა მე დღარწმუნებული ვარ, რომ ამ სამინისტროსაც საფუძვლიანად, კარგად ჩაუდგება სათავეში. ეს ჩემი აზრია მხოლოდ. გმადლობთ.

ე. შევარდნაძე. მე რომ გითხრათ, რომ ძალიან დიდი ენთუზიაზმით

დაგვთანხმდა ბატონი ავთანდილი, მე არ შემიძლია ამის თქმა. ბატონმა ავთანდილმა რაც ახლა კარგად დაიწყო, ეხლა ამ რთული საქმის ათვისების პროცესშია, მაგრამ ჩვენ რავთვალეთ, რომ ის ბლოკი რომლის შესახებაც მოგახსენეთ მოითხოვს, რომ ამ თვისებების და ასეთი პროფესიონალური თვისებების პიროვნება მივიღეს. ბოლოს და ბოლოს ჩვენ დღეს მესამედ შევხვდით, ვისაუბრეთ და შევთანხმდით, რომ ის მნიშვნელებს ხელს ამას სულით და გულით და დიდი პასუხისმგებლობით.

თავმჯდომარე. არის წინადადება ვუყაროთ კენჭი. მოეშაბა
ჭისყრისათვის.

ე. შევარდნაძე. ბატონ ავთანდილს ვუსურვებ დიდ წარმატებებს ამ უმნიშვნელოვანეს უბანზე. გმადლობთ. მე მგონი დიდი ცოდვა არ იქნება, თუ პატარ-პატარა გადახვევებს გავაკეთებ. შეიძლება არა? ჩვენ ვუპასუხებთ იმ კითხვას, რომელიც ყოველ ჩვენთაგანს აწუხებს. მე მინდა შემოგთავაზოთ ჩვენი საკონტროლო პალატის ხელმძღვანელად, ჩვენი მეგობარი, ჩვენი კოლეგა, დეპუტატი, ყველასათვის კარგად ცნობილი ბატონი რევაზ შავიშვილი.

საჭიროა ცნობები? ვმ წლის გახლავთ, ფიზიკოსია, მათემატიკოსი, სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო. ერთ-ერთი ავტორი გახლავთ იმ დებულებისა, რომელმაც არჩევნები ჩაგვატარებინა, ავად თუ კარგად. ბატონ ვახტანგთან ერთად და საერთოდ ძალიან აქტიური და კონსტრუქციულად მოაზროვნე, ძალიან საინტერესო პიროვნებაა. თავად წინააღმდეგი იყო, ვებყვიოთ თავის დროზე, როგორც მე ვიცი ბატონმა თენგიზმა შესთავაზა ეს წინააღმდეგობა ასეთი მოსინჯვა და დღეს შევხვდით, ვისაუბრეთ, მე მგონი კარგად გავუგეთ ერთმანეთს და ვფიქრობ, რომ დეპუტატებიც ასევე კარგად გაიგებენ, თუ რატომ მივყვით მას რეკომენდაცია.

თავმჯდომარე. არის წინადადება რომ ვუყაროთ კენჭი. სხვა წინადადება ხომ არ არის? ვინ არის? ჩაფრთოთ.

ე. შევარდნაძე. გმადლობთ. გილოცავთ.

თავმჯდომარე. მე რა ვქნა ეს აქტიური დეპუტატები რომ დავკარგე?

ე. შევარდნაძე. სიის მიხედვით შემდეგია ტურიზმის კომიტეტი. აქ წინადადებას დღეს აღარ იქნება და თუ ნებას მოგვცემთ ამალამ კიდევ ვიფიქრებ და ხვალისათვის...

...კომიტეტი სადაც ახლა მუშაობს ბატონი იოსელიანი. თავისთავად ჩვენ, როგორც პიროვნების მიმართ არ გვაქვს პრეტენზიები, განათლებული კაცია, როგორც პიროვნება ღირსეული პიროვნებაა, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ჩვენ ვერ ვგრძობთ, რომ ასეთი სახელმწიფო სტრუქტურა მისებობს. აი, ეს დიდი ხანია გვაწვავლებს და მინდა შემოგთავაზოთ სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელად ბატონი ირაკლი ქადაგიშვილის კანდიდატურა. ადრეც იყო ამაზე ლაპარაკი და მაშინ ზოგიერთი სიძნელეები იყო. იქნება

თუ არა შევკითხვები? ჩვენ აქ გავიჯანით ერთმანეთი. აქ მუშაობდა ჩვენი
თან, აპარატში, სახელმწიფო აპარატში, საინტერესო ახალგაზრდა კაცია
და ძალიან რთულ უბანს უნდა ჩაუდგეს სათავეში თუკი დეპუტატები მხარს
დაუჭერენ.

თავმჯდომარე. არის წინადადება ვუყაროთ კენჭი. სხვა წინადადება
ხომ არ არის? ნოემბრადეთ კენჭისყრისათვის.

ე. შევარდნაძე. ვულოცავთ ბატონ ირაკლის დიდ ნდობას.

თავმჯდომარე. აი, ახლა გახდა 111. ვთხოვთ ბატონ შავიშვილს, თუცა
შავიშვილმა უკვე ჩააბარა, ბატონო ქალაგიშვილო. კი უკვე შეიცვალა.
გთხოვთ კვორუმი შევცვალოთ.

ე. შევარდნაძე. ჩვენ ვგულისხმობთ, რომ მინისტრები, კომიტეტის
თავმჯდომარეები იმანთან დაკავშირებით, რომ პარლამენტი ყოველ დღე არ
იმუშავებს, მომავალში ორი დღე იქნება კვირაში და უამრავი კანონი მი-
საღები და ძალიან ბევრი საკითხები ერთობლივად იქნება გადასაწყვეტი,
ისინი პრაქტიკულად პარლამენტთან მუდმივ კავშირში უნდა მუშაობდნენ და
ასეც უნდა იყოს...

...სფეროზე ვლაპარაკობთ, საერთოდ ეკონომიკისა და ფინანსების
დარგები. მინდა თქვენს წინაშე დავაყენო ერთიანი ბანკის პრეზიდენტის
საკითხი. ასე რომ წარმოიდგინოთ მთელი კომპლექსი თქვენ აღმათ შეამჩნევ-
დით აქ ბევრი მოვიდა ახალგაზრდა სპეციალისტი, ისინი ვისაც აქვთ გარკ-
ვეული გამოცდილება, მაგრამ უფრო მეტად მომავლის პერსპექტივაც, შეიძ-
ლება განვიხილოთ? შეიძლება. ზედმეტია ლაპარაკი რამდენად საპასუხისმგებ-
ლო და მნიშვნელოვანი უბანია ახლა ეს, როცა კადრების შერჩევაზეა ლაპა-
რაკი გარკვეული ელემენტები რისკისა ყოველთვის არის. მაგრამ აი, ეს
ზოგიერთი უბანი სადაც აღმათ უნდა იყოს 100% დარწმუნებული, რომ აქ
რისკთან არა გვაქვს საქმე. ყოველ შემთხვევაში ეს ჩემი შეხედულებაა.
იმ კანდიდატურის შესახებ, რომელიც მე მინდა შემოგთავაზოთ. ჩვენ ძალიან
ვერდიდებით სადაც აუცილებელი არ არის კაცის ძველი სტრუქტურებიდან მო-
ყვანა, მაგრამ აქ, მე არ მიმაჩნია, ის, რომ ის ძველ სტრუქტურებში მუ-
შაობდა გარკვეულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს. უნდა შემოგთავაზოთ ბატონი
დემურ დვალისვილის კანდიდატურა, რომელსაც ძალიან დიდი გამოცდილება
აქვს. იყო ფინანსთა მინისტრი, თუ არ ვცდები ძველ პარლამენტში კომი-
სიის თავმჯდომარე იყო და სახელმწიფო საბჭოშიც. მე იმდენად ძველი ნაც-
ნობობა არ მაღაპარაკებს, რამდენადაც ერთობლივი მუშაობა სახელმწიფო
საბჭოში, როცა აი, ამ კომისიაში გაიარა ათობით მნიშვნელოვანმა კანონ-
პროექტმა. ეს ერთი და მეორე, მე მგონი აქ ერთ-ერთმა კანდიდატმა
გაკვირით ზრძანა, თუ არ ვცდები ბატონი მიხეილ ჯიბუტი იყო, რომ ჩვენ

3-4 თვის განმავლობაში შეგვეძლოს მილიარდობით პროდუქტი შევქმნათ მისთვის რომ დაგვეჯერებინა. ის დაჟინებით მოითხოვდა ჯერ კიდევ მაისიდან გაზედულად გადავსულიყავით გადარიცხვებზე. გადარიცხვებზე მაშინ ინსტიტუტი მუშაობდა და მერე დაგვარწმუნა, რომ ეს აუცილებელია და თუ ასე თუ ისე ვსუნთქავთ და რაღაც შენობის რესპუბლიკაში უნდა გითხრათ, რომ ამაში ძალიან დიდი დამსახურება აქვს მას. მისი არგუმენტები იყო დამაჯერებელი და პრაქტიკამაც გაამართლა. ბატონი ჯემალი დამემოწმება და სხვებიც. ის პროგრესული კაცია, ბევრს კითხულობს, მუშაობს თავის თავზე, პატიოსანი და სანდო პიროვნებაა და თქვენ იცით ეს ძალიან ბევრს ნიშნავს ამ სისტემაში. მე ასე წარმომიდგენია, რომ ის უნდა შეეცადოს რისი შენარჩუნებაც აუცილებელია შეინარჩუნოს, მაგრამ შეეცადოს მოადგილეებად ახალგაზრდები მოიყვანოს, ჩვენ განვიხილეთ რამდენიმე კანდიდატურა რომელთა დანიშვნაც შეიძლებოდა, მაგრამ კერძოდ არ ვიცნობთ მათ და ამიტომ მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე ბატონი დემურის დანიშვნა გამართლებული იქნება. მის წინაშე უნდა დავაყენოთ ისეთი ამოცანა, რომ ხელი შევეწყობთ ახალგაზრდა კადრების ფორმირებას ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში, რომელსაც ისევე სჭირდება რეფორმები, როგორც მთელ საფინანსო და სავალუტო სისტემას. როგორც იტყვიან ხვალისა და ზეგისა და უნდა დაიწყოს ეს პროცესი.

თავმჯდომარე. სხვა წინადადება ხომ არ არის?

მე-ნ მიკროფონი.

თ. ძლინაშვილი. მე არ ვიქნებოდი დღეს მთლად კმაყოფილი, რომ არ მეფქვა ერთი ფაქტორი, რომელიც ბატონმა დემურმა თავის მუშაობის პერიოდში თავის დროზე გააკეთა, ეს იყო როდესაც მაშინ ექსპერიმენტებს ეყრებოდა საფუძველი და შეიქმნა დებულება მეცნიერების სტიმულირების შესახებ. მაშინ ბატონმა დემურმა მითხრა, რომ მაშინ ფინანსთა მინისტრი იყო და უამრავი დრო დაუთმო ამას, შექმნა შესანიშნავი დოკუმენტი, რომელიც მერე საკავშიროდაც გაიზიარეს და ეს, უბრალოდ, მეტყველებს იმაზე, რომ ეს არის პიროვნება, რომელიც მართლაც რომ თავისუფლად შეეფერება ამ ადგილს და ჩვენ არ უნდა ვუყურებდეთ ძველ სტრუქტურებში როგორ იყო და რანაირად იყო. ჩვენ გვინდა ის ხალხი რომელიც ერს გამოადგება და მე მგონი ეს ის პიროვნებაა.

თავმჯდომარე. ვუყაროთ კენჭი. გთხოვთ მოვემზადოთ.



ე.შევარდნაძე. ვულცავ ბატონ დემურს.

მრეწველობის სფერო, მრეწველობა, ტრანსპორტი და სხვა. აქ ასეთი მოსაზრებებია რომ, რაც შეეხება ვიცე-პრემიერის კანდიდატურას, ჩვენ საიდუმლოდ ვერ შევინახავთ ყველაფერს და ალბათ იცით, მაგრამ მაინც, შეგახსენებთ ბატონ ზურაბ მკერვალიშვილის კანდიდატურას. ზურაბ მკერვალიშვილი ცნობილი სამეურნეო მუშაკია, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი გახლავთ, დღეს მუშაობს რუსთავის საწარმო-გაერთიანება აზოტის დირექტორად, მუშაობა დაიწყო ოპერატორად და გახდა დირექტორი. ჩვენთან ბჭვრია სამეურნეო დარგში ღირსეული მოღვაწე, ბევრს მეც ვიცნობ და რა თქმა უნდა ჩემზე უკეთესად ბატონი თენგიზ სიგუა, ბევრი კანდიდატურა განვიხილეთ, მაგრამ იმ მომენტებზე გათვალისწინებით რაც დღევანდელი ხელმძღვანელის წინაშე დგას რესპუბლიკური მასშტაბით ჩვენი არჩევანი ბატონ ზურაბის კანდიდატურაზე შეჩერდა. ეს თანამედროვე საწარმოა, თანამედროვე დონის, ალბათ ბევრი თქვენთანგანი არ ყოფილა იქ და ვისაც ექნება საშუალება ვურჩევდი და ვთხოვდი მოინახულონ ეს გაერთიანება, ეს ერთ-ერთი ისეთი საწარმოა, რომელიც დინამიურად გადადის საბაზრო ეკონომიკის რელსებზე და საბაზრო ეკონომიკა სხვათაშორის არ ჭეულისხმობს მარტო იმას, რომ რაც შეიძლება ჩქარა გაიყიდოს სახელმწიფო ქონება. შეიძლება იყოს სახელმწიფო საწარმო, რომელიც მუშაობს და გადავიდეს საბაზრო ეკონომიკის რელსებზე. მე მგონი ეს პროცესიც ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობს ამ ქარხანაში. ეს ერთ-ერთი ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა ზრუნავდეს სამეურნეო ხელმძღვანელი თავის ხალხზე, თავის კოლექტივზე. მე და ბატონი თენგიზი გახლდით იქ. ადრეც ხშირად ვყოფილვარ და უნდა გითხრათ, რომ აქ იდეალური პირობებია მეტქი რომ ვთქვა სწორი არ იქნება, მაგრამ, აი, ამ ფონზე რაც ახლა დამახასიათებელია ჩვენი ქვეყნისათვის, აქ ხალხი მართლაც გარანტირებულია იმ მინიმუმით, რაც სჭირდება ადამიანს, მუშა კაცს, ნორმალური ცხოვრებისათვის. საკმაოდ მაღალია ხელფასები, ქარხნის ტერიტორიიდან გამოსვლა პრაქტიკულად მუშებს არ სჭირდებათ. მე ვკითხე გუშინ ხორცის რამდენი მარაგი გაქვთ მეტქი მაცრივარში. 1000 ტონაზე მეტი ხორცის მარაგი აქვთ ახლა მაცრივარში. არც რესპუბლიკური ფონდი მონაწილეობს ამაში და არც რომელიმე რესპუბლიკური უწყება. ახლა არ დავესიოთ და არ დავლაშქროთ. შესანიშნავი სამედციკინო ბლოკი აქვთ, გამაჯანსაღებელი და სამკურნალო კომპლექსი და ასე შემდეგ. როგორც გითხარით მეცნიერია და ბევრი რამა აქვს საინტერესო გაკეთებული თავის დარგში, სპეციალბით ქიმიკოსია. ზურაბ ბევრს ხომ არ ვლაპარაკობ? ვინც არ იცნობს შემიძლია დავუთმო ცოტა ხანი.

თავმჯდომარე. არის წინადადება ვუყაროთ კენჭი. სხვა წინადადება
ხომ არ არის? არ არის. მაშინ გახოვთ მოვემზადოთ კენჭისყრისათვის.
გთხოვთ.

ტაში დარბაზში.

ე.შევარდნაძე. დიდი მადლობა მხარდაჭერისათვის და ბატონ ზურაბს
ვჯლოვავ ამ მაღალ ნდობას. არანაკლებ რთული პრობლემაა მრეწველობის
სამინისტრო. მე მიწდა ერთი რაღაცასთან დაკავშირებით ერთი განცხადება
გავაკეთო, რომ მეც და ბატონმა თენგიზმაც და ჩვენ ყველამ ყველაფერი
უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ვინც კეთილსინდისიერად მუშაობდა ამა
თუ იმ პოსტზე, ასრულებდა თავის მოვალეობას, შეიძლება უშუალოდ არ გა-
მოდიოდა და სხვა მასშტაბები იყო, ჩვენ მაინც რაც შეიძლება ადამიანურ-
რი დამოკიდებულება უნდა გამოვიჩინოთ ყველას მიმართ, ყველას საქმე
უნდა მივუჩინოთ და დღეს ხელი შევუწყოთ იმას, რომ ეს მოღვაწენიც სა-
სარგებლო საქმიანობას შეუდგნენ სხვა დარგებში ან იმავე დარგებში.
ახლა რაც შეეხება მრეწველობის სამინისტროს. ასეთი წინადადებით შე-
მოვდივარ და გთხოვთ პარლამენტს დაგვივიროთ მხარი. შეიძლება ბევრი
არ იცნობთ მას. მე რომ დარწმუნებული არ ვიყო, შეიძლებოდა ასეთი და-
ბეჯითებით არ მეტქვა ამ რეკომენდაციის შესახებ. ეს არის ბატონი გე-
ლვიშვილი, თენგიზ გელვიშვილი. ძალიან ძლიერი მეცნიერი, კარგი სპე-
ციალისტი, მე მახსოვს ზოგიერთი მისი წამოწყება. ეს ერთ-ერთი ინიცია-
ტორი არის... მიღებისა; ასე არ არის ბატონო თენგიზ? მაღნეულის
ბაზაზე. მე მახსოვს როგორ პატარა წამოწყება იყო, სრულიად უმნიშვნე-
ლო, ახლა ეს არის ძალიან მძლავრი სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება.
მის პროექტებაზე დიდი მოთხოვნაა რუსეთის მსოფლიოს ბაზაზეც. ასეთი
ჩვენ ბევრი არა გვაქვს. ძლიერი ორგანიზატორია, ახლა არის. საგარეო
ურთიერთობათა ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. შეიძლება
თქვენ მიიხრათ, რომ თუ ასეთია რატომ იქ არ აძლევთ რეკომენდაციას,
ახლა ვაკანსია გაჩნდა. ჯერ ერთი მოფიქრება გინდა, მაგრამ ამასთან
ერთად, რახან ბატონი სოსოს კანდიდატურა მიუღებელი აღმოჩნდა პარლა-
მენტისათვის, ჩვენ იქ კიდევ გვყავს ძალიან ღირსეული ხალხი, პროფესიო-
ნალები, კარგად მომზადებულნი, პირველ მოადგილედ, კიდევ ერთი მოადგილე,
ისინიც სპეციალისტები არიან და სხვა მოსაზრებებიც არის და რაც შეეხე-
ბა ბატონ გელვიშვილს, მე მიმარჩია თავისი მომზადების დონით, პრაქტი-
კით მეცნიერებისადმი, თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესებისადმი და-
მოკიდებულებით ეს ის კაცია რომელიც ვირდება ჩვენს მრეწველობას. ასე-
თია ჩემი მოსაზრება.



თავმჯდომარე. მე-5 მიკროფონი. არა, თუ განსხვავებული აზრი აქვს.

ო. ორბელიანი. ბატონო თავმჯდომარე, ბატონო პრეზიუმერი, ბატონო დეპუტატებო, ბატონი თენგიზის ან როგორც ჩვენ ვუძახით ბატონ გიგოს შესახებ მინდა, ვინც არ იცნობს იმათთვის, თორღვე სიტყვა ვთქვა, ძუნწად. ძალიან კარგი სპეციალისტი რომ არის—ამას მისი კოლეგებიც დაასაბუთებენ, მაგრამ ის არის ნამდვილი დახვეწილი ინტელიგენტი, ძალიან კეთილშობილი ადამიანი, პატიოსანი კაცი. მთელი სულითა და გულით ვუჭერ მე მას მხარს და მიხარია ეს თქვენი არჩევანი ბატონო თავმჯდომარე. გმადლობთ.

თავმჯდომარე. განსხვავებული წინადადება ხომ არა აქვს ვინმეს. მაშინ გთხოვთ მოემზადოთ კენჭისყრისათვის.

ე. შევარდნაძე. გმადლობთ, გილოცავთ.

როცა სტრუქტურას ვიხილავდით მაშინ საკმაოდ აქტიურად, აქტიური მსჯელობის ვითარებაში განვიხილეთ სათბობენერგეტიკული კომპლექსის საკითხებში, ცალკეული დეპუტატები გამოდიოდნენ იმ მოსაზრებიდან, რომ იქნებ სამინისტრო არ იყოს აუცილებელი და დაგვიკმაყოფილდეთ დამოუკიდებელი დეპარტამენტის შექმნით, რომელიც უშუალოდ დაექვემდებარება მინისტრთა კაბინეტს. მაგრამ უმრავლესობამ გადაწყვიტა, რომ სამინისტრო შევინარჩუნოთ. ამით არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეირყეს დამოუკიდებლობისა და ავტონომიურობის პრინციპი, რადგან საქნავთობი რომელიც გაერთიანებული იქნება მომავალში, საქენერგო, საქგაზი გაერთიანებული საქნახშირი და ა.შ. და იყო დიდი სამინისტროები თავის თავად, თავის მოცულობის გათვალისწინებით. ამიტომ აქ ახალ სამინისტროზეა ლაპარაკი, ახალი ტიპის სამინისტრო, ისეთ სამინისტროზე რომელიც იმუშავებს გლობალური პრობლემების განსაზღვრაზე, სტრატეგიაზე, თუ ეს ისეთი ფართე სიტყვა არ არის, ძირითად მიმართულებებზე კოორდინირება, სხვადასხვა დარგებთან შეთანხმება, შეთანაწყობა, და რა თქმა უნდა რეფორმების პროცესი ამ ურთულეს დარგებში. ჩვენ აი, ამ დარგებში, რომლებზეც მე მოგახსენეთ კარგი ორგანიზატორები გვყავს და თავისი საქმის კარგი მცოდნენი. ამის გათვალისწინებით გადავწყვიტეთ არჩევანი შევარჩეოთ ისევე მეცნიერზე და გვინდა შემოგთავაზოთ ბატონი არველაძე, გვესწრება? ეს ინსტიტუტია, ადრე საკავშირო დაქვემდებარებისა იყო, ახლა დირექტორი გახლავთ მისი, მუშაობდა საქენერგოს სისტემაში, იყო მთავარი ინჟინერი, იყო მოადგილე ეკონომიკის დარგში და ეს მნიშვნელოვანია ძალიან, მუშაობდა აპარატში, თუ არ ვცდები ბატონ ვალერიან ვადაკორიასთან თავის დროზე, ამჯერად როგორც მოგახსენეთ ამ ინსტიტუტის დირექტორია, გიორგი ჩოგვაძე იყო ამ ინსტიტუტის დირექტორი თუ გახსოვთ, დიდი ინსტიტუტია ახლაც, მართლაც 350 მეცნიერი მუშაკია, კომპლექსური



ინსტიტუტია, ენერგეტიკის პრობლემების კომპლექსურად შესწავლისა და
დამუშავებისათვის. ასაკი ნორმალური აქვს, 50 წლამდეა თუ არ ვცდები,
დაკავშირებული და მეცნიერებაში საკმაოდ მყარად
ფეხმოკიდებული, აი ასეთი არჩევანი გავაკეთეთ და მინდა შემოგთავაზოთ.
თუ შეკითხვები იქნება...

თავმჯდომარე. მე-2 მიკროფონი.

ზ. ჯვანია. პატივცემულო დეპუტატებო, ვინაიდან ენერგეტიკა
არის ალბათ ჩვენი მთელი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის უმნიშვნელოვა-
ნესი დარგი, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში იყო აბსოლუტურად ჩა-
ვარდნილი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ალბათ ამ დარგში ბოლო 2-3
წლის განმავლობაში არ გატარებულა სახელმწიფო პოლიტიკა. მე მაინც
გთხოვდი, თუნდაც სამიოდე წუთი, თეზისურად ვთხოვთ მინისტრობის კანდი-
დატს, რომ ჩამოაყალიბოს თავისი ძირითადი პოზიცია.

თავმჯდომარე. დავეთანხმეთ ალბათ.

ე. შევარდნაძე. რა თქმა უნდა. მოზრძანდით.

თავმჯდომარე. პირველი მიკროფონი.

ე. შევარდნაძე. შეგიძლიათ აქ მოზრძანდეთ.

უ. აწველაძე. მე არ მინდა, რომ ამ ფორუმზე ენერგეტიკული დარ-
გების, საბჭოებისა და ენერგეტიკის დარგების სტრატეგიაზე და მნიშვნე-
ლობაზე ვილაპარაკო. მე მგონია ყველასთვის ცნობილია, თუ რაოდენ დიდ
გავლენას ახდენს ამ დარგების მდგომარეობა მეურნეობის აბსოლუტურად
ყველა დარგის ფუნქციონირებაზე. ამდენად, პირველ რიგში ჩემის აზრით,
რა თქმა უნდა ყურადღება უნდა მიექცეს ამ დარგების მომავლის გან-
საზღვრას, პერსპექტივების გეგმების დამუშავებას, დარგის-ურთიერთობის
დახვეწას სხვა დარგებთან, საკანონმდებლო აქტების დამუშავებას და
წარმოდგენას პარლამენტში. მე ახლა, როგორც ენერგეტიკოსმა ძალიან
ბევრი შემიძლია ვილაპარაკო, ე.ი. შეიძლება ძალიან დიდი დრო...

... რა თქმა უნდა პირველ რიგში უნდა მივაქციოთ იმას ყურადღება,
თუ რა გავაჩნია, რისი შემოტანა შეგვიძლია და პირველ რიგში გამოვიყე-
ნოთ ის ენერგეტიკული რესურსები რომელიც შესძლებს ჩვენი სახალხო მეურ-
ნეობის ასე ვთქვათ, უკაცრავად და მოსახლეობის დაკმაყოფილებას. ახლა,
თუ ჩამოვყვებით აი, ამ რესურსებს მაშინ ცოტა გამიგრძელებდა ლაპარაკი
და ამდენად, აი, ამის დავამთავრებ, თუ რაიმე შეკითხვები გექნებათ.

თავმჯდომარე. ბატონო ზურაბ, კმაყოფილი ბრძანდებით პასუხით. ამ
ეჭაპზე ჩვენც გვიჭირს დრო. შეკითხვები ხომ არა გაქვთ?



მე მაინც ვფიქრობდი, რომ ენერგეტიკულ მხარეში საჭირო იქნებოდა, რომ ჩამოყალიბებულიყო პრინციპულად ახალი მიდგომა. მე, პირველ რიგში რაც მინდა დღეს გავიგონო, ჩვენი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრისაგან, გახლავთ ის, რომ ენერგომეურნეობა საქართველოში ბოლოს და ბოლოს წავა ინტენსიფიკაციის გზით. ჩვენ ვიფიქრებთ იმ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც დიდი რაოდენობით არსებობს საქართველოში. მე ეს მოგახსენეთ და შემიძლია გავალბნავო, ე.ი. თუ ამაზე არის ლაპარაკი, რა თქმა უნდა ჩვენ ერთად-ერთი სერიოზული რესურსი რაც გაგვაჩნია, ეს არის რესპუბლიკის პირობ-ენერგეტიკული პოტენციალი, რომლის გამოყენება, სრულად ათვისება გარკვეული პერიოდის შემდეგ მთლიანად დააკმაყოფილებს რესპუბლიკის მოთხოვნილებას. დღეისათვის პირველ მიზნად მაინც გვესახება ტექნიკური მოდერნიზაცია იმ მოწყობილობებისა, რომლებიც უკვე არსებობს, მოქმედებს და რომელთა გამოყენების კოეფიციენტის ამაღლებით, მოკლე ხანში შეიძლება გარკვეული შედეგების მიღწევა. რა თქმა უნდა ასე უნდა ხსეთი, ასე ვთქვათ, ობიექტების განვითარება და-ვიწყოთ, რომელიც შედარებით მოკლე ხანში შეიძლება იქნეს აგებული და მოგვცეს ეფექტი, ესენი იქნებიან მცირე სიმძლავრის სადგურები თუ ენერჯის აპარატიული წყაროების გამოყენება. უფრო შორეულ პერსპექტივას უნდა გავხედოთ, იმიტომ, რომ თუ ენერგეტიკა ჩამორყა მეურნეობის განვითარებას, ამან შეიძლება ძალიან მძიმე მდგომარეობამდე მიგვიყვანოს.

თავმჯდომარე. მე-ნ და მე-3.

ი. წყნეთელი. უკაცრავად. კანდიდატთანა მაქვს შეკითხვა, თქვენი აზრი როგორია? იყო ამას წინათ ლაპარაკი ხულონჰესის მშენებლობის განახლების საკითხზე.

უ. ანკვალიძე. ეს საკითხი, ჩემის აზრით, აი ბატონ ზურაბსაც აწუხებს და ჩემის აზრით ყველა, ცოტა იმათ არ გამომივიდეს, ლოზუნგის სახით, ნაგრამ მამულიშვილი, ადამიანი უნდა იყოს მწვანე და უნდა ზრუნავდეს ერის მომავალზე, ერის ჯანმრთელობაზე და პქონდეს ნორმალური ჰაერი, ნორმალური წყალი. აი, ამ პრინციპიდან გამომდინარე თუ ვილაპარაკებთ, ჩემის აზრით ჰულონჰესის და ასეთი ჰესების მშენებლობა აუცილებლობას წარმოადგენს, რატომ წარმოადგენს, ახლა თუ გნებავთ ამისი დასაბუთება მე საკმაოდ ვრცლად შემიძლია.

ი. წყნეთელი. არა, უჭერთ მხარს ხულონჰესის მშენებლობას?

უ. ანკვალიძე. არ წარმოადგენს.



ი. წყნელი. არა, ვერ გავიგე.

უ. არველაძე. წარმოადგენს აუცილებლად.

ი. წყნელი. წარმოადგენს?

უ. არველაძე. წარმოადგენს.

ი. წყნელი. მაშინ მე პირდაპირ გეტყვით, რომ როგორც მინისტრს ვერ წაგივით კარგად საქმე. არა, არა.

არ ვწუნობთ სხვათა შორის. მოიცადეთ. ეგრე არ არის კაცო, აგრე არ არის ხუდონჰესი რომ არ აშენებუდიყო, სულ რომ უსინათლოდ დარჩეს საქართველო, ენგური ჯაობად არ უნდა იქცეს და აი, ამას შეეწირება. ხუდონჰესის მშენებლობას მარტო მთელი კაბინეტი, თუ ეს მშენებლობა დაიწყო. ამას ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით. აგრე არ არის, კაცო. ეგ იქნება საქართველოს დაღუპვა და ბატონმა ზურამ, ახლა ვხვდები მე, რატომ დასვა საკითხი, რომ დეტალურად გაცემულიყო პასუხი. ხუდონჰესის მშენებლობა არ დაიწყება საქართველოში. აი, ეს, იცოდეს ყველამ.

თავმჯდომარე. მე-3 მიკროფონი.

ენგურიც გასაშვებია, მე რომ მკითხოს კაცმა, აქ ამხანაგი რაღაცეებს ამბობს ერთიებზე, დაღმა სვანეთი მას შემდეგ, რაც ეს ეროვნული მშენებლობები დაიწყო საქართველოში. და ეროვნული მოძრაობა სხვათაშორის სინბოლურია, რომ სწორედ მწვანეთა მოძრაობით დაიწყო, როდესაც საბჭოთა კავშირში ტრანსკავკასიის მშენებლობა არ დავუშვით და ალბათ, თავის დროზე რომ ფყოფილიყავით გარეთ არც აი, იმ გვირაბის მშენებლობას დაუშვებდით, როკის გვირაბსს, ჰოდა ასე, მე ვიტყვოდი მთელი პრინციპულობით პარლამენტის წინაშე, რომ ასეთ საკითხებს მოეკიდოს უდიდესი პასუხისმგებლობით. ნით უმეტეს შენ გახსოვს ზურა, რომ იქ მე-რამ კოსტავაც იყო ჩასული, რომ იქ ყველა ვიყავით, ყველა პარტიები, რომ ეს საშინელი დამანგრეველი და ერის დამამახინჯებელი მშენებლობა შეჩერებულიყო. ამან ჩვენ ზურგზე და ჩვენ ოფლებზე გადაიარა და ჩვენ სხსხლზე გადაიარა.

თავმჯდომარე. გმადლობთ.

უ. არველაძე. მე გავფიქრე პასუხი, ჩემი მოსაზრება, ბოდიშს ვიხდი, რომ კიდევ ჩავერთე, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მე გადაწყვეტილების მიღების უფლება მაქვს, ეს არის თქვენი გადასაწყვეტი, მე ამ



დასაბუთებას, ყოველთვის შემიძლია, ვიქნები აქ, თუ სხვა ნებისმიერ
 თანამდებობაზე, წარმოგიდგინოთ და რა გადაწყვეტილებას მიიღებთ, ეს უკ-
 ვი თქვენი საქმე იქნება.

თავმჯდომარე. მე-3, მე-5, მე-7.

ი. საინტოვას. პირველ რიგში მე მინდა გამოვხატო ჩემი პატივისცე-
 მა მინისტრობის კანდიდატის მიმართ, რომელმაც ღიად გამოხატა წინასწარ
 არაპოპულარულად ცნობილად პოზიცია. მეორე, მე მაინტერესებს თქვენი მო-
 საზრება საქართველოში ატომური სადგურის აშენების პერსპექტივებთან და-
 კავშირებით.

უ. არველაძე. ატომური სადგურის აშენების პერსპექტივები ჩემის
 აზრით საქართველოში მოხსნილია და ამას, მე მგონია, ყოველ შემთხვევა-
 ში მე რა პერსპექტივასაც ვხედავ, უახლოეს 20-30 წლის განმავლობაში
 უკან აღარავინ აღარ დაბრუნდება.

თავმჯდომარე. მე-5, მე-7.

მე-5 ნიკროფონი. ბრძანეთ ბატონო ნოდარ.

ნ. ნათაძე. არატექნიკოსის შეკითხვა. მაპატიეთ. თქვენ, მიგაჩნიათ
 თუ არა და თუ მიგაჩნიათ, გიხარიათ თუ არა, რომ ენერჯის აკუმულირების
 ასეთი ფორმა, ასე ვთქვათ, დაგუბებულ ვიყლის სახით, ეს ისეთი შედარე-
 ბით ბარბაროსული ფორმაა, რომელსაც კაცობრიობა მაღე დაძლევა.

უ. არველაძე. ბატონო ნოდარ, მე მიმაჩნია, რომ ეს კარგი და საუკე-
 თესო ფორმა არაა, მაგრამ არსებობს ისეთი ვითარებები, როდესაც გამოუ-
 ვალი მდგომარეობაა. მე ელემენტალურად შემიძლია მოგახსენოთ თქვენ,
 რომ ზაფხულსა და ზამთარს შორის იმდენი სხვაობაა, აი, ვთქვათ ენჯური
 რომ ავიღოთ, როგორც ბრძანეთ, არა? მოდის წყალი 500-700 კუბი წამში
 წყალდიდობის დროს და ეს ეცემა ზამთარში 15-20 კუბამდე. ენჯურს რომ
 აქვს სიმძლავრე ახლა მის ადგილას, უბრალოდ ჩამონადენზე მომუშავე
 ელექტროსადგური რომ იყოს მისი სიმძლავრე იქნებოდა დაახლოებით 400-
 ჯერ უფრო ხაკლები, რომ მას არ ჰქონდეს სიმალე კაშხლით გაკეთებული
 და არ ჰქონდეს წყალი შესაბამისი მოცულობით, რომ დაატრიალოს ტურბი-
 ნები. ეს სუფთა ტექნიკური მხარეებია. მე, რა თქმა უნდა, არ მივსალ-
 მები, რომ იყოს საშუალება ჯობია, მაგრამ ჩვენ იმდენად მკვეთრი სეზო-
 ნური გამოკვეთილება გვაქვს მდინარეებისა ზამთარ-ზაფხულ შორის, რომ
 პიდროენერგეტიკაზე თუ ავაგებთ ჩვენს მომავალს, გარკვეული მოცულობის
 წყალსაცავები უნდა იყოს. გარკვეული და არა ახლა რომ არის გიგანტურები



აიფისეს და გამოუშვეს ქართული მაგისტრალური ელმაგლები ზამბაქი...
მოყალიბების პირველი დღიდანვე, 11 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობს
და ტექნიკური უნივერსიტეტის სარკინიგზო ავტომატიკის, ტელემექანიკის
და კავშირგაბმულობის კათედრას. იყო დეკანი, არის
მრავალი გამოგონების ავტორი ელექტროტრანსპორტის დარგში. ასაკით ძა-
ლიან ახალგაზრდა არის, მაგრამ როგორც იტყვიან, მუშაობა შეუძლია, ფორ-
მაშია, გამოცდილება აქვს. ფართო მასშტაბის მოაზროვნეა.

თავმჯდომარე. არის წინადადება ვუყაროთ კენჭი. სხვა წინადადება
ხომ არ არის? არ არის?

ე. შევარდნაძე. მე მგონი ბევრი თქვენთაგანი იცნობს მას.

თავმჯდომარე. ცნობილი კაცია. გახლავთ მოვემზადოთ. გახლავთ
ჩავრთოთ.

...გაფუჭდა, ხელახლა? ხელახალი კენჭისყრისთვის მოვემზადოთ.
გახლავთ ჩართოთ პულტი, ხელახალი კენჭისყრა მიმდინარეობს და გახლავთ
ჩავრთოთ. დეპუტატები არიან გარეთ.

ე. შევარდნაძე. არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტრო,
თქვენ ყველამ კარგად იცით, საქმე ძალიან ძნელად მიდის, მაგრამ ჩვენ
მიგვაჩნია, ჩავთვალეთ, რომ ეს მართლ ხელმძღვანელები არ არის, მართლ
მისი მიზეზით არ არის. მშენებლობის საქმე მართლაც უმძიმეს მდგომარეო-
ბაშია. აქ ალბათ სხვა ძირეული ცვლილებებია საჭირო, ძვრები თვითონ
ფუნდამენტში და მე მგონი არ შევცდებოდე თუ ვიტყვი, რომ ბატონ გურამ
მირიანაშვილს, რომელიც ახლა მინისტრი გახლავთ, ეს კარგად აქვს გააზრე-
ბული და კარგად ესმის, მე მგონი ბევრი თქვენთაგანი იცნობთ, ეს ძალიან
მაღალი რანგის არქიტექტორია. მრავალი წლის განმავლობაში მე მას ვიც-
ნობდი, როგორც შესანიშნავ დირექტორს საპროექტო ინსტიტუტისა, მრავალი
პროექტის ავტორს, ნამდვილად ინტელიგენტური სულის მოქალაქეს, მოღვა-
წეს და ვფიქრობ არ შევცდები, თუ მას შევინარჩუნებთ.

თავმჯდომარე. არის წინადადება ვუყაროთ კენჭი. სხვა წინადადება
ხომ არ არის? არ არის. გახლავთ მოვემზადოთ კენჭისყრისათვის.

ე. შევარდნაძე. გილოცავთ ბატონო გურამ.

შენდეგი ძალიან რთული პრობლემა, ეს კავშირ-გაბმულობის პრობლე-
მები გახლავთ, რომელიც ბევრად არის დამოკიდებული კავშირ-გაბმულობის
მინისტრზე. გუშინ, მე და ბატონ თენგიზს ცოტა სხვა მოსაზრება გვქონდა
და კიდევ მოვიწვიეთ ერთ-ერთი პიროვნება ამ დარგის კარგი სპეციალისტი
და შევთავაზეთ კიდევ მინისტრობა, მაგრამ საღამოს როცა შევეხვედით



ზოგიერთი პარტიების ბლოკების ხელმძღვანელებს, ვინმე... ამ მსჯელობაში მიგვიყვანა იმ დასკვნამდე რომ თქვენს განსახილველად წარმოვადგინოთ ბატონ ფრიდონ ინჯიას კანდიდატურა. მას ზევრი თქვენ-თაგანი იცნობს, 46 წლის არის, მეცნიერებათა კანდიდატი, ინსტიტუტის დირექტორი გახლდათ ადრე და ამ ბოლო დროს არის მინისტრის პირველი მოადგილე. პრეტენზიები უამრავია, ძალიან რთული დარგია და სავალალო მდგომარეობაში. დღეს, მე და ბატონი თენგიზი ვესაუბრეთ და დავრწმუნდით იმაში, რომ მას სწორადა აქვს გაგებულნი დღევანდელი მდგომარეობა, სწორად ესმის და პერსპექტივებსაც ხედავს. მე არ შემიძლია არა ვთქვა, რაცა გასაჭირი იყო, რაცა ზედი წყდებოდა ყოფნა-არყოფნისა და ახლაც ასეა ხშირ შემთხვევაში, ის ყოველთვის პირველი დგებოდა თავის პოზიციაზე. ესეც ანგარიშგასაწევია და ამ დარგში მსხდომნი მომწიფრე არიან ძმისა. დინამიური კაცია. დინამიურობაზე რომ ვლაპარაკობთ მას არ ეწყინება, ხანდახან დინამიურობა სიფიცხეში გადადის და ამასთან დაკავშირებით ხანდახან არის ზოგიერთი რამ, რაც გასათვალისწინებელია. საერთოდ, კარგი სპეციალისტია.


თავმჯდომარე. მე-7 მიკროფონი.

თ. კიტოვანი. ბატონებო, თქვენ რომ იცოდეთ ბატონი ფრიდონის ბიოგრაფია ან, ოპოზიციაში რომ ვიყავით, მაშინ ბატონი ფრიდონი, ალბათ მთელი თბილისი დაინტერესებული იყო ჩვენი გადაცემით, მოწყობილი რომ გვექონდა ტელევიზია. ბატონი ფრიდონი დიდ მონაწილეობას ღებულობდა და ამის კისერზე გადადიოდა მთლიანად ის გადაცემები.

ე. შევარდნაძე. ბატონო თენგიზ მადლობელი ვარ ამ დახმარებისათვის. ბატონ ინჯიას კი მინდა ვუთხრა, რომ ამიერიდან არა მარტო ოპოზიციას არამედ ხელისუფლებასაც უნდა ემსახუროს.

თავმჯდომარე. მე-3 მიკროფონი.

ბ. მუკვანიძე. ბატონო თავმჯდომარე, ბატონო პრემიერ-მინისტრო, დეპუტატებო, მე მგონი დღეს თუ პარლამენტი მხარს დაუჭერს ბატონ ფრიდონ ინჯიას კანდიდატურას, ეს იქნება ძალიან დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი საქართველოს კავშირ-გაბმულობის საქმეში. მხედველობაში მაქვს შემდეგი. წლების განმავლობაში, უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს სათავეში ედგა არასპეციალისტები. მე არ მინდა ჩრდილი მივაყენო ყოფილი მინისტრებს. იქ იყვნენ ძალიან დიდებული პიროვნებები, მაგრამ ამ საქმის არასპეციალისტები: მეტალურგი, მექანიკოსი, ფიზიკოსი და ა.შ. მე მგონი, თუ დღეს ბატონ ფრიდონ ინჯიას დაუჭერთ მხარს, ამით დიდებულ ქართულ გა-



მთქმას პური უნდა მეპურემ აცხოსო, ჩვენ მივცემთ...

თავმჯდომარე. მე-2 მიკროფონი.

მე მხოლოდ წმინდა ტექნიკური და პროფესიული საკითხი მაინტერესებს. ბატონო ფრიდონ, თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, რომ კავშირგაბმულობის სამინისტროზე პირდაპირ არის დამოკიდებული რადიო და სატელევიზიო არხების განაწილება. თქვენ კარგად იცით რა მდგომარეობაა ამ არხებთან დაკავშირებით. შეიძლება ახალი არხები, უფრო სწორად, ნებართვას ვიღებთ ახალ არხებზე და კომერციული რადიოკომპანია იქნება ეს, თუ ტელეკომპანია ძალიან იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რა პოზიციას დაიკავებს კავშირგაბმულობის სამინისტრო ამ არხების განაწილების დროს. აი, თქვენი დამოკიდებულება მხოლოდ და მხოლოდ ამ საკითხთან მიმართებაში ე.ი. როგორ უყურებთ კომერციული სტრუქტურების განვითარებას ამ დარგში და თქვენი როგორც კავშირგაბმულობის მინისტრის დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. აი, ეს მინდოდა მეკითხა თქვენთვის.

თავმჯდომარე. მე-3 მიკროფონი და შემდეგ ბატონ ფრიდონს მოვუსმინოთ.

ბატონო თავმჯდომარე, აქ ბატონმა თენგიზმა თქვა, რომ ბატონი ფრიდონი დაეხმარა და იქიდან გადაცემები იწყებოდა. მე მგონია ბატონი ფრიდონი უფრო დიდ საქმეს აკეთებს, სიმართლისკენ არის. აი, ეს არის ყველაზე მთავარი და გარდა ამისა მე მგონია მთავარია სპეციალისტია, რომელსაც დიდი კავშირები აქვს. არის პროფესიონალი და ამიტომ თუ ვუყრით კენჭს კარგი იქნება. გმადლობთ.

თავმჯდომარე. მე-7 მიკროფონი.

ბატონო ირაკლი სავსების სწორია. ეს პრობლემა ძალიან სერიოზულია, სიხშირეების განაწილება. სიხშირე ეს არის საქართველოს სიმდიდრე, ისევე როგორც ზღვა, ხმელეთი, ტყე, მიწა, ამიტომ ამას ჩვენ აუცილებლად სერიოზულად შევხედავთ და დავიკავებთ ისეთ პოზიციას, რომელიც შეესაბამება კავშირგაბმულობის დარგს. მე მხედველობაში მაქვს ის, რომ კავშირგაბმულობის დარგს, მე მხედველობაში მაქვს ის, რომ კავშირგაბმულობის დარგი მე მიმაჩნია სტრატეგიულ მიმართულებად ქვეყნისა, თუ კავშირგაბმულობის დარგი იქნება, არ განვითარდება მრეწველობა, არ იქნება თავდაცვა, ვერ გავაკეთებთ ეკოლოგიურ და მრავალ სხვა რამეს.

თავმჯდომარე. არის წინადადება ვუყაროთ კენჭი. გახოვთ მოვემზადოთ კენჭისყრისათვის. გახოვთ ჩართოთ.

ე.შევარდნაძე. გმადლობთ, გილოცავთ და იმედი მაქვს, რომ ოდესმე



მაინც ტელეფონი იმუშავებს და ბოლოსდაბოლოს სახლი გაზეთს ტელევიზიას ნორმალურად შევხვდავთ. აქ არის ჩამონათვალში გეოლოგიის, გეოდეზიის და კარტოგრაფიის დეპარტამენტი, ეს არ არის პარლამენტის და-სამიტკიცებელი ხელმძღვანელი, მაგრამ ცნობისათვის აქ მუშაობს ბატონი გუგუშვილი - პროფესორი, ახლა მინისტრთა კაბინეტი და მისი პრემიერი თვლის, რომ მისი შენარჩუნება შეიძლება. შემდეგ აქ არის რესპუბლიკის მეურნეობაში ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექცია. აქაც, ალბათ მი-ნისტრთა კაბინეტი განიხილავს და ხელმძღვანელს დანიშნავს. როგორც ვი-ცით აღგილი კიდეც არის კადრები და თითქოს მომზადება არის, სპეციალის-ტია, ამ დარგის კარგი მუშაკი. ახლა, ერთი ასეთი წინადადება. იქნებ ეკონომიკის სფერო დავამთავროთ, მერე ჩვენ აი, ეს 2 ბლოკი გვჩვენებ და იქნებ ეს ორი ბლოკი ხვალისათვის შემოვიტოვოთ იმიტომ, რომ ჩვენც გვინდა წამუშავება და ზოგიერთი კონსულტაციები გვჭირდება კიდეც, თუ თქვენ პრინციპში დაგვეთანხმებით ეკონომიკის სფერო დღეს ამ დარგით დავამთავროთ. ლაპარაკია სოფლის მეურნეობისა და გადაამუშავების მრეწ-ველობის კომპლექსზე, ბუნების დაცვა, მიწის რესურსების კომიტეტის და ა.შ. ვიცე-პრემიერი მინდა შემოგთავაზოთ, ბატონი ავთანდილ მარგინის კანდიდატურა. არის თუ არა საჭირო, რომ დაგახასიათოთ. მე მგონი საქართველოში მას კარგად იცნობენ. სოფლის ღრმა მცოდნეა. გლეხკაცის ბუნება და გლეხკაცის ხასიათი იცის შესანიშნავად და ვფიქრობ, რომ იმის გათვალისწინებით რასაც შემდეგში მოგახსენებთ, მე ვფიქრობ, რომ ეს ღირსეული კანდიდატურა უნდა იყოს.

თავმჯდომარე. არის წინადადება ვუყაროთ კენჭი. სხვა წინადადება ხომ არ არის? მას ვთხოვთ მოვეწადოთ კენჭისყრისათვის.

ე. შევარდნაძე. ვულოცავ ბატონ ვახტანგს ამ ღირსეულ მხარდაჭერას. ახლა შემდეგი ამოცანა, როგორც მოგეხსენებათ იყო ორი მოსაზრება სოფლის მეურნეობისა და გადაამუშავების მრეწველობის შესახებ. ერთი ის რომ ცალ-ცალკე იარსებონ ამ სამინისტროებმა, მაგრამ პარლამენტმა მხარი დაუჭირა მეორეს და ალბათ ეს სწორია, რომ ეს ორი სამინისტრო გაერთიანდეს და ამ გაერთიანებამ ხელი უნდა შეუწყოს შემდგომ ინტეგრირებას ამ 2 უმნი-შვნელოვანესი დარგისა, რომელსაც საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნე-ლობა აქვს, ყველა ოჯახისათვის ყველა მოჭალაქისათვის. ახლა სოფლის, მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო. მინდა შემოგთავაზოთ ძალიან საპასუხისმგებლო სამუშაო, და გარკვეულად არც თუ ჩვეულებრივი იმიტომ, რომ ასეთი, გიგანტია. ისეთი კანდიდატურა, რომელიც გარკვეულ-ლად ფლობს და საფუძვლიანად სოფელს მეურნეობის პრობლემებსაც და გა-დაამუშავებული მრეწველობის პრობლემებსაც. აი, აქედან გამომდინარე



პრინციპული მოთხოვნებიდან და ისევე მეცნიერება შორის კადრებში და ვფიქრობთ, რომ მივაგენით ძალიან საინტერესო ვარიანტს. მოგთავაზობთ ბატონი გიორგი კვეციტაძის კანდიდატურა. დაბადებულია 1942 წელს, ტექნოლოგიური ფაკულტეტი აქვს დამთავრებული თბილისში, ასპირანტურა მოსკოვის ბიოქიმიის ინსტიტუტში. ამდღეობდა არის დოქტორი, აკადემიკოსი, საქართველს მეცნიერებათა აკადემიის. ძალიან საინტერესო სკოლა აქვს გავლილი. დაწყებული ლაბორანტიდან, დამთავრებული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემდე, მეცნიერებათა კომიტეტის. ახლა ხელმძღვანელობს ძალიან საინტერესო ინსტიტუტს, ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტს. ეს ბატონი სერგო ღურმიშიძის დაარსებული ინსტიტუტია და მისი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და საინტერესო მოწაფედ ითვლებოდა. ორი წლის განმავლობაში შეერთებულ შტატებში მუშაობდა, პენსილვანიის უნივერსიტეტში, სხვა და სხვა კომპანიებში საშუალება რომ იყოს და მოგვასმენინა მისი მონათხრობი რაზე მუშაობს დღეს თვითონ და მისი ინსტიტუტი, ჩემის აზრით, ძალიან საინტერესო იქნებოდა ეს, მაგრამ საშუალება არ გვაქვს, ეს შემდეგში. დღეს შეიძლება ძალიან მოკლედ, ვთქვათ 10-12 წუთის ფარგლებში, მაგრამ ეს იმდენად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით იმ დეპუტატებისათვის რომლებიც წარმოადგენენ რაიონებს და არჩეული არიან სოფლის მოსახლეობისაგან შეიძლება მისთვის ცოტა დრო დაგვეთმო თუ ბატონი თარი თვითონ მოისურვებს და თუ იქნება ასეთი.

თავმჯდომარე. მანამდე შეაღვა კეკელიას უნდა რაღაც განცხადება.
 მე-4 მიკროფონი.

შ. კეკელია. ბატონებო, მე მინდა ბატონი ელუარდის ნათქვამს დავამატო ის რომ, ბატონი კვეციტაძე არის რაინდი კაცი, ვაჟკაცი კაცი და ომიანობა რომ მიდიოდა სამეგრელოში ორჯერ ჩამოვიდა ჩვენთან და მხნარს გვიჭერდა. ის ვინც თქვენ დაასახელებთ იმ კანდიდატებში ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული კანდიდატია. მე ვფიქრობდი, როდესაც ეს ორი სამინისტრო გაერთიანდა ვინ იქნება მეტეი. ბატონების ნ. ჭითანავას და მგელაძის შემდეგ ვინ გამოიძებნება მეტეი მაგრამ ასეთი კაცი არსებობს. ძალიან კარგი კანდიდატურაა ბატონო ელუარდ. დიდი მადლობა. ასეთი კარგი კაცის წარმოდგენისათვის.

თავმჯდომარე. მე-4. ბრძანეთ.

ბ. კობახიძე. მართლაც რომ ბატონო ელუარდ ძალიან შესანიშნავი კანდიდატურა მონახეთ.

თავმჯდომარე. ბატონო დეპუტატებო ცოტა ხანის და შევისვენებთ.



ჯ. ბელოძე. თავისი წარსულით, ისეთაირად მერვენებდა და ემზადებოდა ამ ნაშრომისათვის. ბიოტექნოლოგიის ერთ-ერთი დამყვანი თვითონ იყო თავის დროზე, გაიზარდა და გაზარდა სხვები. მისი ეს თვისება მართლაც უნიკალურია და ვუსურვებ წარმატებას.

თავმჯდომარე. გმადლობთ. ვუყაროთ კენჭი არა? სხვა წინადადება ხომ არ არის. მე-შ-მიკროფონი.

ბატონებო, თუ პარლამენტი მუშაობს 20 დღის განმავლობაში, თუ რაიმე რადიკალური თქმულა ამ შენობაში, ამ დარბაზში ხაზგასმული იყო მხოლოდ და მხოლოდ აი, დღევანდელი დანიშვნა ბატონო თათარისა. კვების მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში ყოველთვის იყო ლაპარაკი მაღალ დარღვევაზე, მიწერაზე და სხვა მოვლენებზე მე მიმარჩნია, რომ ბატონი თათარი არის უმწიკველი პიროვნება, ალბათ ზუსტად მორგებული დღევანდელ თანამდებობაზე. გმადლობთ.

თავმჯდომარე. მაშინ ვუყაროთ კენჭი. ბატონო ედუარდ, შეიძლება ვუყაროთ კენჭი? გთხოვთ მოემზადოთ კენჭხსყრისათვის. ვინ არის? ხმაური დარბაზში.

ე. შევარდნაძე. გმადლობთ, გილოცავთ და წარმატებებს გისურვებთ ბატონო თათარ.

თავმჯდომარე. ბატონო ედუარდ, თქვენი შრომის უნარის შესახებ კარგად ვიცნობ, მაგრამ პარლამენტს უკვირ...

ე. შევარდნაძე. დღევანდელი სამუშაო ცოტა დაგვრჩა. შეიძლება? გარემოს დაცვის სამინისტრო. ჩვენ გვქონდა თათბირი, ვითათბირეთ, რა თქმა უნდა პირველი რჩევა და რეკომენდაცია ვთხოვეთ გამოთქვით მწვანემა წარმომადგენლებს, მწვანეთა პარტიის და მოძრაობის. ეს რეკომენდაცია ჩვენ გავიზიარეთ და გთხოვთ განიხილოთ ბატონო შოთა ადამიას კანდიდატურა. ცნობილი პროფესორია, ცნობილი სპეციალისტი, გეოლოგია, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, გეოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი, სხვადასხვა პრემიების ლაურეატი და ასე შემდეგ, ინსტიტუტის დირექტორი, მე მგონი ცნობილი პიროვნებაა და ცნობილი მოღვაწე. ჩვენთან ყოფილა რამდენჯერმე პარლამენტში, სახელმწიფო საბჭოში.

თავმჯდომარე. სხვა მოსაზრება ხომ არ არის. არის წინადადება ვუყაროთ კენჭი. სხვა წინადადება ხომ არ არის? მაშინ გთხოვთ მოემზადოთ კენჭისყრისათვის.

ე.შევარდნაძე. დაიძრნენ მთავრობისაკენ და მთავრობისაკენ. ბატონი თენგიზი აღის, ცოტა გავალარიბებდი, მაგრამ მე მგონი არ არის გალარიბებული.

თავმჯდომარე. მივულოცოთ.

ე.შევარდნაძე. გილოცავთ.

მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის კომიტეტი. იქ ასეთი მდგომარეობაა. მინდა გულახდილად გითხრათ, ცოტა ისტორია ამ საკითხთან დაკავშირებით. თქვენ იცით, რომ ბატონი პაატა კოლუაშვილი ვიცე-პრემიერის მოვალეობას ასრულებდა და მინდა გითხრათ, რომ ის ძალიან აქტიური მოღვაწეა, აქტიურად დაიწყო მუშაობა, მას საინტერესო გეგმები აქვს, მაგრამ მან მოგვმართა თხოვნით, რომ მისი კანდიდატურა არ განგვეხილა ამ პოსტზე, ნერე წუხელ ცოტა არ იყოს გადაიფიქრა. წუხელ კონსულტაციებზე ვიყავი და თვითონაც ესწრებოდა, მაშინ მან დასაშვებად ჩათვალა, რომ შეიძლებოდა მას წამოეყენებინა თავისი კანდიდატურა. ამ დღით ბატონი პაატა მოვიდა ჩემთან და თქვა, რომ ბევრი იფიქრა და მაინც მიაჩნია, რომ ის უფრო კონკრეტულობაზე უნდა იყოს და მთხოვა, რომ ეს საკითხი, მისი ვიცე-პრემიერის თანამდებობაზე დანიშვნისა არ დამეყენებინა დღეს. მე მას მივეცი ერთადერთი კითხვა, იქნებოდა თუ არა ის თანახმა გაეგრძელებინა თავისი სქემიანობა აი, ამ კომიტეტში, სადაც მან ბევრი რამ გააკეთა და კარგად მუშაობდა, როგორც მე ვიცი და როგორც ბევრი ადასტურებს. მას მიაჩნია, რომ ბევრის გაკეთება შეუძლია, რომ ის არც წასულა ამ კომიტეტიდან. ახალგაზრდა კაცია, ცოდნა საკმარისი აქვს, პრობლემა კარგად იცის. აი, ამ მიწის პრივატიზაციის პროცესში გარკვეული წინააღმდეგობები იყო და საკმაოდ უნარი გამოიჩინა იმ დღეებში ეს წინააღმდეგობები და გათხოვდით, რომ დაუჭიროთ ამას მხარი, მისი ასაკის, მისი გამოცდილების გათვალისწინებით. ვიმეორებ, უნაკლო არცერთი ჩვენთაგანი არაა. ისიც, რომ შეიცვალა ვთქვათ რაღაც თავისი შეხედულებები და გადაწყვეტილებები, მე მგონი ასეც არ არის დიდი უბედურება, ასეთია ადამიანი, ასეთნივართ და შევხედოთ ამას ისე, რომ ძალიან მომთხოვნი ნუ ვიქნებით და ძალიან ისეთ შეფასებას ნუ მიცემთ. თვითონ არ გვესწრება, ცოტა შეუძლოთ იყო დღეს და მე გადავწყვიტე მიუხედავად ამის მისი საკითხი დამეყენებინა. გათხოვთ გამოუცხადოთ მას ნდობა და გააგრძელოს მან მუშაობა იმ სისტემაში, რომელიც მას უყვარს, რომელიც მან კარგად იცით.

თავმჯდომარე. მიწის რესურსებისა და რეფორმის სახელმწიფო კომიტეტი. განცხადება. მიწის რესურსებისა და... (ხმაური)
ქალბატონ რუსუდანსა სურს რაღაც აზრის გამოთქმა.



რ. ბერიძე. მე მინდა აღვნიშნო, რომ პაატა კოლუაშვილმა მკვლევარმა მუშაობის დროს თავი გამოამჟღავნა როგორც ნიჭიერი მკვლევარი, რომელსაც ძალიან ბევრის გაკეთება შეუძლია მომავალში, მე მიმაჩნია, რომ მისი გადასვლა მიწის რესურსების კომიტეტში სრულიად გამართლებულია, რადგან მან დაიწყო ეს საქმე და უპრინა-
 ნია, რომ მა. დაამთავროს.

თავმჯდომარე. სხვა აზრი ხომ არ არის? მაშინ კენჭი ვუყაროთ. გთხოვთ
 გთხოვთ ნორმადოთ. გთხოვთ.

ე. შევარდნაძე. დროა წავიმუშაოთ კიდევ. გახსოვთ თქვენ მიიღეთ გა-
 დაწყვეტილება, რომ შევქმნათ ასეთი მეტად მნიშვნელოვანი სახელმწიფო
 სტრუქტურა ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტი. იცით თქვენ ეს რამდენ-
 ნად ძნელი საკითხია? რთული პრობლემაა და მწვავეც. პრაქტიკულად თავი-
 დან უნდა დაიწყოს მუშაობა ამ კომიტეტმა. მე მინდა გთხოვოთ მხარი დაუ-
 ვიროთ ჩვენს მოსაზრებას, რომ ამ კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნოს
 ვალერიან ვაშაკიძე. ისიც მეცნიერების სფეროდან არის. (ტაში დარბაზში)

ის ვნ წლისაა, მთელი რიგი შრომების ავტორია, მათ შორის 2 მონო-
 გრაფიისა. სხვადასხვა უმაღლეს სასაწავლებლებში კითხულობს ლექციებს.
 სახელმწიფო საბჭოში ხელმძღვანელობდა კომისიას. მე მგონი ჩვენ ყველა-
 ნი ვიცნობთ. მხედრონეელია, მეზრძოლი კაცია. ბევრი რამა აქვს გაკეთე-
 ბული და ვთვლით, რომ ღირსეული კანდიდატია.

თავმჯდომარე. არჩეს აზრი რომ კენჭი ვუყაროთ მის კანდიდატურას.
 სხვა აზრი ნომ არ არის?

ჟ. იოსელიანი. მე მინდა ერთი პაატა შესწორება. მხედრონეელი
 არაა, ის არის პატრიოტი, იღია ჭავჭავაძის საზოგადოების წარმომადგე-
 ნელია, მაგრამ როდესაც მხედრონი იზრძოდა ის ყოველთვის ჩვენთან იყო
 დატრეილიც არის, გაგრაშიც იყო და ყველგან არა იმიტომ, რომ ის მხედ-
 რონეელია არამედ იმიტომ, რომ პატრიოტია.

ე. შევარდნაძე. მეც ეგ მქონდა მხედველობაში. გმადლობთ ბატონო
 ჯაბა.

თავმჯდომარე. გმადლობთ. მოვემზადოთ კენჭისყრისათვის. არჩეულია
 ერთხმად.

ტაში დარბაზში.

ე. შევარდნაძე. გილოცავთ ბატონო ვალერიან და წარმატებებს გი-
 სურვებთ.

სატყუო მეურნეობის კომიტეტი. ამჯერად აქ მოღვაწეობს ბატონი
 გიგაური. მე მგონი იცნობთ მას. არის აუცილებელი ბიოგრაფია გაგაცნოთ?



დარბაზიდან. არა, ვიცით.

თავმჯდომარე. არ არის საჭირო. ყველამ ვიცით.

ე.შევარდნაძე. აქ არ გვესწრება. მე ვერ ვხედავ. მაშინ ნულარ გადავიტანთ. ბატონი თენგიზი ამდევს მას რეკომენდაციას ყოველგვარი ყოყმანის გარეშე. ასევე სხვებიც.

თავმჯდომარე. მოვემზადოთ კენჭისყრისათვის. ერთხმად იქნა არჩეული. (ტაში დარბაზში).

ე.შევარდნაძე. ვულოცავ ბატონ ზაურს მხარდაჭერას. დღეს ამ კაბინეტის ფორმირებასთან დაკავშირებით სამუშაო ჩავთვალთ დასრულებულად.) ასეთი თხოვნა გვექნება. ჯერ ერთი მადლობას მოგახსენებთ მხარდაჭერისათვის და ჩვენ კარგად გვესმის, რომ ჩვენი მისამართითაც და არჩეული მოღვაწეების მიმართაც ეს გარკვეული ავანსია, ერთად შევეცდებით ისე ვიმუშაოთ, რომ დეპუტატების ნდობა გავამართლოთ. ეს ერთი, მეორე - დამტკიცებულ დეპუტატებს და სხვა თანამდებობის პირთ ვთხოვთ ხვალდანივით შეუდგნენ მუშაობას. იცით უნდომესი მდგომარეობაა სათბობ-ენერგეტიკის დარგში. ხალხი გაწამებულია, ხვალვე ბატონი ავთანდილი, ბატონი თათარ კვესიტაძე და სხვები ხვალვე შეუდგნენ მუშაობას. ციტრუსები ილუპება. საუცხოო კარგი მოსავალი. ჩვენ ბევრი რამ შეგვიძლია მივიღოთ, თუ სწორად მოვაწყობთ მოსავლის აღებას და გაცვლის ორგანიზაციას - ასევე ბევრი სხვა საკითხებია მოსაგვარებელი და ერთი თხოვნა მექნებოდა. ჩვენ ამალამ ვიმუშავებთ სხვა საკითხებზე, რაც შესათანხმებელია, რომ ხვალისთვის მოვემზადოთ და თუ მისაღები იქნებოდა 12 საათზე დაგვეწყობა მუშაობა გვექონდეს საშუალება, დილითაც გვექონდეს საშუალება რომ ვითათბიროთ.


თავმჯდომარე. 12 საათზე, რახან ვერ მოხატვართ.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

საქართველოს ბიბლიოთეკა
ქ. თბილისი, მ. მ. ჯვარცხელიძის ქ. 55
ს. 125
ს. 125
ფურცლები 21 ძალი 1993

n 315 / 1102



0361
0333